

# გზამკვლევი არბიტრაჟი

საქანაქო (რეკონუდო) სანამართლო  
მოსამართლეებისათვის







ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
EU4Justice: მართლმსაჯულების რეფორმის  
შარდაჭერა



Empowered lives.  
Resilient nations.

# გზამკვლევი ანტიკორუპციული

საქადაქო (ჩაიონუდი) სასამართლოს  
მოსამართლეებისათვის



წინამდებარე გამკველვეი შექმნილია ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ „არბიტრაჟის ინიციატივა - საქართველო“ და მისი შინაარსის ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

ISBN 978-9941-27-581-4

© UNDP Georgia (2017)

საავტორო უფლებები დაცულია

გამოცემულია საქართველოში

**ავტორთა ჯგუფი:**

**ავტორები** - გიორგი კვეენაძე, სოფიო ტყემალაძე

**მკვლევარი** - თეონა ჟიჟიაშვილი

**კვლევის ასისტენტი** - თამუნა ბერიძე

**სამეცნიერო რედაქტორი** - სოფიო ტყემალაძე

**ქართული ტექსტის რედაქტორი** - მანანა ტაბიძე

**დიზაინერი** - ნატო ნოზაძე

## წინასიტყვაობა

---

„არბიტრაჟის ინიციატივა - საქართველო“ ფორმალურად 2013 წელს დაფუძნდა, თუმცა იგი არარეგისტრირებული სახით უკვე 10 წელზე მეტია არსებობს. ორგანიზაცია აერთიანებს არბიტრაჟის გულშემატკივარ ახალგაზრდებს, რომელთა მიზანია წვლილი შეიტანონ საქართველოში არბიტრაჟის პოპულარიზაციაში, მისი პრაქტიკის დახვეწასა და ზოგადად, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მიმართულების განვითარებაში. სულისკვეთების გარდა ორგანიზაციის წევრებს აერთიანებთ არბიტრაჟში შეძენილი ცოდნა და გამოცდილება, რომელსაც ისინი მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს. ეს ღირებული რესურსია, რომლის გაზიარება წევრებს მიღმაც უნდა მოხდეს.

წინამდებარე გამკვლევე შეიქმნა ღრმა რწმენით, რომ მოსამართლეები არსებით როლს ასრულებენ არბიტრაჟის, როგორც დავის გადაწყვეტის მექანიზმის, განვითარებაში.

გამკვლევის იდეა წარმოიშვა იმ დაკვირვების შედეგად, რომ ქართველ მოსამართლეებს ძნელად მიუწვდებათ ხელი არბიტრაჟის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე და სხვა ქვეყნების სასამართლოების პრაქტიკაზე. ამგვარი ლიტერატურა და სასამართლო პრაქტიკა კი შესაძლოა ღირებულ წყაროდ იქცეს მოსამართლეების მიერ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტების პროცესში. კანონი, რომელიც არც თუ ისე დიდი ხანია ჩვენი სამართლის ნაწილია, ეფუძნება გაეროს საერთაშორისო სავაჭრო კომისიის (UNCITRAL) მიერ შემუშავებულ მოდელურ კანონს საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ, რომლის თაობაზეც ოცდაათ წელიწადზე მეტია არსებობს მეცნიერების ნაშრომებით და სხვა ქვეყნის სასამართლოების პრაქტიკით დამკვიდრებული მიდგომები. მოსამართლეებს საქართველოში, რომელთაც სურთ გაცნონ საერთაშორისო მიდგომებს, ხშირად არა აქვთ იმის რესურსი და დრო, რომ კვლევა უცხო ენაზე ჩაატარონ, მით უფრო, რომ არბიტრაჟის შესახებ

ლიტერატურა, თუნდაც უცხო ენაზე, თავისუფლად ხელმისაწვდომი არაა. ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე გამკვლევით ნაწილობრივ მაინც შეავსებს ამ დანაკლისს.

გამკვლევით შედეგისას ყურადღება გამახვილდა არა მხოლოდ ავტორთა პირადი მოსაზრებებით შერჩეულ საკითხებზე, არამედ, მას საფუძვლად დაედო ავტორთა ჯგუფის წევრთა დისკუსიები და შეხვედრები საქართველოში მოქმედ მოსამართლეებთან, ისევე როგორც საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკის შესწავლა. შესაბამისად, გამკვლევით ეხმიანება საქართველოში მოსამართლეთა პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებს.

ავტორთა ჯგუფი მადლობას უხდის ლიანა ქარცივაძეს სახელმძღვანელოს შემუშავების ხანგრძლივ პროცესში გაწეული პროფესიული და ადამიანური მხარდაჭერისთვის. მადლობა ეკუთვნის აგრეთვე ნიუ ვიუენის უნივერსიტეტს, რომლის კვლევებშიც მიმდინარეობდა დისკუსიები და სადაც „ხორცი შეისხა“ გამკვლევმა.

წინამდებარე გამკვლევით შედეგა შესაძლებელი გახდა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, პროექტის ფარგლებში - „გაეროს ერთობლივი პროგრამა: ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩატარდა ბევრი ღონისძიება და შეიქმნა მნიშვნელოვანი რესურსი იმისათვის, რომ არბიტრაჟმა მეტად დაიმკვიდროს თავი ქართულ სამართლებრივ სივრცეში. გამკვლევით შედეგა ამ მიზანს ემსახურება.

**სოფიო ტყემალაძე**

# შინაარსი

წინასიტყვაობა	iii
შინაარსი	v
აბრევიატურები და შემოკლებები	viii
შესავალი	1
1. სასამართლოში შეტანილი სარჩელი ეხება დავას, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია (კანონის მე-9 მუხლი)	4
1.1. დავის არბიტრაჟისათვის გადაცემაზე მხარის განცხადების წარდგენის აუცილებლობა	7
1.2. რა სტანდარტით ვაფასებთ საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობას - <i>prima facie</i> თუ არსებითი განხილვა?	9
1.2.1. საარბიტრაჟო შეთანხმების <i>prima facie</i> შემოწმება	9
1.2.2. საარბიტრაჟო შეთანხმების არსებითად შემოწმება	12
1.3. რომელი სამართლით ფასდება და განიმარტება საარბიტრაჟო შეთანხმება?	14
1.3.1. საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სამართლის გამოყენება	15
1.3.2. ძირითადი ხელშეკრულების მარეგულირებელი სამართლის გამოყენება	17
1.3.3. ეროვნული კანონმდებლობის გამოყენება მხარეთა კონკლუდენტური ქმედების საფუძველზე	27
1.4. თუკი არსებითად ვაფასებთ საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობას	19
1.4.1. შეიძლება თუ არა, რომ დავა იყოს არბიტრაჟის განხილვის საგანი (არბიტრაჟუნარიანი)?	21
1.4.2. საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმა	29
1.4.3. საარბიტრაჟო შეთანხმების არსებითი პირობები	33
1.4.4. მოიცავს თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლები მხარეთა შორის წარმოშობილ დავას	37
1.4.5. ნაკლიანი, მაგრამ ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმებები	39
1.4.6. როდის შეიძლება იყოს საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილი?	48
1.4.7. როდის შეიძლება იყოს საარბიტრაჟო შეთანხმება ძალადაკარგული?	55
1.4.8. როდისაა საარბიტრაჟო შეთანხმების შესრულება შეუძლებელი?	56
სქემა - კანონის მე-9 მუხლი	61

<b>2. სასამართლოს მიერ არბიტრის (არბიტრების) დანიშვნა (კანონის მე-11 მუხლი)</b>	<b>63</b>
2.1. სად არის საარბიტრაჟო განხილვის ადგილი?	65
2.2. არის თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმება ნამდვილი?	68
2.3. ხომ არ არიან მხარეები შეთანხმებული არბიტრების დანიშვნის პროცედურაზე და მოქმედებს თუ არა ეს პროცედურა?	71
2.4. ამოწურულია თუ არა სასამართლოს მიერ არბიტრის (არბიტრების) დანიშვნისათვის კანონით დადგენილი წინაპრობები?	72
2.4.1. როდესაც დავას ერთი არბიტრი განიხილავს	72
2.5. რა კრიტერიუმით და როგორ არჩევს სასამართლო დასანიშნი არბიტრის კანდიდატურას?	75
2.5.1. რა კრიტერიუმები უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ არბიტრობის კანდიდატის შერჩევისას?	76
2.5.2. ვის ევრძალება არბიტრობა?	78
2.5.3. საიდან ხდება არბიტრობის კანდიდატთა შერჩევა?	78
2.5.4. საჭიროა თუ არა არბიტრობაზე კანდიდატთა თანხმობის წინასწარ მოპოვება?	79
2.5.5. რამდენად არიან მხარეები ჩართული არბიტრის დანიშვნის პროცესში?	80
2.5.6. როგორ განისაზღვრება/თანხმდება არბიტრთა ანაზღაურება?	81
სქემა - კანონის მე-11 მუხლი	83
<b>3. სასამართლოს როლი არბიტრის აცილებისას (კანონის მე-12-13 მუხლები)</b>	<b>85</b>
3.1. სად არის საარბიტრაჟო განხილვის ადგილი?	88
3.2. არიან თუ არა მხარეები შეთანხმებული აცილების პროცედურაზე და რამდენი არბიტრი განიხილავს დავას?	89
3.2.1 თუ მხარეები შეთანხმებული არიან აცილების პროცედურაზე	89
3.2.2 როდესაც მხარეები არ არიან შეთანხმებული აცილების პროცედურაზე	90
3.2.3 როდესაც დავას ერთი არბიტრი განიხილავს და მისი აცილების პროცედურა არ არის შეთანხმებული მხარეთა შორის	92
3.3. ვადების მნიშვნელობა აცილების შესახებ განცხადების წარდგენისას	92
3.4. არსებობს, თუ არა არბიტრის აცილების საფუძვლები?	94
3.4.1. კვალიფიკაცია	95
3.4.2. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა	97
ა. როდესაც არბიტრის ასაცილებლად გარემოებები საკმარისად იქნა მიჩნეული	98
ბ. როდესაც გარემოებები არ ჩაითვალა საკმარისად არბიტრის ასაცილებლად	100
სქემა - მე-12-13 მუხლები	105



<b>4. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტა (კანონის მე-14 მუხლი)</b>	<b>107</b>
4.1. არბიტრის მანდატი და უფლებამოსილების არსი	108
4.2. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტა მხარეთა შეთანხმებით	110
4.3. უფლებამოსილების შეწყვეტა არბიტრის მოთხოვნის საფუძველზე	110
4.4. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტა საარბიტრაჟო დაწესებულების გადაწყვეტილებით	111
4.5. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტა ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე	112
4.5.1. სად არის საარბიტრაჟო განხილვის ადგილი?	113
4.5.2. მიმართა თუ არა მხარემ სასამართლოს არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ მოთხოვნის დაყენებიდან 30 დღის ვადაში?	113
4.5.3. არსებობს, თუ არა არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი?	115
4.5.4. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები	117
სქემა - კანონის მე-14 მუხლი	127
<b>5. სასამართლოს დახმარება მტკიცებულებების მოპოვებაში (კანონის 35-ე მუხლი)</b>	<b>121</b>
5.1. ვის შეუძლია მიმართოს სასამართლოს მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარებისათვის?	123
5.2. რა ფორმით უნდა წარუდგინოს მხარემ სასამართლოს არბიტრაჟის თანხმობა მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების შესახებ?	124
5.3. სად არის საარბიტრაჟო განხილვის ადგილი?	125
5.3.1. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი საქართველოა	125
5.3.2. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არ არის საქართველო	126
5.4. რა ეტაპზე წარედგინება სასამართლოს მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების შესახებ მოთხოვნა?	127
5.5. მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარება სასამართლოს დისკრეციას თუ ვალდებულება?	128
5.6. სასამართლოს მიერ მოწმის დასწრების უზრუნველყოფა	130
5.7. სად უნდა გამოცხადდეს სასამართლოს მიერ დაბარებული მოწმე, სასამართლოში თუ არბიტრაჟში?	131
5.8. მოწმის დასწრების უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს დახმარების ეფექტი	132
სქემა - კანონის 35-ე მუხლი	133

<b>დანართი 1 - არბიტრის დეკლარაცია</b>	<b>135</b>
--	------------

<b>დანართი 2- საქართველოს არბიტრთა ასოციაციის არბიტრთა ეთიკის კოდექსი</b>	<b>137</b>
---	------------

<b>ბიბლიოგრაფია</b>	<b>147</b>
---------------------	------------

# ბიბლიოგრაფია და შემოკლებები

§	პარაგრაფი
§§	პარაგრაფები
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სსსკ	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
AAA	ამერიკის არბიტრაჟის ასოციაცია (American Arbitration Association)
BGH	გერმანიის ფედერალური სასამართლო (Bundesgerichtshof)
BOMLR	ბომბეის სამართლის მიმოხილვა (Bombay Law reporter)
DIS	გერმანიის საარბიტრაჟო ინსტიტუტი (Deutsche Institution für Schiedsgerichtsbarkeit)
DRC	დავების განმხილველი ცენტრი (Dispute Resolution Center)
ECHR	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (European Court of Human Rights)
Ed.	გამოცემა (Edition)
Eds.	რედაქტორები (editors)
EWHC	ინგლისისა და უელსის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლო (High Court of Justice of England and Wales)
EWCA	ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლო (England and Wales Court of Appeal)
GAA	საქართველოს არბიტრთა ასოციაცია (Georgian Association of Arbitrators)
GIAC	საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი (Georgian International Arbitration Center)
HKCA	ჰონგ-კონგის სააპელაციო სასამართლო (Hong Kong Court of Appeals)
HKCFI	ჰონგ-კონგის პირველი ინსტანციის სასამართლო (Hong Kong Court of First Instance)
IBA	ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაცია (International Bar Association)
ICC	საერთაშორისო სავაჭრო პალატა (International Chamber of Commerce)
ICCA	კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო (International Council for Commercial Arbitration)
IHK	სავაჭრო სამრეწველო პალატა (Industrie und Handelskammer)
Int'l	საერთაშორისო (International)
Ltd.	შეზღუდული (Limited)
LCIA	ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო (London Court of International Arbitration)
OLG	გერმანიის უმაღლესი რეგიონული სასამართლო (Oberlandesgericht)
SCC	სტოკჰოლმის სავაჭრო პალატა (Stockholm Chamber of Commerce)
SGHC	სინგაპურის უმაღლესი სასამართლო (Singapore High Court)
SLR	სინგაპურის სამართლის მიმოხილვა (Singapore Law Review)
UNCITRAL	გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია (United Nations Commission on International Trade Law)
UNCITRAL 2012 Digest	საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის მოდელური კანონის სასამართლო გადაწყვეტილებების UNCITRAL-ის 2012 წლის დაიჯესტი (UNCITRAL 2012 Digest of Case Law on the Model Law on International Commercial Arbitration)
UNIDROIT	კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტი (International Institute for the Unification of Private Law)
Vol.	კრებულები (Volume)

## შესავალი

---

არბიტრაჟის გამოყენება სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებად ღირებულია როგორც მხარეების, ისე თვით სასამართლო სისტემისათვის. სხვა ღირსებებთან ერთად, მხარეებისათვის არბიტრაჟი შეიცავს მათ საჭიროებებზე მორგებულ პროცესს, დავის უფრო დროულად განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტის შესაძლებლობას, ისევე, როგორც თავად არბიტრ(ებ)ის არჩევის შესაძლებლობას. სასამართლოსთვის კი უპირატესობა ისაა, რომ არბიტრაჟისადმი მეტი დავის დაქვემდებარების შემთხვევაში სასამართლო სისტემა განიტვირთება იმ საქმეებისაგან, რომლებიც მხარეთა ნებით მართლმსაჯულების კერძო სისტემას დაექვემდებარება. შესაბამისად, სასამართლოს რესურსი მოხმარდება სხვა, ისედაც მრავალრიცხოვან და მუდმივად მზარდი რაოდენობის საქმეებს.

არბიტრაჟის განვითარებისათვის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა თანამედროვე და დაბალანსებული საარბიტრაჟო კანონმდებლობის არსებობა, რომელიც, ერთი მხრივ უზრუნველყოფს არბიტრაჟისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას (მათ შორის ბევრი დისკრეციული ნორმით, რომლებიც ამოქმედდება და უზრუნველყოფს არბიტრაჟის ფუნქციონირებას კონკრეტულ საკითხზე მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში), ხოლო მეორე მხრივ, მინიმალურ კონტროლს არბიტრაჟის კანონიერებაზე. მეორე, ასევე მნიშვნელოვანი პირობაა სასამართლოს დამოკიდებულება და მის მიერ კანონის განმარტება „არბიტრაჟის მომხრე“ განწყობით.

დღეის მდგომარეობით, 76 ქვეყნის (მათ შორის გერმანია, ესპანეთი, სინგაპური, ჰონგ-კონგის იურისდიქცია, აშშ-ს ზოგიერთი შტატი, ვენესუელა, სამხრეთ კორეა და სხვ.) კანონმდებლობა ეფუძნება „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ UNCITRAL-ის მოდე-

ლურ კანონს.<sup>1</sup> 2009 წელს საქართველო შეუერთდა ამ ქვეყანათა რიცხვს: გაუქმდა „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი და ძალაში შევიდა მოდელურ კანონზე დაფუძნებული „არბიტრაჟის შესახებ“ კანონი. 2015 წელს კი ცვლილებები შევიდა თავად არბიტრაჟის შესახებ 2009 წლის კანონში.<sup>2</sup> ცვლილებების დეკლარირებული მიზანი იყო: „არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანა „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ UNCITRAL-ის მოდელურ კანონთან, საქართველოში არბიტრაჟის ინსტიტუტისადმი მეგობრულად განწყობილი გარემოს შექმნა, კანონში არსებული ხარვეზების გამოსწორება, არბიტრაჟის ინსტიტუტის, როგორც დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის, სანდოობის და პოპულარობის გაზრდისა და მისი განვითარების ხელშეწყობა.“<sup>3</sup> ცვლილებების მიზნის სისრულეში მოსაყვანად მნიშვნელოვანია, რომ კანონის განმარტება სწორედ ამ (მიზნის) თვალსაწიერიდან მოხდეს. ამ პროცესში კი მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მოდელური კანონის მოსამზადებელ მასალებს, ოფიციალურ კომენტარებსა და არბიტრაჟის მიმართ მეგობრულად განწყობილი იმ ქვეყნების სასამართლო პრაქტიკას, რომელთაც საქართველოს მსგავსად მოდელურ კანონზე დაფუძნებული საარბიტრაჟო კანონმდებლობა აქვთ.

**გზამკვლევის მიზანი.** გზამკვლევის მიზანია, ხელი შეუწყოს საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებს არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონით მათ დაქვემდებარებაში არსებული საქმეების/განცხადებების განხილვაში. წინამდებარე გზამკვლევი შედგენილია იმ მიზნით, რომ გასცეს პასუხი იმ კითხვებს, რომლებიც შეიძლება გაუჩნდეთ მოსამართლეებს კანონის გამოყენების სხვადასხვა ეტაპზე. ის არ წარმოადგენს ამომწურავ წყაროს და არც სამეცნიერო ნაშრომს, არამედ იგი ამა თუ იმ საკითხის ფართო შესწავლის საწყისი წერტილია.

<sup>1</sup> იხ. სია, ხელმისაწვდომია: <http://www.uncitral.org>, ნანახია: 10.11.2017 წ.

<sup>2</sup> მათ შორის გაჩნდა დროებითი, *ad hoc* არბიტრაჟის გამართვის შესაძლებლობა.

<sup>3</sup> განმარტებითი ბარათი „არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე, რეგისტრაციის ნომერი 07-2/280/8, თარიღი: 10-12-2015 წ., გვ. 1.

**გზამკვლევის ადრესატები.** გზამკვლევი განკუთვნილია მოსამართლეებისათვის, რომლებიც კანონის გამოყენებისა და არბიტრაჟის წარმატებით დამკვიდრების მნიშვნელოვან და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. ვიმედოვნებთ, რომ გზამკვლევი ღირებული იქნება პრაქტიკოსი იურისტებისა და სტუდენტებისთვისაც.

**გზამკვლევის ფარგლები.** გზამკვლევი ეხება საქალაქო (რაიონული) სასამართლოს დაქვემდებარებულ საკითხებს, როგორცაა: სასამართლოს მიერ დავის განსახილველად არბიტრაჟისადმი გადაცემა,<sup>4</sup> არბიტრის (არბიტრების) და არბიტრაჟის თავმჯდომარის დანიშვნაზე მხარეთა შეთანხმების არარსებობის ან შეთანხმებული პროცედურის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში არბიტრების (არბიტრის) დანიშვნა,<sup>5</sup> არბიტრის აცილება,<sup>6</sup> უფლებამოსილების შეწყვეტა<sup>7</sup> და მტკიცებულებათა მოპოვებაში სასამართლოს დახმარება.<sup>8</sup>

---

<sup>4</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 9.

<sup>5</sup> იქვე, მუხლი 11.

<sup>6</sup> იქვე, მუხლები 12-13.

<sup>7</sup> იქვე, მუხლი 14.

<sup>8</sup> იქვე, მუხლი 35.

# I სანამართლოში შეტანილი საჩივრი ქეზა ღაზას, რომელიც სანაბიჭრაჟო შეთანხმების საბანოა

(კანონის მე-9 მუხლი)



1.	სასამართლოში შეტანილი სარჩელი ეხება დავას, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანი (კანონის მე-9 მუხლი)	4
1.1.	დავის არბიტრაჟისათვის გადაცემაზე მხარის განცხადების წარდგენის აუცილებლობა	7
1.2.	რა სტანდარტით ვაფასებთ საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობას - <i>prima facie</i> თუ არსებითი განხილვა?	9
1.2.1.	საარბიტრაჟო შეთანხმების <i>prima facie</i> შემოწმება	9
1.2.2.	საარბიტრაჟო შეთანხმების არსებითად შემოწმება	12
1.3.	რომელი სამართლით ფასდება და განიმარტება საარბიტრაჟო შეთანხმება?	14
1.3.1.	საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სამართლის გამოყენება	15
1.3.2.	ძირითადი ხელშეკრულების მარეგულირებელი სამართლის გამოყენება	17
1.3.3.	ეროვნული კანონმდებლობის გამოყენება მხარეთა კონკლუდენტური ქმედების საფუძველზე	27
1.4.	თუკი არსებითად ვაფასებთ საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობას	19
1.4.1.	შეიძლება თუ არა, რომ დავა იყოს არბიტრაჟის განხილვის საგანი (არბიტრაჟუნარიანი)?	21
1.4.2.	საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმა	29
1.4.3.	საარბიტრაჟო შეთანხმების არსებითი პირობები	33
1.4.4.	მოიცავს თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლები მხარეთა შორის წარმოშობილ დავას	37
1.4.5.	ნაკლიანი, მაგრამ ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმებები	39
1.4.6.	როდის შეიძლება იყოს საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილი?	48
1.4.7.	როდის შეიძლება იყოს საარბიტრაჟო შეთანხმება ძალადაკარგული?	55
1.4.8.	როდისაა საარბიტრაჟო შეთანხმების შესრულება შეუძლებელი?	56
	სქემა - კანონის მე-9 მუხლი	61

საარბიტრაჟო შეთანხმებას აქვს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ეფექტი.<sup>9</sup> პოზიტიური ეფექტი ავალდებულებს მხარეებს დავის არბიტრაჟისათვის გადაცემას და საარბიტრაჟო ტრიბუნალს დავის განხილვის უფლებამოსილებას ანიჭებს;<sup>10</sup> ნეგატიური ეფექტი „უზღუდავს მხარეებს საშუალებას, რომ დავის გადასაწყვეტად მიმართონ სასამართლოს.“<sup>11</sup> ეს ეფექტი მოქმედებს მაშინ, როდესაც მხარე, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის მიუხედავად, მაინც მიმართავს სასამართლოს დავის გადასაწყვეტად, ხოლო მეორე მხარე ითხოვს საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულებას და დავის არბიტრაჟისათვის გადაცემას. ასეთ დროს, არბიტრაჟის შესახებ კანონის მე-9 მუხლი, რომელიც ეფუძნება მოდელურ კანონს,<sup>12</sup> ადგენს, რომ „სასამართლო, რომელშიც შეტანილია სარჩელი იმ დავის არსებით საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, ვალდებულია მხარის განცხადების საფუძველზე, რომელიც შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე უნდა გაკეთდეს, შეწყვიტოს წარმოება და მიუთითოს მხარეებს არბიტრაჟზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია, ძალადაკარგულია ან მისი შესრულება შეუძლებელია.“<sup>13</sup>

შესაბამისად, იმისათვის, რომ დავა არბიტრაჟს გადაეცეს განსახილველად, სახეზე უნდა იყოს შემდეგი წინაპირობები:

1. მოპასუხემ უნდა წარმოადგინოს განცხადება საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის შესახებ და მოითხოვოს დავის არბიტრაჟისათვის გადაცემა;
2. განცხადება სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე;

<sup>9</sup> არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო, *ICCA-ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე: ცნობარი მოსამართლეებისათვის* (შემდგომში „ICCA-ს სახელმძღვანელო“), (2011) გვ. 10-11.

<sup>10</sup> Daniel Girsberger and Nathalie Voser, *International Arbitration: Comparative and Swiss Perspectives*, 3rd ed. (Schulthess Juristische Medien AG, 2016), გვ. 61.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 61.

<sup>12</sup> საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ 1985 წლის მოდელური კანონი, 2006 წლის ცვლილებებით (შემდგომში „მოდელური კანონი“), მუხლი 9.

<sup>13</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 9.1.



3. დავა არბიტრაჟუნარიანი (არბიტრაჟის მიერ განხილვადი) უნდა იყოს;
4. დაცული უნდა იყოს საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმა;
5. მხარეები უნდა იყვნენ შეთანხმებული საარბიტრაჟო შეთანხმების არსებით პირობებზე;
6. საარბიტრაჟო შეთანხმება არ უნდა იყოს ბათილი, ძალადაკარგული ან მისი შესრულება არ უნდა იყოს შეუძლებელი.

### 1.1. დავის არბიტრაჟისათვის გადაცემაზე მხარის განცხადების წარდგენის აუცილებლობა

დავის არბიტრაჟისათვის გადასაცემად აუცილებელია, რომ მოპასუხე მხარემ მისთვის დადგინდეს ვადაში წარადგინოს განცხადება, რომელშიც მიუთითებს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობაზე. ეს მიდგომა (რომ მხარეების მიმართვა არბიტრაჟში მომხდარიყო არა სასამართლოს ინიციატივით, არამედ მხოლოდ მხარის განცხადების საფუძველზე) ამყარებს მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპს, რომლითაც ერთნაირად არის დაცული მხარეთა უფლება, დაუქვემდებარონ თავიანთი დავა არბიტრაჟს, ისევე როგორც მათი ერთობლივი ნება, შეცვალონ/უარყოფონ (პირდაპირ ან არაპირდაპირ) მათი გადაწყვეტილება არბიტრაჟისადმი დავის დაქვემდებარებაზე.

**რა ფორმით უნდა გაკეთდეს მითითება?** არბიტრაჟის შესახებ კანონი განსაზღვრავს, რომ მხარემ საარბიტრაჟო შეთანხმებაზე „განცხადებით“ უნდა მიუთითოს. თუმცა, „განცხადება“ ფართოდ უნდა განიმარტოს. მითითება შეიძლება განხორციელდეს როგორც ცალკე განცხადებით, ისე შესაგებელში გაკეთებული განცხადებით.<sup>14</sup>

**რა ვადაში და ვის უნდა წარედგინოს განცხადება?** მოპასუხემ განცხადება უნდა გააკეთოს სასამართლოს მიერ შესაგებლის წარდგენისათვის დადგინდეს ვადაში (14-21 დღე).<sup>15</sup> განცხადების ადრესატი არის სასამართლო.

<sup>14</sup> Karl-Heinz Böckstiegel, Stefan Michael Kröll, et al. eds., *Arbitration in Germany: The Model Law in Practice*, 2nd ed. (Wolters Kluwer Law & Business, 2015), გვ. 118-119.

<sup>15</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 9; სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 201.1 და მუხლი 272<sup>1</sup>.

**ვის ეკისრება მტკიცების ტვირთი?** პრაქტიკის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმების *prima facie* („ერთი შეხედვით შეფასება“) არსებობის თაობაზე მტკიცების ტვირთი ეკისრება მხარეს, რომელიც მიმართავს სასამართლოს დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის თაობაზე; მაგალითად, ჰონგ-კონგის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მხარის, რომელიც ითხოვს საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულებას და დავის არბიტრაჟისათვის გადაცემას, მტკიცების ტვირთია საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის *prima facie* წარმოჩენა.<sup>16</sup> ხოლო მტკიცების ტვირთი, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია, ძალადაკარგულია ანდა მისი შესრულება შეუძლებელია, ეკისრება მხარეს, რომელიც ითხოვს დავის სასამართლოს მიერ განხილვას.<sup>17</sup>

**რა ხდება მოპასუხე მხარის მიერ საარბიტრაჟო შეთანხმებაზე მიუთითებლობისას?** გამომდინარე იქიდან, რომ არბიტრაჟი მხარეთა ნებაზე დაფუძნებული, მხარეებს ყოველთვის შეუძლიათ ერთობლივად უარი თქვან საარბიტრაჟო შეთანხმებაზე.<sup>18</sup> თუ არცერთი მხარე არ მიუთითებს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობაზე, მიიჩნევა, რომ მხარეებმა უარი თქვეს თავიანთ უფლებაზე, რომ დავა განიხილოს არბიტრაჟმა.<sup>19</sup> შესაბამისად, შესაგებლის წარდგენისათვის დადგენილი ვადის გასვლამდე მოპასუხე მხარის მიერ საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობაზე მიუთითებლობისას, სასამართლომ შეიძლება მიიჩნიოს, რომ მხარემ უარი თქვა საარბიტრაჟო შეთანხმებაზე, და თავად განიხილოს დავა.

<sup>16</sup> ჰონგ-კონგის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *PCCW Global Limited v Interactive Communications Service Ltd.*, HKCA 434.

<sup>17</sup> სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Dyna-Jet Pte Ltd. v Wilson Taylor Asia Pacific Pte Ltd.*, 3 SLR 267; ინგლისისა და უელსის უმაღლესი სასამართლოს 2011 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *JSC BTA Bank v Ablyazov & Ors*, EWHC 587.

<sup>18</sup> UNCITRAL Secretariat Guide on the Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards (2016) (შემდგომში “UNCITRAL Secretariat Guide”) გვ. 59, § 67.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 59, § 67.

## 1.2. რა სტანდარტით ვაფასებთ საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობას - *prima facie* თუ არსებითი განხილვა?

მოპასუხის მიერ დადგენილ ვადაში საარბიტრაჟო შეთანხმებაზე მითითების შემდგომ, დავის არბიტრაჟისათვის გადასაცემად, სასამართლომ ჯერ უნდა შეამოწმოს თვით საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა: არის თუ არა სახეზე საარბიტრაჟო შეთანხმება, რა არის მისი ფარგლები, ხომ არ არის საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილი, ძალადაკარგული ან მისი შესრულება - შეუძლებელი. სასამართლოებმა ამ ეტაპზე შეიძლება გამოიყენონ საარბიტრაჟო შეთანხმების შემოწმების ორი განსხვავებული სტანდარტი: 1) *prima facie*, ე.წ. „ერთი შეხედვის“ სტანდარტი და 2) არსებითი შემოწმების სტანდარტი.

### 1.2.1. საარბიტრაჟო შეთანხმების *prima facie* შემოწმება

სასამართლოების ნაწილი,<sup>20</sup> მხარეების მიერ არბიტრაჟში მიმართვამდე საარბიტრაჟო შეთანხმების შემოწმებისას, იყენებს *prima facie*, ე.წ. „ერთი შეხედვის“ სტანდარტს. ამ სტანდარტით სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის შემოწმება სრულად და არსებითად არ ხდება. სასამართლო საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობას აფასებს „შორიდან“, „ერთი შეხედვით“, და თუკი დაადგენს, რომ „ერთი შეხედვით“ სახეზეა საარბიტრაჟო შეთანხმება, მისი ნამდვილობის და ფარგლების არსებითად განსამარტავად დავას გადასცემს არბიტრაჟს. სინგაპურის სააპელაციო სასამართლომ, საქმეში – *Tomolugen Holdings Ltd and another v Silica Investors Ltd and other appeals*,<sup>21</sup> განმარტა სინგაპურის საერთაშორისო არბიტრაჟის აქტი, რომელიც მოდელურ კანონს ეფუძნება, და დაადგინა:

<sup>20</sup> ინდოეთის, ჰონგ-კონგის, კანადის პირველი ინსტანციის, ფილიპინების, სინგაპურის, ვენესუელას სასამართლოები. იხ. UNCITRAL 2012 Digest; მე-8 მუხლის კომენტარი, გვ. 44-46, §§ 29-32; UNCITRAL Secretariat Guide, გვ. 64-65, 88-89.

<sup>21</sup> სინგაპურის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Tomolugen Holdings Ltd. and another v Silica Investors Ltd. and other appeals*, SGCA 57.

მას შემდეგ, რაც სასამართლო *prima facie* სტანდარტით დარწმუნდება, რომ არსებობს დავის არბიტრაჟისათვის განსახილველად გადაცემის წინაპირობები (ე.ი. [ერთი შეხედვით] ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის ფარგლებიც მოიცავს დავას, და რომელიც არ არის ბათილი ან ძალადაკარგული), სასამართლომ დავა განსახილველად უნდა გადასცეს არბიტრაჟს, რომელმაც უნდა დაადგინოს ამ წინაპირობების არსებობა/არარსებობა. ეს მიდგომა უზრუნველყოფს საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ „კომპეტენცია კომპეტენციისათვის“ პრინციპის (საარბიტრაჟო ტრიბუნალის უფლებამოსილება დაადგინოს საკუთარი კომპეტენცია) გამოყენებას, რათა არბიტრაჟმა მისი იურისდიქციის არსებობა სრულად და თავდაპირველად შეაფასოს.<sup>22</sup>

*prima facie* სტანდარტის გამოყენების მიზანს წარმოადგენს მხარისათვის პროცესის გაჭიანურების აღკვეთა<sup>23</sup>. შესაძლებელია მხარემ, რომელიც შებოჭილია საარბიტრაჟო შეთანხმებით, აღარ მოისურვოს დავის არბიტრაჟის მეშვეობით განხილვა, ანდა მიმართოს სასამართლოს, იმისათვის რომ გააჭიანუროს საარბიტრაჟო პროცესი. ვინაიდან სასამართლოს გარკვეული დრო დაჭირდება საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის განსახილველად და იმის გათვალისწინებით, რომ ამ საკითხზე სასამართლოს განჩინება ზემდგომ ინსტანციაში საჩივრდება,<sup>24</sup> მხარეს მართივად შეუძლია მიაღწიოს მიზანს და გააჭიანუროს განხილვა.<sup>25</sup> ამის თავიდან ასაცილებლად, კომენტატორების და სასამართლოების ნაწილი ემხრობა *prima facie* სტანდარტის გამოყენებას, რომლის თანახმად სასამართლო არ განიხილავს საკითხს არსებითად, და შესაბამისად არ აძლევს მხარეს პროცესის გაჭიანურების საშუალებას; არამედ, თუკი იგი

<sup>22</sup> იქვე, § 29, 63.

<sup>23</sup> Frédéric Bachand, “Does Article 8 of the Model Law Call for Full or Prima Facie Review of the Arbitral Tribunal’s Jurisdiction?”, *Arbitration International*, Vol. 22 Issue 3 (2006), გვ. 466

<sup>24</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 274-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს განჩინებაზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ შეიძლება ვერძო საჩივრის შეტანა.

<sup>25</sup> Frédéric Bachand, “Does Article 8 of the Model Law Call for Full or Prima Facie Review of the Arbitral Tribunal’s Jurisdiction?”, *Arbitration International*, Vol. 22 Issue 3 (2006), გვ. 466.

„ერთი შეხედვით“ მიიჩნევს, რომ სახეზეა საარბიტრაჟო შეთანხმება, თვით საარბიტრაჟო ტრიბუნალს უთმობს საარბიტრაჟო შეთანხმების შესწავლას ნამდვილობის საკითხის გადასაწყვეტად.

ეს მიდგომა ეხმიანება „კომპეტენცია-კომპეტენციისათვის“ პრინციპის სრულ ეფექტს. მოდელური კანონის მსგავსად,<sup>26</sup> არბიტრაჟის შესახებ კანონი ადგენს, რომ „არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება საკუთარი კომპეტენციის შესახებ, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის თუ ნამდვილობის დადგენის ჩათვლით.“<sup>27</sup> შესაბამისად, საარბიტრაჟო ტრიბუნალი თავადაა უფლებამოსილი, დაადგინოს თავისი კომპეტენცია, შეაფასოს საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა, ბათილობა თუ ძალადაკარგულობა. *prima facie* სტანდარტი, მას პირველ რიგში აძლევს ამის საშუალებას.

*prima facie* სტანდარტით შეფასების უპირატესობა შეიძლება იყოს ისიც, რომ მას შემდეგ, რაც არბიტრაჟი იმსჯელებს საკუთარ კომპეტენციაზე (მათ შორის საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობაზე), „სასამართლოებს შესაძლებლობა ექნებათ გაითვალისწინონ არბიტრების მიერ დადგენილი გარემოებები და მოყვანილი მოსაზრებები, რაც შეამცირებს საერთაშორისო არბიტრაჟის შემთხვევაში, საერთაშორისო არბიტრაჟის ზოგადი პრინციპების უგულებელყოფის შესაძლებლობას.“<sup>28</sup>

*prima facie* სტანდარტის გამოყენებისას საკითხის არბიტრაჟისათვის გადაცემის შემთხვევაში, თუკი არბიტრაჟი დაადგენს, რომ მას აქვს სათანადო კომპეტენცია, მხარეს შეუძლია ამ დადგენილების სასამართლოში გასაჩივრება არბიტრაჟის შესახებ კანონის საფუძველზე.<sup>29</sup>

<sup>26</sup> მოდელური კანონი, მუხლი 16.1.

<sup>27</sup> საქართველოს კანონი, მუხლი 16.1.

<sup>28</sup> Pierre Mayer, “L’autonomie de l’arbitre dans l’appréciation de sa propre compétence” in (1989) 217 RCADI 319, გვ. 346, §15, მოხსენიებული: Frédéric Bachand, “Does Article 8 of the Model Law Call for Full or Prima Facie Review of the Arbitral Tribunal’s Jurisdiction?”, *Arbitration International*, Vol. 22 Issue 3 (2006), გვ. 466.

<sup>29</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 16.5.

ამ ეტაპზე სასამართლოს უკვე აქვს სრული თავისუფლება, სრულყოფილად და არსებითად იმსჯელოს არბიტრაჟის კომპეტენციასა და საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობაზე.

### 1.2.2. საარბიტრაჟო შეთანხმების არსებითად შემოწმება

სასამართლოების ნაწილი<sup>30</sup> მხარის მიერ არბიტრაჟზე მითითების შემთხვევაში, საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობის, ძალადაკარგულობისა და შესრულების შეუძლებლობის საკითხს ამოწმებს არსებითად, რაც გულისხმობს არამართო საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმალურ არსებობას, არამედ მისი ბათილობის, ძალადაკარგულობის ან შესრულების შეუძლებლობის სრულად გამოკვლევას. არსებითი შემოწმება ეფუძნება ეკონომიურობის არგუმენტს: „თავიდან იქნეს აცილებული მხარეების მიერ დროის, ფულისა და სხვა რესურსების ფუჭი ხარჯვა.“<sup>31</sup> არსებითი შემოწმების მომხრეების მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ამ ეტაპზე სრულად არ შეამოწმებს საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობას, ძალადაკარგულობას ან შესრულების შეუძლებლობას, და საარბიტრაჟო განხილვა დაიწყება, გაგრძელდება და არბიტრაჟი გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას, მხარეები ყოველთვის იქნებიან იმ რისკის წინაშე, რომ შემდგომში სასამართლომ შეიძლება საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილად ან ძალადაკარგულად მიიჩნიოს და არ ადასრულოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება<sup>32</sup>. ასეთ შემთხვევაში მხარეთა მიერ დახარჯული დრო და განეული ხარჯი ფუჭი იქნება.

საარბიტრაჟო შეთანხმებების ნამდვილობა არსებითად მოწმდება გერმანიაში. მაგალითად, მიუნხენის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ განიხილა დავა,<sup>33</sup> რომელიც გამომდინარეობდა კომპანიასა და მის დირექტორს შორის დადებული საკონსულტაციო ხელ-

<sup>30</sup> მაგ.: გერმანია, იტალია. იხ. UNCITRAL Secretariat Guide, გვ. 42-43, §§ 82-84.

<sup>31</sup> Frédéric Bachand, “Does Article 8 of the Model Law Call for Full or Prima Facie Review of the Arbitral Tribunal’s Jurisdiction?”, *Arbitration International*, Vol. 22 Issue 3 (2006), გვ. 465.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 465

<sup>33</sup> მიუნხენის უმაღლესი რეგიონული სასამართლო 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე №34 SchH 06/07.

შეკრულებიდან. ამავე ხელშეკრულების თანახმად მხარეებს შორის დავა უნდა განხილულიყო გერმანიის საარბიტრაჟო ინსტიტუტის (DIS-ის) საარბიტრაჟო წესების მიხედვით. მხარემ საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა სადავო გახადა რამდენიმე საფუძვლით: არ იყო დაცული ფორმა, შეთანხმება დაიდო მოტყუებით და შეიცავდა არასამართლიან პირობებს, რის გამოც ეწინააღმდეგებოდა ზნეობრივ ნორმებს. სასამართლო შევიდა ყველა ამ საკითხის არსებით განხილვაში და შეამოწმა რა საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმა, არსებითი პირობები, და მისი ბათილობის საფუძვლები (მოტყუება, კანონსაწინააღმდეგობა) დაადგინა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება იყო ნამდვილი.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო პრაქტიკა საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის დასადგენად გამოსაყენებელი სტანდარტის მიმართ განსხვავდება არა მხოლოდ ქვეყნების დონეზე, არამედ ერთ ქვეყანაშიც კი. მაგალითად კანადაში, სასამართლოების მიდგომა ამ საკითხის მიმართ არაერთგვაროვანია.<sup>34</sup> ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს ერთი „სწორი“ ან „არასწორი“ მიდგომა; ყოველი ქვეყნის სასამართლოების გადასაწყვეტია, რომელი სტანდარტით სურთ მათ ხელმძღვანელობა.

დღესდღეობით საქართველოში სასამართლოები საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობას არსებითად ამოწმებენ. ე.ი. შემოწმებისას სასამართლო აფასებს როგორც საარბიტრაჟო შეთანხმების წერილობითი ფორმის არსებობას, ისე საარბიტრაჟო შეთანხმების არსებით პირობებს (შეთანხმებას), ასევე, მისი ბათილობის, შესრულების შეუძლებლობისა და ძალადაკარგულობის საფუძვლებს.<sup>35</sup>

<sup>34</sup> UNCITRAL 2012 Digest, გვ. 45-46, §§ 31-32.

<sup>35</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 25 ოქტომბრის განჩინება, საქმე №2ბ/3055-11; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 24 სექტემბრის განჩინება, საქმე №2ბ/4423-14; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 28 სექტემბრის განჩინება, საქმე №2/4781-15.

### 1.3. რომელი სამართლით ფასდება და განიმარტება საარბიტრაჟო შეთანხმება?

როდესაც მხარე ითხოვს საქმის წარმოების შეწყვეტას და დავის არბიტრაჟისათვის გადაცემას, არც არბიტრაჟის შესახებ კანონი და არც ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების შესახებ (ნიუ იორკის კონვენცია), რომლის ხელმოწერილი საქართველოც არის, არ შეიცავს პირდაპირ მითითებას, თუ რომელი სამართლის საფუძველზე განიმარტება საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობა, ძალადაკარგულობა და შესრულების შეუძლებლობა. ეს არ გულისხმობს, რომ სასამართლო ავტომატურად საქართველოს კანონმდებლობას უნდა დაეყრდნოს. შესაძლებელია მხარეები თავად შეთანხმდნენ უშუალოდ საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ გამოსაყენებელ სამართალზე. თუმცა, ეს იშვიათად ხდება (უმეტესწილად მხარეები თანხმდებიან ძირითადი ხელშეკრულების მიმართ გამოსაყენებელ სამართალზე, რაც თავისთავად შეიძლება არ გულისხმობდეს მათ შეთანხმებას საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ იმავე სამართლის გამოყენებაზე).

სასამართლომ საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის დასადგენად ყურადღება უნდა გაამახვილოს შემდეგ გარემოებებზე:

- ✓ სად იქნება გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ანუ სად არის არბიტრაჟის ადგილი;
- ✓ არიან თუ არა მხარეები შეთანხმებული ძირითადი ხელშეკრულების მიმართ გამოსაყენებელ სამართალზე;
- ✓ ხომ არ მიუთითებს მხარეთა ქმედება რომელიმე სამართლის გამოყენებაზე.



საარბიტრაჟო შეთანხმების განმარტებისას სასამართლოები ეყრდნობიან: 1) საარბიტრაჟო განხილვის (იგივე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის) ადგილის სამართალს. ეს ყველაზე გავრცელებული მიდგომაა; 2) ძირითადი ხელშეკრულების მარეგულირებელ სამართალს; 3) გარკვეულ შემთხვევებში, ეროვნულ კანონმდებლობას. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა პირდაპირ აწესებს, რომ გამოიყენება ის სამართალი, რომელიც უფრო ხელსაყრელია საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობისათვის.<sup>36</sup>

### 1.3.1. საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სამართლის გამოყენება

ყველაზე ფართოდ გავრცელებული მიდგომით, მხარეთა მიერ საარბიტრაჟო განხილვის ადგილის არჩევა მიიჩნევა მხარეთა ირიბ შეთანხმებად იმის თაობაზე, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ გამოიყენონ საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სამართალი (*lex arbitri*).<sup>37</sup> აღნიშნული მიდგომა ეფუძნება შემდეგ მსჯელობას:

არბიტრაჟის შესახებ საქარველოს კანონის 45.1.ა.ა. მუხლის თანახმად, რომელიც შეესატყვისება ნიუ-იორკის კონვენციის V(1)(ა) მუხლს, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის საფუძველი შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც „[...] იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითეს, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან

<sup>36</sup> ეს მიდგომა გათვალისწინებულია საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ შვეიცარიის კანონის 178-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რომელიც ჩამოთვლის შესაძლო გამოსაყენებელი სამართლის ნორმებს და ადგენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ნამდვილია თუკი ის შეესაბამება რომელიმე ერთის მოთხოვნებს: „[...] საარბიტრაჟო შეთანხმება ნამდვილია, თუკი ის აკმაყოფილებს მხარეთა მიერ არჩეული სამართლით დადგენილ მოთხოვნებს, ან დავის საგნის მარეგულირებელი სამართლის, კერძოდ ძირითადი ხელშეკრულების მიმართ მოქმედი სამართლის მოთხოვნებს, ან შვეიცარიის სამართლით დადგენილ ნინაპირობებს.“

<sup>37</sup> სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2014 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *FirstLink Investments Corp Ltd. v GT Payment Pte Ltd. and others*, SGHCR 12, §§ 13-14, 16.

ძალადაკარგულია.“ მაშასადამე, საქართველოს კანონმდებლობა ადგენს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულებისას საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის/ბათილობის შემოწმება მოხდება იმ სამართლით, რომელზეც მხარეები შეთანხმდნენ საარბიტრაჟო შეთანხმებაში, ხოლო თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, მაშინ გამოიყენება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის (იმავე საარბიტრაჟო განხილვის) ადგილის სამართალი.

ნამყვანი მკვლევრების, პრაქტიკოსებისა და სასამართლოების უმრავლესობა აღიარებს, რომ ნიუ-იორკის კონვენციის V(1)(ა) მუხლით საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულებისას, საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის სტანდარტი (თავდაპირველად მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული სამართალი, მისი არარსებობისას კი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის სამართალი) უნდა იქნეს გამოყენებული კონვენციის II(3) მუხლის (რომელიც შეესაბამება არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 9.1. მუხლი) საფუძველზე საერთაშორისო საარბიტრაჟო შეთანხმებების აღსრულებისასაც. ეს ლოგიკურიცაა. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმებები არ დაექვემდებარონ ორმაგ სტანდარტს, არამედ მათ მიმართ გამოსაყენებელი სამართალი იყოს უნივერსალური და განჭვრეტადი, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის სასამართლოში და რა ეტაპზე ხდება საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის შეფასება.

ყურადსაღებია ისიც, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ ჩვენი კანონი პირდაპირ ადგენს, რომ საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობის/ბათილობის დასადგენად გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა.<sup>38</sup> 42-ე მუხლისგან განსხვავებით, კანონმდებლის ნება იყო, რომ 45-ე მუხლში,

<sup>38</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 42.2.ა.ა). ასევე, 45.1.ა.ა)-ს მიხედვითაც, თუკი გადაწყვეტილება საქართველოშია გამოტანილი, მაშინ საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ, რომელიც საფუძველად უდევს ამ გადაწყვეტილებას, გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა.

უცხო ქვეყანაში მიმდინარე არბიტრაჟების შემთხვევაში საარბიტრაჟო დათქმების ნამდვილობის შეფასებისას გამოყენებულ იქნეს იმ ქვეყნის სამართალი, სადაც წარიმართება არბიტრაჟი (და შესაბამისად, გამოიტანება საარბიტრაჟო გადაწყვეტილება). კანონმდებლის ეს მიდგომა სრულ შესაბამისობაშია საუკეთესო საერთაშორისო კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან.

როდესაც მხარეები ირჩევენ საარბიტრაჟო განხილვის ადგილს, ისინი აცნობიერებენ ამ ადგილის პროცედურულ მნიშვნელობას და მისი სამართლის გამოყენების შესაძლებლობას. ლოგიკურია, რომ მხარეთა სურვილი შესაძლოა ყოფილიყო იმავე (საარბიტრაჟო განხილვის ადგილის) სამართლებრივი სისტემის მეშვეობით საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის დადგენა, რათა უზუნველყოფილი იყოს შესაბამისობა იმ სამართალსა, რომლითაც დგინდება შეთანხმების ნამდვილობა, და იმ სამართალს შორის, რომლითაც წარიმართება პროცედურა შეთანხმების ნამდვილობის დასადგენად.<sup>39</sup>

### 1.3.2. ძირითადი ხელშეკრულების მარეგულირებელი სამართლის გამოყენება

ძირითადი ხელშეკრულების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა შეიძლება მიანიშნებდეს მხარეთა ნებას, რომ იგივე სამართალი გავრცელონ საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობაზეც. ინგლისის სააპელაციო სასამართლომ, *Sulamerica v Enesa Engenharia*<sup>40</sup> საქმეში მიიჩნია, რომ ძირითადი ხელშეკრულების მიმართ გამოსაყენებელ სამართალზე შეთანხმება, ძლიერი ინდიკატორია იმისა, რომ მხარეებს სურდათ საარბიტრაჟო შეთანხმებაზე იმავე სამართლის გავრცელება, რომელიც ძირითადი ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება და ეს პრეზუმფცია მხოლოდ საწინააღმდეგო ფაქტორების არსებობისას შეიძლება გაქრეს. აღნიშნულ საქმეში

<sup>39</sup> სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2014 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *FirstLink Investments Corp Ltd. v GT Payment Pte Ltd. and others*, SGHCR 12, §§ 14-15.

<sup>40</sup> ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Sulamérica CIA. Nacional De Seguros S.A. and Anors v Enesa Engenharia S.A. - ENESA and Anors*, EWCA Civ 638.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი (საწინააღმდეგო) ფაქტორი სახეზე იყო. კერძოდ, ძირითადი ხელშეკრულების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის (ბრაზილია) საფუძველზე, საარბიტრაჟო შეთანხმება მიიჩნეოდა ბათილად. ინგლისის სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ფაქტორი გამორიცხავდა მხარეთა ნებას, საარბიტრაჟო შეთანხმება დაექვემდებარებინათ იმ სამართლისათვის, რომლითაც მხარეებისთვის იმთავითვე იყო ნათელი, რომ არსებობდა მისი ბათილობის რისკი. აქედან გამომდინარე სასამართლომ, საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობაზე, გამონაკლისის სახით გაავრცელა საარბიტრაჟო ადგილის - ინგლისის სამართალი.

დღეს გავრცელებულია მიდგომა, რომ ძირითადი ხელშეკრულების მიმართ მოქმედი სამართლის განსაზღვრა თავისთავად არ გულისხმობს, რომ მხარეებმა იგივე არჩევანი გააკეთეს საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ გამოსაყენებელ სამართალზე. საარბიტრაჟო შეთანხმების ავტონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე ძირითადი ხელშეკრულება და საარბიტრაჟო შეთანხმება ორ განცალკევებულ შეთანხმებას წარმოადგენს.<sup>41</sup> ამასთან, საარბიტრაჟო შეთანხმება თავისი ბუნებით პროცესუალური შეთანხმებაა მაშინ, როდესაც ძირითადი ხელშეკრულების საგანი მხარეთა არსებითი, ვალდებულებითი უფლება-მოვალეობების მოწესრიგებაა. სინგაპურის უმაღლესმა სასამართლომ, რომლის კანონმდებლობაც საქართველოს მსგავსად მოდელურ კანონზეა დაფუძნებული, საქმეში *First Link Investments Corp Ltd v GT Payment Pte Ltd and others* აღნიშნა: „მენარმე მხარეებს შესაძლოა ყოველთვის არ სურდეთ, რომ ურთიერთობა, რომელიც გამომდინარეობს ძირითადი ხელშეკრულებიდან, და ცალკე, დავასთან დაკავშირებული განსხვავებული სამართლებრივი ურთიერთობა, ერთი სამართლებრივი სისტემით რეგულირდებოდეს. როდესაც კომერციული ურთიერთობა წყდება და წარმოიშვება დავა, მხარეები აღმოჩნდებიან დავის მოგვარების ეტაპზე; წინ წამოინევენ

<sup>41</sup> იქვე, მუხლი 16.1.

დავის განხილვის ნეიტრალურობის სურვილი, ხოლო სამართალი, რომელიც მხარეებმა ძირითადი ხელშეკრულების მიმართ აირჩიეს, დროებით უკან იწევს (დავის არსებით განხილვამდე); უპირატესობა ენიჭება იმ ნეიტრალურ სამართალს, რომელიც მხარეებმა აირჩიეს პროცედურის დასარეგულირებლად.”<sup>42</sup>

### 1.3.3. ეროვნული კანონმდებლობის გამოყენება მხარეთა კონკლუდენტური ქმედების საფუძველზე

შეიძლება მხარეებმა არაპირდაპირ, კონკლუდენტურად, სასამართლო განხილვის ეტაპზე მიუთითონ გამოსაყენებელ სამართალზე. მაგალითად, თუ მხარე მიუთითებს საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობაზე ქართული სამართლის მიხედვით, ხოლო მონინააღმდეგე მხარეც არ აპელირებს სხვა სამართლის გამოყენებაზე, არამედ ასევე მხოლოდ ქართულ სამართალზე მიუთითებს და მსჯელობს საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობაზე, სასამართლომ შეიძლება საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის დასადგენად ქართული სამართალი გამოიყენოს. თუმცა, აღნიშნული მიდგომა გამოიყენება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში, როდესაც ნათელია, რომ ორივე მხარეს სურს ეს საკითხი ეროვნული (ამ შემთხვევაში საქართველოს) კანონმდებლობით შეფასდეს. შვეიცარიის უზენაესმა სასამართლომ, საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულებისას, საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის დადგენისას მიუთითა, რომ მხარეთა მიერ შეუთანხმებლობისას გამოიყენება საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სამართალი; მაგრამ რაკი არგუმენტირებისას არცერთ მხარეს არ მოუხმია უცხოური სამართალი, არამედ დაეყრდნო შვეიცარიის სამართალს, გამოიყენებოდა შვეიცარიის სამართალი.<sup>43</sup>

<sup>42</sup> სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2014 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *FirstLink Investments Corp Ltd. v GT Payment Pte Ltd. and others*, SGHCR 12, §§14- 15.

<sup>43</sup> შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *X Holding AG et al. v Y Investments NV*, საქმე №4A\_279/2010.

## 1.4. თუკი არსებითად ვაფასებთ საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობას

როდესაც მხარე მიუთითებს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობაზე, ხოლო სასამართლო საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობის, ძალადაკარგულობის, შესრულების შეუძლებლობის არსებითად შემოწმებას გადაწყვეტს, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე:

- ✓ შეიძლება იყოს თუ არა დავა არბიტრაჟის განხილვის საგანი (არბიტრაჟუნარიანი)?
- ✓ დაცულია თუ არა წერილობითი ფორმა?
- ✓ არსებობს თუ არა მხარეთა შეთანხმება არბიტრაჟზე?
- ✓ მოიცავს თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლები მხარეთა შორის წარმოშობილ დავას?
- ✓ ხომ არ არის საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილი, ძალადაკარგული ან მისი შესრულება შეუძლებელი?

ამ საკითხების განხილვისას, სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ ფაქტზე, რომ როგორც ნიუ-იორკის კონვენცია, რომლის ხელშემკვრელი სახელმწიფო საქართველოცაა, ისე საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ ეფუძნება საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის პრეზუმფციას, როგორც ფორმალურს, ისე არსებითს. ეს იმას ნიშნავს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმებები მიიჩნევა ნამდვილად და უნდა აღსრულდეს, „გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული შეთანხმება ბათილი და გაუქმებულია, ძალადაკარგულია ან შეუძლებელია შესასრულებლად.“<sup>44</sup>

ეს პრეზუმფცია ეხმიანება ნიუ-იორკის კონვენციის აღიარებულ მიზანს, რაც არის „საერთაშორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო დავების

<sup>44</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1958 წლის ნიუ იორკის კონვენცია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ (შემდგომში „ნიუ-იორკის კონვენცია“), მუხლი 2; არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 9.

არბიტრაჟის გზით მოგვარების განვითარება,<sup>45</sup> ისევე როგორც „[...] საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულების გამარტივება.“<sup>46</sup> ამ პრეზუმფციის დამკვიდრება იყო თავად „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მასში 2015 წელს შესული ცვლილებების მიზანიც: „საქართველოში არბიტრაჟის ინსტიტუტისადმი მეგობრულად განწყობილი გარემოს შექმნა, [...] არბიტრაჟის ინსტიტუტის, როგორც დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის, სანდოობის და პოპულარობის გაზრდისა და მისი განვითარების ხელშეწყობა.“<sup>47</sup>

ამიტომ, კონვენციისა და კანონის განმარტებისას, მათ შორის კონვენციის მე-II მუხლის და კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე საარბიტრაჟო შეთანხმებების აღსრულებისას, სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ ამ აქტების აღსრულების მომხრე განწყობა.<sup>48</sup> ეს განწყობა ითხოვს შეთანხმების ეფექტიან, არბიტრაჟისათვის ხელსაყრელ განმარტებას, რომლის მიხედვითაც, თუ შეთანხმება ორგვარად შეიძლება განიმარტოს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ განმარტებას, რომელიც მოქმედად, ნამდვილად აღიარებს საარბიტრაჟო შეთანხმებას.<sup>49</sup>

#### 1.4.1. შეიძლება თუ არა, რომ დავა იყოს არბიტრაჟის განხილვის საგანი (არბიტრაჟუნარიანი)?

გარკვეულწილად, არბიტრაჟი მართლმსაჯულებაა, რომელსაც კერძო პირები ახორციელებენ. არბიტრაჟის გადაწყვეტილებას მოსდევს სამართლებრივი შედეგები მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების მხრივ. ამავე დროს, არბიტრაჟის უფლებამოსილება გამომდინარეობს მხარეთა შეთანხმებიდან; შესაბამისად, არბიტრაჟის გადაწყვეტილება

<sup>45</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო, გვ. 19.

<sup>46</sup> იქვე, გვ. 20.

<sup>47</sup> განმარტებითი ბარათი არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე, რეგისტრაციის №07- 2/280/8, თარიღი: 10-12-2015, გვ. 1, პუნქტი ა(ბ).

<sup>48</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო, გვ. 20.

<sup>49</sup> Emmanuel Gaillard and John Savage, *Fouchard Gaillard Goldman on International Commercial Arbitration* (Kluwer Law International, 1999), გვ. 258, § 478.

შეიძლება მხოლოდ საარბიტრაჟო პროცესის მონაწილე მხარეებზე გავრცელდეს. არბიტრაჟის ეს მახასიათებლები განაპირობებს იმას, რომ ურთიერთობათა წრე, რომელთა შედეგად წარმოშობილი დავა შეიძლება დაექვემდებაროს არბიტრაჟს, შედარებით შეზღუდულია. ამას გარდა, თითოეული ქვეყანა, მისი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის გათვალისწინებით,<sup>50</sup> თავად განსაზღვრავს რა სახის ურთიერთობებისადმი აქვს მაღალი ინტერესი და უქვემდებარებს, მათ ექსკლუზიურად სასამართლოს განსჯადობას. ეს ის დავებია, რომლებიც არ შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს, ე.ი. არ არის არბიტრაჟუნარიანი.

არბიტრაჟუნარო საკითხები ზოგჯერ პირდაპირაა მითითებული ამა თუ იმ კანონში (ა); რიგ შემთხვევებში კი არბიტრაჟუნარიანობის შეზღუდვა გამომდინარეობს არბიტრაჟის შესახებ კანონის განმარტებიდან (ბ); ამასთან, საერთაშორისო არბიტრაჟში, არბიტრაჟუნარიანობის ფარგლები შესაძლოა კიდევ უფრო ფართო იყოს (გ).

**ა. კანონით გათვალისწინებული არბიტრაჟუნარო საკითხები**

ზოგ შემთხვევაში, კანონი პირდაპირ კრძალავს გარკვეული ურთიერთობებიდან გამომდინარე დავის არბიტრაჟისადმი დაქვემდებარებას. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა არ ექვემდებარება არბიტრაჟის მიერ განხილვას.<sup>51</sup>

საქართველოში არბიტრაჟის შესახებ კანონი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ჩამოთვლის, თუ რა დავების განხილვა არ შეიძლება არბიტრაჟის მიერ, თუმცა ასეთი აკრძალვების ამოკითხვა შეიძლება სხვა კანონებში. მაგალითად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 296-ე მუხლის თანახმად, *„საგადასახადო დავა შესაძლებელია განხილულ იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემასა*

<sup>50</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო, გვ 85.  
<sup>51</sup> გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 1030.2.



და სასამართლოში.“ ეს დებულება პირდაპირ გამორიცხავს არბიტრაჟის განსჯადობას საგადასახადო დავებზე, რადგან ადგენს დავის განმხილველ კომპეტენტურ სხვა ორგანოებს, რაც ამ დავის არბიტრაჟის მიერ განხილვის შესაძლებლობას გამორიცხავს.

თუმცა, სასამართლოზე მითითება ყოველთვის არ გულისხმობს ექსკლუზიურად სასამართლო (საჯარო) სისტემის ორგანოებს და რიგ შემთხვევებში უფრო ფართო, მართლმსაჯულებისადმი წვდომის (საჯარო თუ კერძო) ზოგად უფლებას გულისხმობს; ე.ი. მოიცავს დავის არბიტრაჟის მიერ განხილვის შესაძლებლობასაც. იმის გასარკვევად, კანონი უბრალოდ სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას ანიჭებს პირს, თუ ადგენს დავის განხილვის მიმართ სასამართლოს ექსკლუზიურ კომპეტენციას, შესაფასებელია თვით ნორმის ფორმულირება და მიზანი. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 325-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ თუკი ერთ-ერთი მხარე არ მიიჩნევს მეორე მხარის მიერ განსაზღვრულ პირობებს სამართლიანად, ან თუ ასეთი პირობების განსაზღვრა ჭიანურდება, „გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.“ ამ შემთხვევაში „სასამართლო“-ში იგულისხმება ის ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს მართლმსაჯულებისადმი წვდომას მხარისათვის; ანუ, თუკი მხარეთა შორის არსებობს შეთანხმება ამ ურთიერთობიდან წარმოშობილი დავის არბიტრაჟის წესით გადაწყვეტაზე, მაშინ არბიტრაჟი იქნება ის ორგანო, რომელიც მიიღებს მხარის მიერ განსაზღვრული პირობების სამართლიანობის შესახებ გადაწყვეტილებას 325-ე მუხლის საფუძველზე.

თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კანონი ადგენს, რომ უფლების გამოყენება, დაცვა თუ აღდგენა მხოლოდ საქართველოს სასამართლო სისტემაში შემავალი სასამართლოების გადაწყვეტილებითაა შესაძლებელი. მაგალითად, მეწარმეთა შესახებ კანონი ადგენს, რომ აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს, ხოლო გამოსყიდვის დეტალური პროცედურა განერილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.<sup>52</sup> ამ შემთხვევაში, კანონმდებელი

<sup>52</sup> მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 53<sup>4</sup>.2.

ესწრაფვოდა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურის დეტალურად მონესრიგებას, და შესაბამისად სხვა ორგანოს მიერ, ან სხვა პროცედურის, შესაბამისად, ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება გამორიცხულია.

ამგვარად, სხვადასხვა კანონში მიმოხილულია როგორც სასამართლოს ექსკლუზიური კომპეტენციის მიმნიჭებელი, ისე სასამართლოსადმი მიმართვის (მათ შორის, თავისთავად არბიტრაჟისადმი მიმართვის) უფლების მიმნიჭებელი ნორმები. ეს არ გულისხმობს იმას, რომ ყველა სხვა დავა, რომელიც პირდაპირ არ არის აკრძალული, არბიტრაჟუნარიანია. არბიტრაჟუნარიანობის განსასაზღვრად ამოსავალი წერტილი თავად არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მოქმედების სფეროა.

**ბ. არბიტრაჟუნარიანობის კანონით განსაზღვრული ფარგლები**

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი შემდეგნაირად ადგენს არბიტრაჟის მიერ განხილვადი სააქმეების ფარგლებს:

*„არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის მონესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის.“<sup>53</sup>*

**პირთა თანასწორობაზე დამყარებული ურთიერთობა**

სამოქალაქო სამართალი აწესრიგებს პირთა თანასწორებაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს.<sup>54</sup> პირთა თანასწორობაზე დამყარებულ ურთიერთობაში მოიაზრება კერძოსამართლებრივი ბუნების ურთიერთობა, როდესაც დაშვებულია „ნების თავისუფალი გამოვლენისა და ურთიერთობის თავისუფლად დამყარებისა თუ კონტრაგენტის არჩევის შესაძლებლობა [...]“<sup>55</sup> და არა „ერთი პირის ბრძანების ან მისი დიქ-

<sup>53</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 1.2.; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 12.

<sup>54</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1.

<sup>55</sup> ლადო ჭანტურია, *სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი (2015)*, ხელმისაწვდომია [www.gccc.ge](http://www.gccc.ge), მუხლი 1, § 8, ნანახია: 13.11.2017 წ.

ტატის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობა.<sup>56</sup> არბიტრაჟიც, თავისი არსით, კერძოსამართლებრივი დავების გადასაჭრელად შექმნილი მექანიზმია; ამდენად, კანონის ეს მითითება ეხმიანება არბიტრაჟის არსებით როლს განიხილოს კერძოსამართლებრივი დავები. თუმცა, „პირთა თანასწორობა არ გამოორიცხავს კერძო სამართალში სუბორდინაციულ ურთიერთობებს [...]“, მაგალითად, ურთიერთობა სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორებსა და მართვის ორგანოებს შორის.<sup>57</sup>

ამასთანავე, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, სადაც ერთ-ერთი მხარე საბაზრო ძალაუფლებას ფლობს, სახელმწიფოს როლი მატულობს და, შესაბამისად, მატულობს ამ სფეროებში მისი ჩართულობა და რეგულირება (მაგალითად, მომხმარებელთა დაცვის კანონმდებლობა). რეგულირება შეიძლება გავრცელდეს არბიტრაჟის კონტექსტშიც. თუმცა, აღნიშნული სრულად არ გამოორიცხავს ასეთი დავების არბიტრაჟისადმი დაქვემდებარებას. ევროკავშირის მასშტაბით ბევრი ქვეყანა ბათილად აღიარებს მომხმარებლებთან დავის წარმოშობამდე დადებულ საარბიტრაჟო შეთანხმებას.<sup>58</sup> რიგი ქვეყნები აწესებენ გარკვეულ სტანდარტებს მომხმარებელთა დასაცავად.<sup>59</sup> მა-

<sup>56</sup> ლადო ჭანტურია, *სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი (2015)*, ხელმისაწვდომია [www.gccc.ge](http://www.gccc.ge), მუხლი 1, § 8, ნანახია: 13.11.2017 წ.

<sup>57</sup> იქვე.

<sup>58</sup> შვედეთის აქტი არბიტრაჟის შესახებ, მუხლი 6, გარკვეული გამონაკლისების გარდა კრძალავს მომხმარებლებთან დავის წარმოშობამდე დადებულ საარბიტრაჟო დათქმებს: „როდესაც დავა სამეწარმეო საზოგადოებასა და მომხმარებელს შორის ეხება ქონებას, მომსახურებას ან ნებისმიერ სხვა ქონებას, რომელიც მიწოდებულია ძირითადად პირადი მოხმარების მიზნით, არ შეიძლება მიეთითოს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობაზე, თუ იგი დადებულია დავის წარმოშობამდე“; ასევე, ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 617: საარბიტრაჟო შეთანხმება მენარმესა და მომხმარებელს შორის წამდვილია, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი მისი დადების მომენტისთვის დავა უკვე წარმოშობილია; დანიის კანონი არბიტრაჟის შესახებ, მუხლი 7.2 „მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო შეთანხმება დავის წარმოშობამდე დადებული, იგი არ არის მხოკავი მომხმარებლისათვის“. იმავე მუხლს ითვალისწინებს ნორვეგიის კანონი არბიტრაჟის შესახებ, მუხლი 11 „საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის მხარესაც მომხმარებელი წარმოადგენს, არ არის მომხმარებლისათვის მხოკავი, თუ იგი დადებულია დავის წარმოშობამდე“.

<sup>59</sup> გერმანია, ჩეხეთის რესპუბლიკა.

გალითად, ჩეხეთის აქტი №19/2012, რომლითაც ცვლილება შევიდა ჩეხეთის 1994 წლის არბიტრაჟის აქტში, სხვა დაცვის მექანიზმებს შორის, ადგენს მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს სამომხმარებლო დავის განმხილველი არბიტრის მიმართ, აგრეთვე სავალდებულოდ ითხოვს არბიტრის მხირდან გამჟღავნებას იმ შემთხვევაში, თუკი არბიტრი უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში იყო დანიშნული საქმეზე ერთ-ერთი მხარის მონაწილეობით. გერმანიაში კი, კანონი ითხოვს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმებას პირადად მოაწეროს ხელი მომხმარებელმა; ამასთან, საარბიტრაჟო დებულების შემცველი დოკუმენტი (მათ შორის ელექტრონული დოკუმენტი) უნდა აწესრიგებდეს მხოლოდ არბიტრაჟთან დაკავშირებულ საკითხებს.<sup>60</sup> დაცვითი მექანიზმების აუცილებლობა გამომდინარეობს ევროკავშირის 1993 წლის 5 აპრილის დირექტივიდან 93/13/EEC „უსამართლო დებულებებზე სამომხმარებლო ხელშეკრულებებში.“<sup>61</sup>

საქართველოში მომხმარებლების „დაცვის“ ერთადერთი კანონით გათვალისწინებული ფორმა არის გამკაცრებული წერილობითი ფორმის მოთხოვნა,<sup>62</sup> რომლის თანახმად მომხმარებელმა ხელი უნდა მოაწეროს საარბიტრაჟო შეთანხმებას.<sup>63</sup>

## ქონებრივი დავა

სამოქალაქო სამართალი, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად აღიარებს როგორც ქონებრივ, ისე არაქონებრივ (მაგალითად, ავტორობის უფლება, ღირსება) სიკეთეს.<sup>64</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი ადგენს, რომ არბიტრაჟუნარიანი შეიძლება იყოს მხოლოდ ქონებრივი დავა, ე.ი დავა, რომელიც არ ეხება პირად არაქონებრივ უფლებას.<sup>65</sup>

<sup>60</sup> გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 1032.5.

<sup>61</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო, გვ. 85.

<sup>62</sup> როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთი მხარე არის ფიზიკური პირი, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 8.4-8.6 არ მოქმედებს.

<sup>63</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.8.

<sup>64</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 7.

<sup>65</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 1.

## შეუძლიათ, თუ არა მხარებს, დავის მონესრიგება ერთმანეთს შორის?

არბიტრაჟის სპეციფიკურობიდან გამომდინარე,<sup>66</sup> მხარეებს არ შეუძლიათ არბიტრაჟს დაუქვემდებარონ დავა, რომელიც მესამე, საარბიტრაჟო შეთანხმებაზე არახელმძღვრელი, პირებისადმი წარმოშობს ვალდებულებებს; მაგალითად, გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ განიხილა, შეიძლებოდა თუ არა კომპანიის წესდებაში არსებული საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე, პარტნიორებს შორის დავა პარტნიორთა კრების ბათილობის თაობაზე გადასცემოდა არბიტრაჟს. სასამართლომ დაადგინა, რომ პარტნიორთა კრების გადანყვეტილებების თაობაზე დავის განხილვა არბიტრაჟის მიერ<sup>67</sup> შესაძლებელია შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში:<sup>68</sup>

- ✓ საარბიტრაჟო შეთანხმებაზე ყველა პარტნიორს უნდა ჰქონდეს თანხმობა განცხადებული;
- ✓ ყოველ პარტნიორს უნდა შეატყობინონ საარბიტრაჟო პროცესის დაწყებისა და პროცედურის მიმდინარეობის შესახებ;
- ✓ ყოველ პარტნიორს უნდა შეეძლოს საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირებაში მონაწილეობა (რომელიმე მხარის არბიტრის დანიშვნის შესახებ გადანყვეტილება შეიძლება მიიღოს ამ მხარეს მონაწილე პირთა უმრავლესობამაც), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არბიტრებს ნეიტრალური, მესამე პირი/ორგანიზაცია ნიშნავს (დამნიშვნელი ორგანო);
- ✓ გასათვალისწინებელია, რომ პარტნიორთა კრების ერთი გადანყვეტილებიდან გამომდინარე დავა ერთი და იმავე არბიტრაჟის მიერ იქნება განხილული.

აღნიშნული კრიტერიუმები უზრუნველყოფს იმას, რომ დავის დაწყების შემთხვევაში არ შეილახება სხვა, დავაში მონაწილეობის არმქონე

<sup>66</sup> არბიტრაჟი მხარეთა შეთანხმებაზე დაფუძნებული პროცესია, რომელსაც შედეგების წარმოშობა შეუძლია მხოლოდ მონაწილე მხარეთა მიმართ.

<sup>67</sup> გერმანიის ფედერალური სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის გადანყვეტილება, საქმე NeII ZR 255/08, SchiedsVZ 2009, 233.

<sup>68</sup> იქვე.

პარტნიორების უფლება; ე.ი. გადაწყვეტილება არ მიიღება იმ პირის მონაწილეობის გარეშე, რომელზედაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებამ.

ასევე, გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ, 2017 წლის 6 აპრილის განჩინებით, აღიარა პარტნიორის გარიცხვის თაობაზე დავის არბიტრაჟუნარიანობაც, თუმცა კონკრეტული საქმის გარემოებიდან გამომდინარე ჩათვალა, რომ წესდებაში არსებული საარბიტრაჟო შეთანხმება არ იცავდა ზემოთხსენებულ, 2009 წლის გადაწყვეტილებით დადგენილ სტანდარტებს, და ამის გამო ეს კონკრეტული დავა არ ექვემდებარებოდა არბიტრაჟის მიერ განხილვას.<sup>69</sup>

**გ. საერთაშორისო პრაქტიკა**

გასათვალისწინებელია, რომ დამკვიდრებული მოსაზრებით, რასაც სასამართლო პრაქტიკა და მკვლევარებიც იზიარებენ, საერთაშორისო საარბიტრაჟო რეჟიმში, საერთაშორისო არბიტრაჟის მიერ განხილვას დაქვემდებარებული დავის ფარგლები კიდევ უფრო ფართოა, ვიდრე ეროვნული არბიტრაჟისა.<sup>70</sup> შესაბამისად, არბიტრაჟუნარიანობის დადგენისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დავის საერთაშორისო ხასიათი და არბიტრაჟუნარიანი დავის ფარგლები უნდა შეაფასოს არბიტრაჟის სასარგებლო პრეზუმფციით.

პრეცედენტულ საქმეში - *Mitsubishi Motors Corp. v. Soler Chrysler-Plymouth*,<sup>71</sup> ამერიკის უზენაესმა სასამართლომ აღიარა, რომ საერთაშორისო დავა, რომელიც მოიცავდა კონკურენციის კანონმდებლობიდან გამომდინარე საკითხებს, შეიძლება დაქვემდებარებოდა არბიტრაჟს იმისდა მიუხედავად რომ კონკურენციის საკითხები არ იყო არბიტრაჟუნარიანი ეროვნულ კონტექსტში. სასამართლომ აღნიშნა, რომ არბიტრაჟის მხარდამჭერი პოლიტიკა, რომელიც

<sup>69</sup> გერმანიის ფედერალური სასამართლოს 2017 წლის 16 აპრილის განჩინება, საქმე №1 ZB 23/16.

<sup>70</sup> Julian D. M. Lew, Loukas A. Mistelis, et al., *Comparative International Commercial Arbitration* (Kluwer Law International, 2003), გვ. 199.

<sup>71</sup> ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს 1985 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Mitsubishi Motors Corp v Soler Chrysler Plymouth Inc.*, 473 US 614, 105 S Ct 3346, 3355 et seq.

გამომდინარეობდა არბიტრაჟის შესახებ ფედერალური აქტიდან, უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ამერიკის პოლიტიკა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა კონკურენციის საკითხების განხილვას კერძო პირების (არბიტრაჟის) მიერ.

#### 1.4.2. საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმა

საარბიტრაჟო შეთანხმების, როგორც გარიგების, ნამდვილობისათვის არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი ადგენს წერილობით ფორმას.<sup>72</sup> თუმცა კანონი მისდევს მოდელური კანონის სულისკვეთებას და მოქნილად განმარტავს, თუ რა ჩაითვლება წერილობით ფორმად. საარბიტრაჟო შეთანხმება მიიჩნევა წერილობით დადებულად, თუ „მისი შინაარსი დაფიქსირებულია ნებისმიერი ფორმით.“<sup>73</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების წერილობითი ფორმა დაცულად ითვლება მაშინაც კი, როდესაც:

- ა) სარჩელში მითითებულია საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსი და იგი არ არის უარყოფილი მოპასუხის მიერ შესაგებლის წარდგენის დროს;<sup>74</sup>
- ბ) შეთანხმება მიიღწევა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით;<sup>75</sup>
- გ) შეთანხმება ინკორპორირებულია სხვა დოკუმენტში რომელზეც გაკეთდა მითითება;<sup>76</sup>

შესაბამისად, არ არის საჭირო არსებობდეს ერთი დოკუმენტი, რომელსაც ორივე მხარე აწერს ხელს. მთავარია რაიმე ფორმით იყოს დაფიქსირებული საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსი, რაც საშუალებას მისცემს სასამართლოს გაიგოს რაზე შეთანხმდნენ მხარეები.

<sup>72</sup> იქვე, მუხლი 8.3.

<sup>73</sup> იქვე, მუხლი 8.4.

<sup>74</sup> იქვე, მუხლი 8.6.

<sup>75</sup> იქვე, მუხლი 8.5.

<sup>76</sup> იქვე, მუხლი 8.7.

დ) ამ მოქნილი მიდგომიდან კანონი ცნობს მხოლოდ ერთ გამო-  
ნაკლისს: როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე არის ფი-  
ზიკური პირი ან ადმინისტრაციული ორგანო. ასეთ შემთხვევებში  
კანონი ითხოვს მხარეთა მიერ ხელმოწერილ შეთანხმებას.<sup>77</sup>

**ა. სარჩელში მითითებულია საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსი  
და იგი არ არის უარყოფილი მოპასუხის მიერ შესაგებლის  
წარდგენის დროს**

საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობით დადებულად იმ  
შემთხვევაშიც, როდესაც ხდება სარჩელისა და შესაგებლის გაცვლა,  
სადაც ერთი მხარე მიუთითებს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება არ-  
სებობს, ხოლო მეორე მხარე აღნიშნულს არ უარყოფს.<sup>78</sup> ამ დროს მხარე  
ეთანხმება საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობას, კონკლუდენტურად  
ადასტურებს მას, რაც საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმას დაცულობას  
ანიჭებს.<sup>79</sup>

**ბ. საარბიტრაჟო შეთანხმება დადებულია ელექტრონული  
კომუნიკაციით**

ამჟამად, როდესაც ადამიანთა პირადი თუ საქმიანი ურთიერთობის  
დიდი ნაწილი ელექტრონული საშუალებებით წარიმართება, არ  
არის გასაკვირი, რომ კანონი პირდაპირ აღიარებს ელექტრონული  
შეტყობინებით გაფორმებულ საარბიტრაჟო შეთანხმებას. ამასთან,  
განმარტავს, რომ ელექტრონული შეტყობინება არის „*ნებისმიერი შე-  
ტყობინება, რომელსაც მხარეები გადასცემენ საინფორმაციო შეტყო-  
ბინების სახით. საინფორმაციო შეტყობინება არის ინფორმაცია,  
რომელიც მომზადებულია, გაგზავნილია, მიღებულია ან შენახულია  
ელექტრონული, მაგნიტური, ოპტიკური ან მსგავსი საშუალებით, მათ  
შორის, მონაცემთა ელექტრონული გადაცემით, ელექტრონული ფოს-  
ტით, ტელეგრაფით, ტელექსით ან ტელეფაქსით.*“<sup>80</sup>

<sup>77</sup> იქვე, მუხლი 8.8.

<sup>78</sup> იქვე, მუხლი 8.6.

<sup>79</sup> ჰონგ-კონგის უმაღლესი სასამართლოს 1995 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება სა-  
ქმეზე *Jiangxi Provincial Metal and Minerals Import and Export Corporation v Sulanser  
Co. Ltd.*, HKCFI 449.

<sup>80</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2.1.ბ).



თუმცა სასამართლოსთვის (მხარეების არბიტრაჟში გადამისამართებისათვის, ცნობა-აღსრულებისათვის, ა.შ.), ისევე როგორც თავად არბიტრაჟისათვის (უფლებამოსილების ფარგლების დადგენისათვის), მნიშვნელოვანია ობიექტურად დადგენადი იყოს საარბიტრაჟო შეთანხმების არსი. ამდენად, კანონი ითხოვს, რომ ელექტრონული შეტობინების შემთხვევაში, მასში მითითებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს შემდგომი გამოყენებისთვის. თუკი ელექტრონული შეტყობინება ავტომატურ განადგურებას ან სახეცვლილებას ექვემდებარება, მან შესაძლოა ვერ დააკმაყოფილოს დადგენილი ფორმის მოთხოვნა. კანონის დანაწესი, რომ ელექტრონული შეტყობინებით დადებული საარბიტრაჟო შეთანხმება ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემდგომი გამოყენებისთვის, ნიშნავს, რომ მიმოწერის წარდგენა უნდა შეიძლებოდეს, ე.ი. უნდა შეიძლებოდეს მისი რეპროდუქცირება.

### **გ. სხვა დოკუმენტში ასახული საარბიტრაჟო შეთანხმების ინკორპორირება**

წერილობითი ფორმა ჩაითვლება დაცულად, თუ ხელშეკრულებაში არსებობს მითითება სხვა/ისეთ დოკუმენტზე, რომელიც შეიცავს წერილობით საარბიტრაჟო დათქმას. მაგალითად, შესაძლებელია მხარეები შეთანხმდნენ, რომ მათ შორის გაფორმებული გადაზიდვის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს რომელიმე მხარის სტანდარტული პირობები, ხოლო ამ სტანდარტული პირობების ერთ-ერთი მუხლი შეიცავს საარბიტრაჟო დათქმას. კანონის მიხედვით, ეს ჩაითვლება წერილობითი ფორმით დადებულ საარბიტრაჟო შეთანხმებად, „თუ ამგვარი მითითება აღნიშნულ დათქმას ხდის ხელშეკრულების ნაწილად.“ მაშასადამე, გადაზიდვის ხელშეკრულებაში რომელიმე მხარის სტანდარტულ პირობებზე მითითებამ, სტანდარტულ პირობებში არსებული საარბიტრაჟო დათქმას, გადაზიდვის ხელშეკრულების ნაწილად უნდა გახადოს.

საერთაშორისო პრაქტიკა განსხვავებულია იმის მიხედვით, საჭიროა თუ არა ინკორპორირებისათვის საარბიტრაჟო შეთანხმებაზე პირდაპირი მითითება თუ საკმარისია იმ დოკუმენტზე მითითება, რომელშიც საარბიტრაჟო შეთანხმებაა მოცემული.

კანადის ფედერალურმა სასამართლომ საქმეში - *Miramichi Pulp and Paper Inc. v. Canadian Pacific Bulk Ship Services Ltd* <sup>81</sup>. – დაადგინა, რომ კონოსამენტის ზოგადი პირობების ინკორპორირება არ არის საკმარისი; იმისათვის, რომ მოხდეს კონოსამენტში არსებული საარბიტრაჟო დათქმის ინკორპორირება, საჭიროა არსებობდეს ნათელი და ზუსტი მითითება, როგორც არის „მათ შორის საარბიტრაჟო დათქმა“.

თუმცა, მოდელური კანონის მე-7 მუხლის (რომელსაც ეფუძნება არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი) მოსამზადებელი მასალები აჩვენებს, რომ საკმარისია მითითება დოკუმენტზე, რომელიც შეიცავს საარბიტრაჟო დათქმას. შესაბამისად, საარბიტრაჟო დათქმაზე პირდაპირი მითითება არ არის სავალდებულო<sup>82</sup>. ამ მიდგომას იზიარებენ ჰონგ-კონგის,<sup>83</sup> ბერმუდის,<sup>84</sup> კანადის,<sup>85</sup> ესპანეთის,<sup>86</sup> სინგაპურის<sup>87</sup> სასამართლოები.

## **დ. როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთი მხარე ფიზიკური პირი ან ადმინისტრაციული ორგანოა**

განსაკუთრებული ინტერესიდან გამომდინარე, არბიტრაჟის შესახებ

<sup>81</sup> კანადის ფედერალური სასამართლოს 1992 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Miramichi Pulp and Paper Inc. v. Canadian Pacific Bulk Ship Services Ltd.*, T-2839-89.

<sup>82</sup> 82A/CN.9/264, Analytical commentary on draft text of a model law on international commercial arbitration, under article 7, § 8; განხილულია: UNCITRAL 2012 Digest-ში, გვ. 30, § 18.

<sup>83</sup> ჰონგ-კონგის უმაღლესი სასამართლოს 1994 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Gay Constructions Pty. Ltd. and Spaceframe Buildings (North Asia) Ltd. v. Caledonian Techmore (Building) Limited & Hanison Construction Co. Ltd.* (როგორც მესამე პირი), 2 HKC 562.

<sup>84</sup> ბერმუდას უზენაესი სასამართლოს 1994 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *Skandia International Insurance Company and Mercantile & General.*

<sup>85</sup> კანადის ფედერალური სააპელაციო სასამართლოს 1994 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Nanisivik Mines Ltd. and Zinc Corporation of America v. Canarctic Shipping Co. Ltd.*, T-27-92.

<sup>86</sup> ესპანეთის უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Pueblo Film Distribution Hungary K.F.T. v. Laurenfilm S.A.*, საქმე №743/2003.

<sup>87</sup> სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 1999 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Concordia Agritrading Pte. Ltd. v. Cornelder Hoogewerff*, SGHC 269, 3 SLR(R) 618.

კანონი განსხვავებულ სტანდარტს აწესებს ფორმის მიმართ, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთი მხარე ფიზიკური პირი ან ადმინისტრაციული ორგანოა. ამ შემთხვევებში წერილობითი ფორმა დაკვლად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც შეთანხმება წერილობით დოკუმენტშია მოცემული და ხელმოწერილია მხარეების მიერ.<sup>88</sup> შესაბამისად, ფიზიკური პირთან ან ადმინისტრაციულ ორგანოსთან საარბიტრაჟო შეთანხმება არ შეიძლება დაიდოს ელექტრონულად, ან კონკლუდენტურად, საარბიტრაჟო სარჩელისა და შესაგებლის გაცვლით.

როგორც ჩანს, კანონმდებელს სურს უკეთ უზრუნველყოს ფიზიკური პირებისა და ადმინისტრაციული ორგანოების ინფორმირებული თანხმობა და ნების სიცხადე არბიტრაჟზე.

მომხმარებლებთან არბიტრაჟის თავისებურებები განხილულია 1.4.1.ბ. თავში.

### 1.4.3. საარბიტრაჟო შეთანხმების არსებითი პირობები

არბიტრაჟის შესახებ 2009 წლის კანონის მიღებამდე, კერძო არბიტრაჟის შესახებ 1997 წლის კანონის მე-2 მუხლი ითვალისწინებდა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმებაში აღნიშნული უნდა ყოფილიყო მხარეთა დასახელება და მათი საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი, დავის საგანი, შეთანხმების დრო და ადგილი.<sup>89</sup> თუმცა, მოქმედი კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ ასეთ პირობებს არ ითვალისწინებს. მოდელური კანონისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მსგავსად, საქართველოს კანონი ადგენს: „საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე.“<sup>90</sup>

<sup>88</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.8.

<sup>89</sup> კერძო არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, 2009 წლის რედაქცია (გაუქმებამდე), მუხლი 2.

<sup>90</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.

შესაბამისად, კანონის მიხედვით, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებით პირობებს (*essentialia negotii*) მხოლოდ შემდეგი მიეკუთვნება:<sup>91</sup>

- ა) მხარეთა შეთანხმება, დავა განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს;
- ბ) განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობა, რომელსაც განიხილავს არბიტრაჟი.

**ა. მხარეთა შეთანხმება, დავა განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს**

მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა გამოხატავდეს მხარეთა ნებას, დავის წარმოშობის შემთხვევაში მისი არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ.

**საჭიროა თუ არა არბიტრაჟზე შეთანხმება სავალდებულოდ იყოს ფორმულირებული?**

საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა წარმოშობდეს მხარეებისათვის სავალდებულო შედეგებს; ე.ი მათი არჩევანი უნდა იყოს მბოჭავი. როდესაც მხარეები თანხმდებიან, რომ [...] დავა განსახილველად „უნდა“ გადაეცეს, ან „გადაეცემა“ არბიტრაჟს, მხარეები ნათლად გამოხატავენ ნებას, შეიბოჭონ თავი და დავა გადასცენ არბიტრაჟს. თუმცა, საარბიტრაჟო შეთანხმებათა ნაწილი ზოგჯერ ადგენს, რომ მხარეებს „უფლება აქვთ“ ან „შეუძლიათ“ დავის განსახილველად მიმართონ არბიტრაჟს.<sup>92</sup> ნების ამგვარი გამოხატულება შეიძლება ერთი შეხედვით კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდეს მხარეთა ნებას დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ. თუმცადა, ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ მხარეები შეთანხმდნენ სამომავლოდ არბიტრაჟზე შეთანხმების უფლების თაობაზე. ასეთი განმარტება გამართლებულია, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ნათელია, რომ მხარეთა შეთანხმება მბოჭავ ძალას შეიძენს დამატებითი შეთანხმების

<sup>91</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.4.; Elliott Geisinger and Nathalie Voser (eds), *International Arbitration in Switzerland: A Handbook for Practitioners*, 2nd ed. (Kluwer Law International, 2013), გვ. 41.

<sup>92</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო, გვ. 71.

პირობებში. მაგალითად, ინდოეთის უზენაესმა სასამართლომ, საქმეში *-Jagdish Chander vs Ramesh Chander & Ors*,<sup>93</sup> ჩათვალა, რომ შემდეგი სახის საარბიტრაჟო შეთანხმებები არ ატარებდა სავალდებულო ხასიათს: „მხარეებს შეუძლიათ, თუ ასე გადაწყვეტენ, გადასცენ დავა არბიტრაჟს“; „დავის შემთხვევაში მხარეებმა უნდა განიხილონ დავის არბიტრაჟისათვის გადაცემა“; „ნებისმიერი დავა მხარეებს შორის, თუკი ისინი ასე შეთანხმდებიან, უნდა გადაეცეს არბიტრაჟს.“ სასამართლოს განმარტებით, ასეთი შეთანხმებები ერთგვარ წინარე შეთანხმებებს წარმოადგენენ, რომლითაც მხარეები გამოხატავენ მზადყოფნას, სურვილსა თუ მოლოდინს, რომ დავის წარმოშობისას ისინი დამატებით შეთანხმდებიან არბიტრაჟზე.<sup>94</sup>

ამ შემთხვევებისაგან განსხვავებით, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმება არ მიუთითებს დამატებითი შეთანხმების მიღწევაზე, სასამართლოები მიიჩნევენ, რომ მხარეთა შეთანხმება, დავის არბიტრაჟისთვის გადაცემის „შესაძლებლობის“ შესახებ მხოლოდ ხასიათს ატარებს. მაგალითად, ჰონგ-კონგის უმაღლესმა სასამართლომ, საქმეში – *China State Construction Engineering Corp Guangdong Branch v. Madiford Ltd.*,<sup>95</sup> შეაფასა შემდეგი საარბიტრაჟო შეთანხმების სავალდებულობა: „ხელშეკრულების ნაკლის შემთხვევაში, ორივე მხარე ეცდება მეგობრული მოლაპარაკებით მიაღწიოს შეთანხმებას. თუ მოლაპარაკების შედეგად შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, საკითხი განსახილველად შეიძლება გადაეცეს არბიტრაჟს [...]“. მოსამართლე ნილ ვაპლანმა, განმარტა, რომ „სიტყვა „შეუძლიათ“-ის გამოყენება არ აძლევს მოსარჩელეს უფლებას უგულებელყოს მოპასუხის უფლება არბიტრაჟზე. როგორც კი ერთი ან მეორე მხარე აირჩევს არბიტრაჟს [...], მეორე მხარე ვალდებულია პატივი სცეს საარბიტრაჟო შეთანხმებას. [...] საბოლოოდ, ჩემი აზრით, ეს ის შემთხვევაა, როდესაც სიტყვა „შეუძლია“ ნიშნავს „უნდა“-ს. მსგავსი

<sup>93</sup> ინდოეთის უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Jagdish Chander vs Ramesh Chander & Ors*. საქმე №4467/2002.

<sup>94</sup> იქვე.

<sup>95</sup> ჰონგ-კონგის უმაღლესი სასამართლოს 1992 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *China State Construction Engineering Corporation Guangdong Branch v Madiford Ltd.*, 1 HKC 320.

გადაწყვეტილება მიიღო აშშ-ს მეოთხე ოლქის სასამართლომ საქმეში - *United States v. Bankers Insurance Company*,<sup>96</sup> სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც შეიცავდა ფორმულირებას – „შესაძლოა გადაეცეს არბიტრაჟს“, იყო მბოჭავი, ვინაიდან სხვაგვარი განმარტება „აზრს დაუკარგავდა დებულებას ყველა პრაქტიკული მიზნით“, რადგან მხარეებს ისედაც ნებისმიერ დროს შეეძლოთ არბიტრაჟზე შეთანხმება.

## ბ. განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობა

საარბიტრაჟო შეთანხმების დადებით მხარეებს არა მარტო ენიჭებათ უფლებები და ეკისრებათ ვალდებულებები; ისინი აგრეთვე თმობენ გარკვეულ საპროცესო უფლებებს.<sup>97</sup> კერძოდ, მხარეები უარს ამბობენ სასამართლოზე და ირჩევენ დავა დაუქვემდებარონ მართლმსაჯულების კერძო მექანიზმს. საარბიტრაჟო დათქმის ეს ეფექტი განაპირობებს იმას, რომ საქართველოს კანონი, ისევე როგორც ქვეყანათა უმრავლესობის კანონმდებლობა ითხოვს, რომ განისაზღვროს ის სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის არბიტრაჟისათვის გადაცემაზეც თანხმდებიან მხარეები. მაგალითად, მხარეთა შეთანხმება შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: **„ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულებით ან მასთან დაკავშირებით [...]“**. ამ შემთხვევაში, სამართლებრივი ურთიერთობა განსაზღვრულია „წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით“ წარმოშობილი დავებით. თუმცა, თუკი მხარეები ზოგადად თანხმდებიან, რომ მათ შორის მომავალში წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაეცეს არბიტრაჟს, ეს არ იქნება ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში სახეზე არ იქნება „განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობა“. ამგვარად, კანონი უზრუნველყოფს, რომ მხარეებს გათვითცნობიერებული ჰქონდეთ ურთიერთობა (რა სახის ურთიერთობაა, რა საგანზე, ვისთან, რა პირობაზე), რომელსაც ისინი, დავის შემთხვევაში, დაუქვემდებარებენ არბიტრაჟს.

<sup>96</sup> ამერიკის შვერთებული შტატების მე-4 ოლქის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *United States v Bankers Insurance Company*, 245 F.3d 315.

<sup>97</sup> ECtHR, 2010 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Suda v the Czech Republic*, №1643/06, §§ 48-49.

#### 1.4.4. მოიცავს თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლები მხარეთა შორის წარმოშობილ დავას

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი ამბობს, რომ არბიტრაჟში საქმის გადამისამართება მოხდება მაშინ, როდესაც სარჩელი შეტანილია „იმ დავის არსებით საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია.“ შესაბამისად, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, მოიცავს თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლები დავას, რომელზეც შეტანილია სარჩელი.

შესაძლოა არსებობდეს ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმება, მაგრამ მისი ფარგლები იყოს შეზღუდული. მაგალითად, მხარეებს შეიძლება გათვალისწინებული ჰქონდეთ, რომ არბიტრაჟს გადასცენ მხოლოდ სახელშეკრულებო ფასის განსაზღვრასთან დაკავშირებული დავა, ხოლო ხელშეკრულების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნები განიხილოს სასამართლომ. ან, მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ, რომ გარკვეულ ოდენობამდე დავები გადაეცეს სასამართლოს, ხოლო ზღვრული ოდენობის მიღმა (მაგალითად, 5000 ლარს ზევით) დავა დაექვემდებაროს არბიტრაჟს.

თუმცა სტანდარტულად, საარბიტრაჟო დათქმები შემდეგნაირად არის ფორმულირებული – **ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით [...],<sup>98</sup> ან „ნებისმიერი უთანხმოება, რომელიც ვერ გადაწყდება მოლაპარაკების გზით გადაეცემა არბიტრაჟს.“** ამგვარი საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლები ფართოა და მოიცავს როგორც წინარე სახელშეკრულებო ურთიერთობას, ისე ხელშეკრულების ინტერპრეტაციის და მისი დარღვევის შემთხვევაში წარმოშობილ მოთხოვნებთან დაკავშირებულ დავებს.<sup>99</sup> ამასთანავე, ზოგადი შეთანხმების ფარგლები შესაძლებელია მოიცავდეს დე-

<sup>98</sup> Elliott Geisinger and Nathalie Vosser (eds), *International Arbitration in Switzerland: A Handbook for Practitioners*, 2nd ed. (Kluwer Law International, 2013), გვ. 41.

<sup>99</sup> ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლოს 1994 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Aggeliki Charis Compania aritima SA v Pgnan SpA*, 1 Lloyd's Rep 87.



ლიქტურ მოთხოვნებსაც, „როდესაც სახელშეკრულებო საკითხის გადნყვეტა მნიშვნელოვანია დელიქტური სარჩელის გადასანყვეტად, ან, სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნები ისე მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, ფაქტების გათვალისწინებით, არბიტრაჟზე შეთანხმება შეიძლება განიმარტოს ორივე საკითხის განსჯადობაზე შეთანხმებად.“<sup>100</sup>

ბემოსხენებული ფართო ფორმულირება ყოველთვის არ გვაქვს სახეზე. არის შემთხვევები, როდესაც საარბიტრაჟო დათქმა შესაძლოა მიუთითებდეს, რომ „ხელშეკრულების განმარტებასთან დაკავშირებული დავა“ უნდა დაექვემდებაროს არბიტრაჟს. ასეთ შემთხვევაში დგება საკითხი, მოიცავს თუ არა ამგვარი საარბიტრაჟო დათქმა ძირითად და მეორად მოთხოვნებთან დაკავშირებულ დავებს. შვეიცარიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა საარბიტრაჟო დათქმის ფარგლებზე, რომელიც შემდგენიარად იყო ჩამოყალიბებული: „თუკი წარმოიშობა უთანხმოება წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი დებულების განმარტებასთან დაკავშირებით, მხარეები თანხმდებიან, რომ დავას გადასცემენ სკორტის საარბიტრაჟო სასამართლოს, ლუზანაში, შვეიცარია, რომლის გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და მბოჭავი ორივე მხარისათვის.“<sup>101</sup> დავა მხარეებს შორის წარმოიშვა ხელშეკრულების შეწყვეტისა და ფულადი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით. მოპასუხემ ეჭვქვეშ დააყენა ტრიბუნალის იურისდიქცია იმ საფუძვლით, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება მხოლოდ ხელშეკრულების განმარტებასთან დაკავშირებულ დავებს უქვემდებარებდა არბიტრაჟს. სასამართლომ განმარტა, რომ დათქმა შესაძლოა ერთი შეხედვით შეზღუდულად ყოფილიყო მიჩნეული, თუმცა იგი ხელშეკრულების განმარტებასთან ერთად ასევე მოიცავდა ხელშეკრულების შესრულებიდან გამომდინარე დავებს. სასამართლოს აზრით, სასამართლომ მარტივად არ უნდა

<sup>100</sup> ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლოს 1994 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Aggeliki Charis Compania aritima SA v Pgnan SpA*, 1 *Lloyds Rep* 87.

<sup>101</sup> შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს 2011 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე №4A\_103/2011.



ივარაუდოს მხარეთა ნება არბიტრაჟის შესახებ, თუმცადა, თუ მხარეთა ნება არბიტრაჟის მიერ დავის განხილვის თაობაზე აშკარაა, რაც ამ შემთხვევაში სახეზე იყო, მაშინ საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლები სასამართლომ ფართოდ უნდა განმარტოს. ფართო განმარტება შესაბამისობაშია პროცედურული ეფექტიანობის მიზანთან და უზრუნველყოფს პროცედურის ეკონომიურობას. როგორც ინგლისის უმაღლესმა სასამართლომ განმარტა საქმეში - *Fiona Trust & Holding Corporation v Yuri Privalov*:<sup>102</sup>

**„საარბიტრაჟო შეთანხმების კონსტრუქცია უნდა შეფასდეს პრეზუმციით, რომ მხარეები, როგორც რაციონალური ბიზნესმენები, ისურვებდნენ, რომ ის ურთიერთობა, რომელშიდაც შედიან, ან კისრულობენ ვალდებულებას რომ შევიდნენ, გადაწყვეტილი იქნება ერთი და იმავე ტრიბუნალის მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შეთანხმების ფორმულირება ნათელყოფს, რომ გარკვეული საკითხები გამორიცხულია არბიტრთა იურისდიქციიდან.“**

**1.4.5. ნაკლიანი, მაგრამ ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმებები**  
საუკეთესო შემთხვევაში მხარეები გათვითცნობიერებულნი არიან საარბიტრაჟო კანონმდებლობაში, ან ჰყავთ იურისტები, რომლებიც ეხმარებიან საარბიტრაჟო შეთანხმებების შედგენაში. თუმცა რეალობა იმგვარია, რომ შესაძლოა, არც მხარეებმა და არც მათმა იურისტებმა არ იცოდნენ საარბიტრაჟო კანონმდებლობის ნიუანსები, ან უბრალოდ დაუშვან შეცდომა. ნაკლიანი, არასრულყოფილი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დეფექტური, საარბიტრაჟო დებულებები საკმაოდ ხშირია პრაქტიკაში. თუმცა, ნაკლი თავისთავად არ ნიშნავს, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დადგეს საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა. როდესაც დეფექტი საარბიტრაჟო შეთანხმების არაარსებით პირობას ეხება, მისი შევსება შესაძლებელია მხარეთა მიერ შეთანხმებული

<sup>102</sup> ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *Fiona Trust & Holding Corporation v Yuri Privalov*, APP.L.R. 01/24.

საარბიტრაჟო ინსტიტუტის ან *ad hoc* წესებით ან თავად საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ საქართველოს კანონის ნორმებით. რამდენად არსებითია ნაკლი უნდა შეფასდეს კონკრეტული გარემოებების ფონზე, რათა დადგინდეს რამდენად ექვემდებარება ის გამოსწორებას და, შესაბამისად, არის თუ არა შესაძლებელი საარბიტრაჟო შეთანხმების „გადარჩენა“ სასამართლოს მიერ ობიექტური განმარტების გზით.

სინგაპურის სააპელაციო სასამართლო პრეცედენტულ საქმეში *In-sigma Technology Co Ltd v Alstom Technology Ltd*<sup>103</sup> დაეყრდნო საარბიტრაჟო შეთანხმების „ეფექტიანი განმარტების“ მეთოდს, და დაადგინა: „როდესაც მხარეებმა ნათლად გამოხატეს დავის არბიტრაჟის მეშვეობით განხილვის ნება, სასამართლომ უნდა აღასრულოს ასეთი ნება, მაშინაც კი, როდესაც შეთანხმების გარკვეული ასპექტები ბუნდოვანია, შეუსაბამოა ან ნაკლიანია გარკვეულ საკითხებში, თუკი საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება წარიმართოს მხარეების უფლებების შელახვის გარეშე და [საარბიტრაჟო შეთანხმების] აღსრულება არ გამოიწვევს ისეთ არბიტრაჟს, რომელიც მხარეთა მიერ არ იყო წარმოდგენადი.“

აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის საკითხი დგება მაშინ, როდესაც მხარეები უკვე ერთმანეთთან დავაში იმყოფებიან. შესაბამისად, ამ ფონზე, ერთ-ერთი მხარე ყოველთვის (ან უმეტესწილად) ეცდება მეორე მხარისთვის დაბრკოლებების შექმნას, რისი ერთ-ერთი საშუალებაც შეიძლება საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობაზე შედავება იყოს. ამდენად, ის ფაქტი, რომ დავის ეტაპზე ერთ-ერთი მხარე სადავოდ ხდის საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობას თავისთავად არ არის იმის მაჩვენებელი, რომ ამ მხარეს, საარბიტრაჟო შეთანხმების დადების დროს, არ სურდა დავის არბიტრაჟისთვის დაქვემდებარება. საარბიტრაჟო კანონმდებლობის მიღების ერთ-ერთი მიზანი სწორედ საარბიტრაჟო შეთანხმებების აღსრულების უზრუნველყოფაა. ამგვარი

<sup>103</sup> სინგაპურის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *In-sigma Technology Co Ltd. v Alstom Technology Ltd.*, 3 SLR(R) 936 § 31.

აღსრულების იარაღი კი სასამართლოა, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმებით შებოჭილ მხარეებს გადაამისამართებს არბიტრაჟში, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ერთი მათგანი აღარ იყოს მოსურნე, ან სხვა რაიმე მიზეზით სადავოდ ხდიდეს საარბიტრაჟო დათქმას.

ნაკლიანი საარბიტრაჟო დებულებები მრავალი სახისაა. ქვემოთ მიმოვიხილავთ რამდენიმე ნაკლის ყველაზე ხშირ შემთხვევებს.

### **ა. როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში არ არის მითითებული არბიტრების რაოდენობა, დანიშვნის წესი, გამოსაყენებელი სამართალი ან წარმოების ენა**

საარბიტრაჟო დებულებები, სადაც ამომწურავად არის მითითებული დავის განხილვისათვის მნიშვნელოვანი ყველა ელემენტი, საკმაოდ იშვიათია. საარბიტრაჟო დებულებათა უმეტესობა არ შეიცავს პირდაპირ მითითებას ჩამოთვლილთაგან სულ მცირე ერთ ელემენტზე, როგორცაა: არბიტრების რაოდენობა, დანიშვნის წესი, წარმოების ენა და გამოსაყენებელი სამართალი. როგორც წესი, საარბიტრაჟო დებულებებში მითითებულია მხოლოდ საარბიტრაჟო წარმოების წესები ან საარბიტრაჟო დაწესებულება, რომლის წესების მიხედვითაც მხარეებს სურთ დავის განხილვა. არის შემთხვევები, როდესაც საერთოდ არ არის საარბიტრაჟო წესებზე მითითება, არამედ შეთანხმებულია მხოლოდ საარბიტრაჟო განხილვის ადგილი. ასეთ შემთხვევაში, მხარეთა არჩევანი კონკრეტულ საარბიტრაჟო წესებზე, ან არბიტრაჟის ადგილზე, მიიჩნევა მხარეთა ირიბ შეთანხმებად იმაზე, რომ შესაბამისი წესების, ან ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით მოაწესრიგონ ზემოთმითითებული საკითხები. არსებული ნაკლოვანებების შევსება სწორედ მხარეთა მიერ მითითებული წესების ან საარბიტრაჟო განხილვის ადგილის კანონმდებლობით დადგენილი ნორმების მიხედვით ხდება.

მაგალითად, თუ საარბიტრაჟო დათქმა მიუთითებს საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრზე, ამ ცენტრის საარბიტრაჟო წესების მე-12 მუხლი ადგენს არბიტრების რაოდენობას, მე-13 მუხლი - მათი დანიშვნის წესს, 24-ე მუხლი გამოსაყენებელ სამართალს,

ხოლო 25-ე მუხლი არეგულირებს საარბიტრაჟო წარმოების ენას.<sup>104</sup> ამ საკითხების რეგულირება მოცემულია უმრავლეს ინსტიტუციონალურ (საარბიტრაჟო დაწესებულებების) თუ *ad hoc* საარბიტრაჟო წესებში. თუკი მხარეებს არა აქვთ არჩეული *ad hoc* წარმოების წესები და საარბიტრაჟო დებულება მიუთითებს მხოლოდ არბიტრაჟზე ერთ-ერთ ქვეყანაში, მაგალითად, საქართველოში, მაშინ შესაბამისი ქვეყნის საარბიტრაჟო კანონმდებლობით ხდება ზემოთმითითებული საკითხების მოწესრიგება. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი განსაზღვრავს არბიტრების რაოდენობას, მე-11 მუხლი - მათი დანიშვნის წესს, 29-ე მუხლი საარბიტრაჟო წარმოების ენას, ხოლო 36-ე მუხლი გამოსაყენებელ სამართალს. მსგავს დისპოზიციურ ნორმებს ითვალისწინებს ქვეყანათა უმრავლესობის კანონმდებლობაც. შესაბამისად, საარბიტრაჟო შეთანხმებაში ისეთი ელემენტების, როგორცაა არბიტრების რაოდენობა, დანიშვნის წესი, გამოსაყენებელი სამართალი თუ წარმოების ენა, გაუთვალისწინებლობა ტრივიალური დეფექტი არ არის და არ უნდა გახდეს საარბიტრაჟო შეთანხმებისთვის საფრთხის შემცველი. ეს საკითხები მარტივად მოწესრიგდება იმ საარბიტრაჟო წარმოების წესების ან იმ ქვეყნის საარბიტრაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, რომელზეც მითითება გააკეთეს მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში.

**ბ. როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში არ არის მითითებული საარბიტრაჟო განხილვის ადგილი**

საარბიტრაჟო განხილვის ადგილზე შეთანხმება არ წარმოადგენს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებით პირობას. ჩვეულებრივ პირობებში, შესაძლებელია მხარეები საერთოდ არ შეთანხმდნენ საარბიტრაჟო განხილვის ადგილზე, თუმცა შეთანხმდნენ საარბიტრაჟო ინსტიტუტზე, რომლის წესების საფუძველზე დანიშნული არბიტრები შემდგომი თვითონ განსაზღვრავენ საარბიტრაჟო განხილვის ადგილს.<sup>105</sup>

<sup>104</sup> საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის 2017 წლის 10 მარტს დამტკიცებული წესები ხელმისაწვდომია: [www.giac.ge](http://www.giac.ge). ნანახია: 13.11.2017 წ.

<sup>105</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 25.1.: „*მხარეთა შეთანხმების არარსებობისას საარბიტრაჟო განხილვის ადგილს განსაზღვრავს არბიტრაჟი საქმის გარემოებებისა და იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მოსახერხებელია ეს ადგილი მხარეებისათვის.*“

## ადგილის მნიშვნელობა

საარბიტრაჟო განხილვის ადგილს აქვს როგორც ფიზიკური, ისე სამართლებრივი მნიშვნელობა. ეს მნიშვნელობა მცირეა ფიზიკური/გეოგრაფიული დატვირთვის მხრივ, ვინაიდან ქვეყანათა უმრავლესობის კანონმდებლობა და საარბიტრაჟო წარმოების წესები, ისევე როგორც საქართველოს კანონი, ადგენენ, რომ არბიტრაჟის ადგილის განსაზღვრის მიუხედავად, არბიტრაჟს შეუძლია ნებისმიერ ადგილას ჩაატაროს სხდომა.<sup>106</sup> არბიტრაჟის ადგილის განსაზღვრას უფრო მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს სამართლებრივი თვალსაზრისით.

საარბიტრაჟო განხილვის ადგილი განსაზღვრავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების „ნაციონალობას“, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო არბიტრაჟის შემთხვევაში გადაწყვეტილების გაუქმებისას, მისი ცნობა-აღსრულებისას, გამოსაყენებელი სამართლის დადგენისას; ასევე, საარბიტრაჟო განხილვის ადგილს განსაკუთრებული დატვირთვა მაშინ ეძლევა, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმება ნაკლიანია, ანდა მხარეების მიერ შეთანხმებული საარბიტრაჟო პროცესი დეფექტური, განუხორციელებელი ხდება. ასეთ დროს ნაკლის გამოსწორების მექანიზმად კანონი გამონაკლისს უშვებს საარბიტრაჟო პროცესში სასამართლოს ჩარევის აკრძალვაში, რათა სასამართლოს დახმარებით (მაგალითად, არბიტრის დანიშვნით), აღსრულდეს მხარეთა ნება და შედგეს არბიტრაჟი.<sup>107</sup> იმისათვის, რომ მხარემ მიმართოს სასამართლოს დეფექტის გამოსასწორებლად, ჯერ უნდა დადგინდეს თუ რომელი სასამართლოა ამ მხრივ კომპეტენტური, რათა აღმოუჩინოს მხარეს დახმარება. სასამართლოს კი კანონის მიხედვით მაშინ აქვს კომპეტენცია ჩაერთოს საარბიტრაჟო პროცესში, როდესაც საარბიტრაჟო განხილვა მის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ან უნდა გაიმართოს.<sup>108</sup> მაგალითად, არბიტრების დანიშვნის მხარეთა მიერ შეთანხმებული პროცედურის განუხორციელებლობისას, სწორედ

<sup>106</sup> იქვე, მუხლი 25.2.

<sup>107</sup> იქვე, მუხლი 6.2.

<sup>108</sup> იქვე, მუხლი 2.1.

საარბიტრაჟო განხილვის ადგილის მიხედვით ადგენს სასამართლო კომპეტენციას და ნიშნავს არბიტრებს.<sup>109</sup> თუ სასამართლო ვერ დაადგენს კომპეტენციას, მაშინ შესაძლოა საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულება შეუძლებელი გახდეს.<sup>110</sup>

შესაბამისად, საარბიტრაჟო შეთანხმებაში საარბიტრაჟო განხილვის ადგილის გაუთვალისწინებლობა ავტომატურად არ იწვევს საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობას ან მისი შესრულების შეუძლებლობას. თუმცა, ადგილის გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა პრობლემა წარმოშვას მაშინ, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმების სხვა ნაკლის გამოსასწორებლად საჭიროა სასამართლოს ჩართულობა, ხოლო სასამართლო ვერ ერთვება, რადგან განხილვის ადგილის დაუდგენლობის გამო ვერ ადგენს კომპეტენციას.

### **გ. როდესაც საარბიტრაჟო ინსტიტუტის სახელწოდება არასწორადაა მითითებული**

ზოგ შემთხვევაში, საარბიტრაჟო შეთანხმებაში არასაკმარისად კონკრეტულად ან შეცდომით არის მოხსენიებული დავის განმხილველი საარბიტრაჟო დაწესებულების სახელწოდება. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ჯერ ადგენს მხარეთა სუბიექტურ ნებას, ხოლო შემდეგ ობიექტური განმარტებით განსაზღვრავს, თუ რომელი საარბიტრაჟო ინსტიტუტი/წესები იგულისხმეს ან შეეძლოთ ეგულისხმათ მხარეებს. უცხოური პრაქტიკა ცხადხყოფს, რომ როდესაც ნათელია მხარეთა ნება, დავა დაუქვემდებარონ არბიტრაჟს, სასამართლოები ცდილობენ „გადაარჩინონ“ საარბიტრაჟო დათქმა, რომელშიც არასწორად არის მოხსენიებული საარბიტრაჟო ინსტიტუტი ან წესები და ობიექტური გარემოებების შეფასებით დაადგინონ, რომელი დაწესებულება ან წესები შეეძლოთ ეგულისხმათ მხარეებს.

<sup>109</sup> იქვე, მუხლი 2.1.

<sup>110</sup> Nigel Blackaby, Constantine Partasides, Alan Redfern, Martin Hunter, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 6th ed. (Oxford University Press, 2015), გვ. 243-244.

მაგალითად, ფრანკფურტის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ განიხილა საქმე, რომლის მასალების მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ „მათ შორის წარმოშობილი ყველა დავა განიხილება ICC ბრიუსელის საარბიტრაჟო წესების მიხედვით, ან მისი მემკვიდრე ორგანიზაციების მიერ; საარბიტრაჟო განხილვის ადგილია ბრიუსელი.“<sup>111</sup> ფრანკფურტის სასამართლომ დაადგინა, რომ თუმცა „ICC ბრიუსელის წესები“ არ არსებობს, მაგრამ ICC საქვეყნოდ ცნობილი, საერთაშორისო სავაჭრო პალატის აბრევიატურაა, და შესაბამისად, ობიექტურად დგინდება, რომ მხარეებს დავის განხილვა სურდათ ბრიუსელში საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს წესების შესაბამისად.

ჩინეთის უზენაესმა სახალხო სასამართლომ ასევე აღასრულა საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც შეიცავდა შემდეგ მითითებას – „*ჩინეთი ან ტიანშანის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის საბჭო.*“<sup>112</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ ტიანშანის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის საბჭო არ არსებობდა; ჩინეთის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის საბჭო კი ობიექტურად გულისხმობდა ჩინეთის საერთაშორისო ეკონომიკურ და სავაჭრო კომისიას – CIETAC-ს, რადგან კომისია შექმნილია თვით ჩინეთის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის საბჭოს მიერ და მხარეებს ობიექტურად ის უნდა ეგულისხმათ შეთანხმებაში; შესაბამისად, საარბიტრაჟო შეთანხმება ნამდვილად ჩაითვალა.<sup>113</sup>

შესაბამისად, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში საარბიტრაჟო ინსტიტუტი არასწორადაა მითითებული, სასამართლომ უნდა დაადგინოს, არის თუ არა შესაძლებელი შეცდომის მიუხედავად იმის

<sup>111</sup> ფრანკფურტის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №26 Sch 6/06.

<sup>112</sup> Wei Sun and Melanie Willems, *Arbitration in China* (Kluwer Law International, 2015), გვ. 75.

<sup>113</sup> ჩინეთის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Air Building Materials (Tianjin) Co., Ltd. v German Masa (Group) Co., Ltd., Masa (Tianjin) Building Material Machinery Co., Ltd.*, განხილულია: Wei Sun and Melanie Willems, *Arbitration in China* (Kluwer Law International, 2015), გვ. 75.



დადგენა, თუ რომელი საარბიტრაჟო ინსტიტუტი/წესები უნდა ჰქონოდათ მხარეებს მხედველობაში. თუ ობიექტური გარემოებების შეფასებით შესაძლებელია საარბიტრაჟო დაწესებულების იდენტიფიცირება მაშინ საარბიტრაჟო შეთანხმება, თუმცა ნაკლიანი, უნდა აღსრულდეს და მხარეები მიმართულ უნდა იქნენ არბიტრაჟში.

**დ. როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითება კეთდება საარბიტრაჟო ინსტიტუტის წესებზე (და არა ინსტიტუტზე)**

როდესაც საარბიტრაჟო დათქმა მიუთითებს არა საარბიტრაჟო ინსტიტუტზე, არამედ საარბიტრაჟო ინსტიტუტის წესებზე, ობიექტური განმარტების საფუძველზე უმრავლეს შემთხვევაში მიიჩნევა, რომ მხარეებს საარბიტრაჟო წესების მიხედვით ამავე ინსტიტუტის არჩევა სურდათ. უფრო მეტიც, ხშირად თავად საარბიტრაჟო დაწესებულებების მოდელური (სანიმუშო) საარბიტრაჟო დათქმები მიუთითებენ წესებზე და არა ინსტიტუტზე.<sup>114</sup>

თბილისის სააპელაციო სასამართლომ შეაფასა საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელშიც მხარეები შეთანხმდნენ დავა განეხილათ საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის წესების შესაბამისად, თუმცა არ მიუთითებდნენ თავად ცენტრის მიერ დავის განხილვის ადმინისტრირებაზე. აღნიშნული ცენტრის წესების მიხედვით კი, მის წესებზე მითითება სწორედ ცენტრის მიერ დავის განხილვას გულისხმობდა.<sup>115</sup> სასამართლომ ობიექტურად განმარტა შეთანხმება და მიიჩნია, რომ მხარეებს დავის განსახილველად საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი ჰქონდათ არჩეული.

<sup>114</sup> ICC-ს სტანდარტული დათქმა: „ნებისმიერი დავა გამომდინარე ან დაკავშირებული წინამდებარე ხელშეკრულებასთან უნდა იქნეს საბოლოოდ გადანევრეტილი საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად ამ წესების მიხედვით დანიშნული ერთი ან რამოდენიმე არბიტრის მიერ“; LCIA-ს სტანდარტული დათქმა: „ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, მათ შორის, ხელშეკრულების ნამდვილობის, არსებობის ან შეწყვეტის შესახებ, უნდა გადაეცეს და საბოლოოდ იქნეს გადანევრეტილი არბიტრაჟის მიერ LCIA-ს წესების შესაბამისად, რომლებიც ინკორპორირებულია წინამდებარე დათქმაში.“

<sup>115</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინება, საქმე №2ბ/4905-16.



## ე. როდესაც მხარეებს არჩეული აქვთ *ad hoc* არბიტრაჟი, შესაბამისი წესების გათვალისწინებით ან მის გარეშე

არბიტრაჟი ორი ფორმით შეიძლება წარიმართოს: ა) ინსტიტუციონალური არბიტრაჟი, როდესაც დავას საარბიტრაჟო ინსტიტუტის წესებითა და მისი ადმინისტრირებით განიხილავს საარბიტრაჟო ტრიბუნალი; ბ) *ad hoc* არბიტრაჟი, როდესაც მხარეები თანხმდებიან საარბიტრაჟო ინსტიტუტის ადმინისტრირების გარეშე, თვითონ (და მათ მიერ არჩეულმა არბიტრებმა) წარმართონ საარბიტრაჟო პროცესი მათ მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.<sup>116</sup> *ad hoc* არბიტრაჟის სტანდარტული დათქმა შეიძლება შემდეგნაირად გამოიყურებოდეს: „წინამდებრე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება არბიტრაჟში მიმართვით. არბიტრაჟის ადგილი იქნება საქართველო. საარბიტრაჟო წარმოება წარიმართება ქართულ ენაზე. საარბიტრაჟო ტრიბუნალი შედგება სამი არბიტრისგან, რომელთაგან თითო არბიტრს ნიშნავენ მხარეები, ხოლო მესამე არბიტრს – თავმჯდომარეს – ნიშნავენ მხარეების მიერ არჩეული არბიტრები.“ ამგვარ დებულებაში არ არის პირდაპირ მითითებული, რომ დავა *ad hoc* წესით შექმნილმა არბიტრაჟმა უნდა განიხილოს, თუმცა ვინაიდან არ არის მითითებული არც საარბიტრაჟო დაწესებულება და არც რომელიმე დაწესებულების წესები, ივარაუდება, რომ მხარეები შეთანხმდნენ *ad hoc* არბიტრაჟზე.

2015 წელს არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 2.2. მუხლში შევიდა ცვლილება, რომლის მიზანი იყო სწორედ *ad hoc* არბიტრაჟის დაშვება. თავად მუხლი (2.2.), შესაძლოა არ არის საკმარისად ნათელი, რაც საკანონმდებლო ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა ნათელია კანონმდებლის ნება, რასაც ვკითხულობთ კანონის ცვლილებებზე მომზადებულ განმარტებითი ბარათში. განმარტებითი ბარათის თანახმად, აღნიშნულ მუხლში ცვლილების შეტანის შედეგად, „UNCITRAL-ის მოდელური კანონის მსგავსად, მხარეებს ექნებათ შე-

<sup>116</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინება, საქმე №2ბ/4905-16.

საძლებლობა მიმართონ კონკრეტული დავის გადასაწყვეტად შექმნილ (*ad hoc*) არბიტრაჟსაც.<sup>117</sup>

შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ დავა დაუქვემდებარონ არაინსტიტუციურ, ე.წ. *ad hoc* არბიტრაჟს. ასეთ შემთხვევაში, მხარეებმა შესაძლოა აირჩიონ *ad hoc* საარბიტრაჟო წარმოებისთვის შექმნილი წესები (მაგალითად, UNCITRAL Arbitration Rules), ან სხვა, არაინსტიტუციური წესები, ან თუნდაც რომელიმე ინსტიტუტის წესები მოდიფიცირებული სახით. თუმცა, მხარეებმა შესაძლოა საერთოდ არ გააკეთონ მითითება საარბიტრაჟო წარმოების წესებზე. ასეთ შემთხვევაში საარბიტრაჟო წარმოების პროცედურა დგინდება მხარეთა შეთანხმებით და/ან საქართველოს კანონით განსაზღვრული არბიტრაჟის პროცესის მარეგულირებელი დისპოზიციური ნორმებით. აღსანიშნავია, რომ არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი სრულადაა მორგებული *ad hoc* არბიტრაჟის ფუნქციონირებაზე. მხარეთა შეთანხმება ასეთი არბიტრაჟის შესახებ უნდა აღსრულდეს.

**1.4.6. როდის შეიძლება იყოს საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილი?** ბათილობა მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმებას იმთავითვე თან სდევდა მხარეთა ნების ნაკლი ან ბათილობის გარკვეული საფუძველი. ამ კატეგორიის მაგალითებია, სხვათა შორის, მოტყუება, უკანონობა, შეცდომა, ისევე როგორც საარბიტრაჟო შეთანხმების დადების დეფექტები, როგორცაა ქმედუუნარობა, ან უფლებამოსილების არქონა.<sup>118</sup>

**შეიძლება თუ არა ძირითადი ხელშეკრულება იყოს ბათილი, ხოლო მასში არსებული საარბიტრაჟო დათქმა ნამდვილი?**

საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობაზე მსჯელობისას აუცილებელია საარბიტრაჟო შეთანხმების ავტონომიურობის, ე.წ. განცალკევებულობის პრინციპის გათვალისწინება. ეს პრინციპი განმტკიცებულია არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველ

<sup>117</sup> განმარტებითი ბარათი არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე, რეგისტრაციის ნომერი 07-2/280/8, თარიღი: 10-12-2015, გვ. 1.  
<sup>118</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო, გვ. 69-70.

პუნქტში, რომლის თანახმად „[...] საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ხელშეკრულების ნაწილია, განიხილება საარბიტრაჟო შეთანხმებად, რომელიც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების სხვა პირობებზე. ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს საარბიტრაჟო დათქმის ბათილობას.“ მაგალითად, ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენს ბაზრის გაყოფა კონკურენციის წესების დარღვევით, უკანონოა და შესაბამისად, ბათილი. თუმცა, ეს კანონდარღვევა არ ახდენს გავლენას ამავე ხელშეკრულების იმ დებულებაზე, რომელიც დავის განხილვას არბიტრაჟს უქვემდებარებს.<sup>119</sup> საარბიტრაჟო დებულების ბათილობისთვის საჭიროა არსებობდეს ბათილობის საფუძველი თავად საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ.

მიუნხენის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ განიხილა დავა, სადაც მხარე დავობდა ხელშეკრულებისა და მასში შემავალი საარბიტრაჟო დათქმის, კანონისა და ზნეობის ნორმებთან შესაბამისობაზე. კერძოდ, მხარე აპელირებდა ხელშეკრულების მოტყუებით დადებამზე და ფასისა და მომსახურების ღირებულების დისბალანსზე. ამ შემთხვევაში სასამართლოს გადასაწყვეტი იყო, უნდა გადაეცა თუ არა მას დავა არბიტრაჟისთვის განსახილველად გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1032.2 მუხლის საფუძველზე. სასამართლომ განმარტა, რომ აქციათა ფასსა და მისი გამოსყიდვის ფასს შორის დისბალანსი, ჰიპოთეტურად შესაძლოა გამხდარიყო ძირითადი ხელშეკრულების გაბათილების საფუძველი, თუმცა არა საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილად ცნობის საფუძველი, რადგან ეს უკანასკნელი დამოუკიდებელ შეთანხმებას წარმოადგენდა. სასამართლომ დაადგინა, რომ მხარემ ვერ დაამტკიცა მოტყუების ფაქტი საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ, და ვერც ის, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების პირობები არ მიუთითებდა მხარეთა უფლებების დისბალანსზე. სასამართლომ საარბიტრაჟო დათქმა ნამდვილად მიიჩნია.<sup>120</sup>

#### **1.4.5.ა. არის თუ არა ალტერნატიული დათქმა, ანუ დათქმა, რომელიც მოიაზრებს დავის გადაწყვეტას „სასამართლოს ან არბიტრაჟის“ მიერ, ნამდვილი?**

იურისდიქციათა ნაწილი აღიარებს ალტერნატიულ საარბიტრაჟო შე-

<sup>119</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო, გვ. 69-70.

<sup>120</sup> მიუნხენის უმაღლესი რეგიონული სასამართლო 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე №34 SchH 06/07.

თანხმებას, ხოლო ნაწილი მას არ აღიარებს და ბათილად მიიჩნევს. თითოეულ ამ განსხვავებულ მიდგომას თავისი დასაბუთება აქვს.

### ალტერნატიული დებულებები ნამდვილია

ალტერნატიული (ე.წ. ჰიბრიდული) საარბიტრაჟო დებულებების ნამდვილობას უპირობოდ აღიარებენ ინგლისის სასამართლოები;<sup>121</sup> ალტერნატიული დათქმები იურისდიქციის შესახებ აგრეთვე აღიარებულია ესპანეთის,<sup>122</sup> რუმინეთის,<sup>123</sup> ავსტრალიის,<sup>124</sup> იტალიის,<sup>125</sup> ტაივანის,<sup>126</sup> სინგაპურის<sup>127</sup> სასამართლო პრაქტიკაშიც. ამგვარი დებულების ნამდვილობის საფუძვლად მიჩნეულია ის, რომ მათზე შეთანხმებით ორივე მხარე აცხადებს თანხმობას ალტერნატივის არსებობაზე და შესაბამისად, მათი ორმხრივი ბუნება უზრუნველყოფილია. ის ბუნდოვანება, რაც თან ახლავს ალტერნატიულ/არჩევით დებულებებს (თუ რომელი შესაძლებლობა იქნება განხორციელებული: სასამართლო თუ არბიტრაჟი), წყდება და ზუსტდება, როგორც კი მხარე, რომელსაც აქვს ამგვარი არჩევანი, გააკეთებს ამ არჩევანს (მეორე მხარის მიერ არჩეულ ფორუმზე დათანხმებით, მისი უარყოფით ან თავად ერთ-ერთი ფორუმის არჩევით).<sup>128</sup>

<sup>121</sup> ინგლისისა და უელსის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს 2004 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *NB Three Shipping Ltd. v Harebell Shipping Ltd.*, APPL.R. 10/13.

<sup>122</sup> მადრიდის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილების მიხედვით, ესპანელ და ჰოლანდიელ მხარეებს შორის საარბიტრაჟო დათქმა, რომლითაც გათვალისწინებული იყო არჩევანი ჰოლანდიის საარბიტრაჟო ინსტიტუტზე ან ჰოლანდიის სასამართლოზე მიჩნეულ იქნა ნამდვილად.

<sup>123</sup> რუმინეთის უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე №318.

<sup>124</sup> ავსტრალიის უმაღლესი სასამართლოს 1995 წლის გადაწყვეტილება საქმეზე *PMT Partners Pty. Ltd. (In Liq.) v Australian National Parks & Wildlife Service*, HCA 36; 184 CLR 301.

<sup>125</sup> იტალიის უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Grinka in liquidazione vs. Intesa San Paolo*, საქმე №5705; მილანის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Sportal Italia v Microsoft Corp* საქმეზე *Sportal Italia vs. Microsoft Corp.* - ორივე საქმეში სასამართლომ განიხილა ცალმხრივი დათქმები იურისდიქციის შესახებ და მიიჩნია ასეთი დათქმები ნამდვილად და Brussels I Regulation შესაბამისად.

<sup>126</sup> ტაივანის უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება 96 Tai Shang Zi №1491 და ტაივანის უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 ივლისის განჩინება 96 Tai Shang Zi №2246.

<sup>127</sup> სინგაპურის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Wilson Taylor Asia Pacific Pte Ltd. v Dyna-Jet Pte Ltd.*, 3 SLR 267.

<sup>128</sup> ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Law Debenture Trust Corp plc v Elektrim Finance BV*, EWCA Civ 1354; ინგლისისა და უელსის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს 2004 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *NB Three Shipping Ltd. v Harebell Shipping Ltd.*, APPL.R. 10/13.

საქმეში - *NB Three Shipping Ltd. v Harebell Shipping Ltd*<sup>129</sup> მოპასუხე გემის მესაკუთრეებმა ფრახტით გასცეს ორი გემი. ფრახტის ხელშეკრულება შეიცავდა შემდეგ დათქმას: „47.02 ნებისმიერი დავის გადანწყვებაზე, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე ფრახტის ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, იურისდიქცია აქვთ ინგლისის სასამართლოებს, მაგრამ მესაკუთრეებს აქვთ უფლება ნებისმიერი ასეთი დავა წაიღონ არბიტრაჟში.“ დებულება შემდგომ ცალკე ადგენდა დავის გადანწყვების დეტალებს სასამართლოსა და არბიტრაჟის შემთხვევაში. როდესაც დამფრახტველებმა დავა წამოიწყეს ინგლისის სასამართლოში (რომელიც ერთადერთი ფორუმი იყო, სადაც დამფრახტველებს შეეძლოთ დავის დაწყება), მესაკუთრეებმა გაკვირვება გამოთქვეს, რომ დამფრახტველები არ შეუთანხმდნენ მესაკუთრეებს იმაზე, სურდათ თუ არა მესაკუთრეებს არბიტრაჟის შესაძლებლობის გამოყენება. შესაბამისად, მესაკუთრეებმა მიმართეს ინგლისის სასამართლოს და მოითხოვეს წარმოების შეჩერება. სასამართლომ დაადგინა, რომ დამფრახტველებს არ შეეძლოთ დავის წამოწყების „დასწრებით“ განესაზღვრათ დავის გადანწყვების ფორუმი. სასამართლომ აღნიშნა, რომ „უმჯობესი იქნებოდა უფრო ნათლად ყოფილიყო განსაზღვრული რა შემთხვევაში შეეძლოთ მესაკუთრეებს ამ შესაძლებლობის გამოყენება ან დაკარგვა, თუმცა ამის განესაზღვრელობა [...] არ ხდის დათქმას აღუსრულებელს.“ სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დებულების „კომერციულ ბუნებაზე“ და აღნიშნა, რომ ეს დებულება თავიდანვე ისე იყო გაშიზნული, რომ მესაკუთრეებს მეტი უფლებები ჰქონოდათ, ვიდრე დამფრახტველებს. ის ფაქტი, რომ არბიტრაჟში დავის მიმართვის უფლება მხოლოდ ერთ მხარეს ჰქონდა არ აკლებდა ამ შეთანხმებას ორმხრივ ბუნებას, რადგან ეს ის შეთანხმებაა, რომელზეც ორივე მხარემ განაცხადა თანხმობა.

### ალტერნატიული დებულებები ბათილია

სასამართლო გადანწყვებილებებში იკვეთება ორი მიზეზი, რის გამოც ალტერნატიულ საარბიტრაჟო დათქმებს მიიჩნევენ ბათილად:

- ა) სასამართლოს განსჯადობის ალტერნატივა არ ხდის ნათელს მხარის ნებას, დავა განიხილოს არბიტრაჟში;

<sup>129</sup> ინგლისისა და უელსის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს 2004 წლის 13 ოქტომბრის გადანწყვებილება საქმეზე *NB Three Shipping Ltd. v Harebell Shipping Ltd.*, APP.L.R. 10/13.

ბ) ალტერნატიული დებულებები ასიმეტრიულია, ანიჭებს რა ერთ მხარეს უპირატესობას და ექსკლუზიური არჩევანის უფლებას სასამართლოსა და არბიტრაჟს შორის. ეს კი ეწინააღმდეგება მხარეთა თანასწორობის პრინციპს.

**ა) სასამართლოს განსჯადობის ალტერნატივა არ ხდის ნათელს მხარის ნებას, დავა განიხილოს არბიტრაჟმა**

2010 წელს შვეიცარიის უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე, რომლის მასალების მიხედვითაც, მხარეები შეთანხმდნენ შემდეგ საარბიტრაჟო დათქმაზე:<sup>130</sup> „ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა [...] მოგვარდება მოლაპარაკების გზით, ხოლო მოლაპარაკების წარუმატებლობის შემთხვევაში, მხარეები წინასწარ თანხმდებიან, რომ საქმე განსახილველად გადაეცემა სავალდებულო არბიტრაჟს, ამერიკის არბიტრაჟის ასოციაციას [AAA] სახით ან აშშ-ის ნებისმიერ სხვა სასამართლოს. მოგებულ მხარეს უნდა აუნაზღაურდეს წარმომადგენლის ხარჯები [...] არბიტრაჟი უნდა ჩატარდეს საერთაშორისო სავაჭრო პალატის წესების (ICC 500) მიხედვით.“ შვეიცარიის უზენაესმა სასამართლომ, სხვა ასპექტებს შორის, მიიჩნია, რომ შეთანხმება ბუნდოვანი იყო, რადგან შეთანხმებაში მოყვანილი სიტყვები „ან აშშ-ის ნებისმიერ სხვა სასამართლოს“ ნათლად არ მიუთითებდა თუ რომელ ფორუმს შეიძლება გადასცემოდა დავა; ე.ი ვერ დგინდებოდა, იგი მოიცავდა აშშ-ს ნებისმიერ „საარბიტრაჟო სასამართლოს“, თუ აშშ-ს სასამართლოებს:<sup>131</sup> უზენაესი სასამართლოს აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა შეთანხმების სათაური „არბიტრაჟი“ იყო, ამით მაინც ვერ გახდა მხარეთა სურვილი ნათელი.<sup>132</sup>

მსგავსი პრაქტიკა არის დამკვიდრებული საქართველოშიც. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, არბიტრაჟის შესახებ კანონსა და სამოქალაქო კოდექსზე დაყრდნობით 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „მხარეები შეთანხმებული არ

<sup>130</sup> შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე X Holding AG et al. v Y Investments NV, საქმე №4A\_279/2010.

<sup>131</sup> იქვე.

<sup>132</sup> იქვე.

ყოფილან საარბიტრაჟო შეთანხმების (ხელშეკრულების) არსებით პირობაზე-დავის არბიტრაჟისათვის განსახილველად გადაცემის შესახებ, ვინაიდან ხელშეკრულებაში მითითებულია დავის განხილვის ორი საშუალება: არბიტრაჟი ან სასამართლო.<sup>133</sup>

თუმცა, სხვა შემთხვევათა უმრავლესობაში, ალტერნატიული დებულებების ნამდვილობაზე მსჯელობისას გადამწყვეტ საკითხს წარმოადგენს ამგვარი დებულებების ასიმეტრიული, ცალმხრივი ბუნება.

**ბ) ალტერნატიული დებულებები ასიმეტრიულია, რადგან ერთ მხარეს ანიჭებს უპირატესობას და ექსკლუზიური არჩევანის უფლებას, ეს კი ეწინააღმდეგება მხარეთა თანასწორობის პრინციპს**

ხშირად, საარბიტრაჟო შეთანხმება ითვალისწინებს, რომ ერთი მხარე უფლებამოსილია აირჩიოს, თუ სად, რომელ საარბიტრაჟო ინსტიტუტში ან სასამართლოში აწარმოებს დავას, თუმცა მეორე მხარეს ასეთი არჩევანის გაკეთების უფლება არა აქვს. ამგვარი საარბიტრაჟო შეთანხმებები თავისი ბუნებით ასიმეტრიულია, ე.ი. ერთ მხარეს ანიჭებს მეტ უფლებას გააკეთოს არჩევანი დავის განმხილველ ფორუმთან დაკავშირებით. ასეთი შეთანხმებები ბათილად მიუჩნევა რუსეთის,<sup>134</sup> ბულგარეთის<sup>135</sup> და საერთო სამართლის ქვეყნების ნაწილს.

ბულგარეთის უზენაესმა სასამართლომ გააუქმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც ეფუძნებოდა საარბიტრაჟო შეთანხმებას ორ ფიზიკურ პირს შორის.<sup>136</sup> შეთანხმების თანახმად, გამსესხებელს უფლება ჰქონდა პოტენციური დავა განეხილა არბიტრაჟის მეშვეობით ბულგარეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ან სხვა საარბიტრაჟო დანესხებულების ადმინისტრირებით, ან მიემართა სასამართლოსთვის, მაშინ როდესაც მსესხებელს მხოლოდ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება ჰქონდა. უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვა-

<sup>133</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე №ას-804-858-2011.

<sup>134</sup> რუსეთის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *CJSC Russian Telephone Company v Sony Ericsson Mobile Communications Rus LLC*.

<sup>135</sup> ბულგარეთის უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე №1193/2010.

<sup>136</sup> იქვე.



რი დათქმა ბათილი იყო, ვინაიდან ის ეწინააღმდეგებოდა კეთილ-სინდისიერებისა და მორალის პრინციპებს. უფრო კონკრეტულად კი, ეს დათქმა აწესებდა პირობით უფლებას ერთი მხარის სასარგებლოდ. ასეთი პირობითი უფლების დანესება კი სასამართლოს ამრით მხოლოდ კანონით იყო შესაძლებელი და მხარეთა ნების ავტონომიას სცილდებოდა.<sup>137</sup>

ბულგარეთის უზენაეს სასამართლოს მხარეთა სავაჭრო ძალაუფლებაზე არ უმსჯელია (სავარაუდოდ, ვინაიდან ორივე ფიზიკური პირი იყო), თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, მნიშვნელობა ენიჭება იმას, არის თუ არა დისბალანსი საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეების სავაჭრო ძალაუფლებაში (როდესაც ერთ-ერთი მხარე დასაქმებული<sup>138</sup> ან მომხმარებელი) და ხომ არ არის დადებული სტანდარტული შეთანხმება.

- მაგალითად, დასავლეთ ვირჯინიის სააპელაციო სასამართლომ განიხილა საქმე,<sup>139</sup> რომელშიც საარბიტრაჟო შეთანხმება, დადებული მომხმარებელსა და გამსესხებელ ბროკერს შორის შემდეგნაირად იყო გათვალისწინებული: „ნებისმიერი დავა [...] რაც არ იქნება მოგვარებული მედიაციის საშუალებით, რაც დაკავშირებულია გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის სესხის გაგრძელებასთან, მათ შორის საარბიტრაჟო შეთანხმების ნადშვილობა და განმარტება, ექსკლუზიურად განხილული უნდა იყოს არბიტრაჟის მიერ.“ თუმცა, ხელშეკრულების შემდეგ პუნქტში გათვალისწინებული იყო, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების მიუხედავად, გამსესხებელი უფლებამოსილი იყო მიემართა სასამართლოსათვის.

დასავლეთ ვირჯინიის სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მსესხებელი მომხმარებელი იყო, ხოლო შეთანხმებას, თავისი პი-

<sup>137</sup> გადაწყვეტილება აღწერილია სტატიაში: Deyan Draguiev, “Unilateral Jurisdiction Clauses: The Case for Invalidity, Severability or Enforceability,” *Journal of International Arbitration*, Vol. 31 Issue 1 (2014) გვ. 19-45.

<sup>138</sup> კალიფორნიის სააპელაციო სასამართლოს 1998 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Armendariz vs. Foundation Health Psychcare Services, Inc.* 24 Cal. 4th 83, 6 P.3d 669.

<sup>139</sup> დასავლეთ ვირჯინიის სააპელაციო სასამართლოს 1998 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Arnold v United Companies Lending Corp.*, 511 S.E.2d 854.



რობებით, სტანდარტული ხასიათი ჰქონდა და ითვალისწინებდა გამსესხებლის პასუხისმგებლობის შეზღუდვას და თავისი შინაარსით საზიანო იყო მსესხებლისათვის როგორც მატერიალურად, ისე პროცესუალურად; შესაბამისად, სასამართლომ არასამართლიანად და ბათილად ცნო შეთანხმება, რომელიც საბაზრო ძალაუფლების გამოყენებით, მხოლოდ გამსესხებლისათვის უპირატესი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას უშვებდა, ხოლო მსესხებლისათვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას ზღუდავდა.<sup>140</sup>

#### 1.4.7. როდის შეიძლება იყოს საარბიტრაჟო შეთანხმება ძალადაკარგული?

„ძალადაკარგული საარბიტრაჟო შეთანხმება არის საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც გარკვეული დროის პერიოდში იყო ნამდვილი, მაგრამ შემდგომ დაკარგა სამართლებრივი ძალა.“<sup>141</sup> იგი მოიცავს „უფლებაზე უარის თქმას, გამოთხოვას, მოშლას ან საარბიტრაჟო შეთანხმების შეწყვეტას.“<sup>142</sup> მაგალითად, საარბიტრაჟო შეთანხმება შესაძლებელია ზღუდავდეს არბიტრაჟისადმი მიმართვის, ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის შექმნის ვადას. ასეთ დროს, მხარეების მიერ შეთანხმებული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ, მიიჩნევა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ძალადაკარგულად იქცა. ან იმავე მხარეებს შორის წარმოშობილია დავა იმავე საკითხზე და იმ სამართლებრივი საფუძვლით, რომლის თაობაზეც უკვე მიღებულია ძალაში შესული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ასეთ შემთხვევაში საარბიტრაჟო შეთანხმება იქნება ძალადაკარგული, ვინაიდან მხარეთა შორის დავა პრეიუდიციული (*res judicata*) ძალის მქონეა.

ერთ-ერთ საქმეში, ტულუმის სააპელაციო სასამართლომ განიხილა დავა შემდეგი დებულების საფუძველზე:<sup>143</sup> „ნებისმიერი დავა გადა-

<sup>140</sup> დასავლეთ ვირჯინიის სააპელაციო სასამართლოს 1998 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Arnold v United Companies Lending Corp.*, 511 S.E.2d 854.

<sup>141</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო, გვ. 70.

<sup>142</sup> იქვე, გვ. 70.

<sup>143</sup> ტულუმის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 9 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Société Gefu Kuchenboss GmbH & CO.KG et Société Gefu Geschäfts-Und Verwaltungs GmbH v Société Coréma*.

ეცემა მხარეების მიერ არჩეულ არბიტრს, ერთი მხარის მიერ მეორისადმი დავის დაწყების შესახებ შეტყობინების გაკეთებიდან 3 თვის ვადაში. თუ არბიტრაჟი არ დაიწყება, მაშინ ტულუზის კომერციულ სასამართლოს აქვს იურისდიქცია.“ მოცემულ საქმეში დადგინდა, რომ მხარეები განსაზღვრულ ვადაში ვერ შეთანხმდნენ შესარჩევ არბიტრზე, რის საფუძველზედაც ძალა დაკარგა საარბიტრაჟო შეთანხმებამ, ხოლო ტულუზის კომერციული სასამართლოს მიერ დავის განხილვა კანონიერად ჩაითვალა სააპელაციო სასამართლოს მიერ.

#### 1.4.8. როდისაა საარბიტრაჟო შეთანხმების შესრულება შეუძლებელი?

საარბიტრაჟო შეთანხმების შესრულების შეუძლებლობა მოიცავს შემთხვევას, როდესაც არსებობს წინაღობა, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელია, რაც გამორიცხავს საარბიტრაჟო პროცესის დაწყებას.<sup>144</sup> შესრულებლის შეუძლებლობაში არ იგულისხმება უბრალო სირთულე, დისკომფორტი ან საარბიტრაჟო პროცესის დაწყების დაყოვნება. „უნდა არსებობდეს გარკვეული წინაღობა, რომელიც შეუძლებელია გადაილახოს მაშინაც კი, როდესაც მხარეებს აქვთ სურვილი, შესაძლებლობა და თანახმა არიან შეასრულონ შეთანხმება.“<sup>145</sup>

ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმების შესრულება შესაძლოა გახდეს შეუძლებელი.

#### ა. როდესაც შეთანხმებული საარბიტრაჟო ინსტიტუტი ლიკვიდირებულია უფლებამონაცვლის არსებობის გარეშე

საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულება შესაძლოა შეუძლებელი გახდეს, როდესაც მხარეები შეთანხმებული არიან კონკრეტულ საარბიტრაჟო დაწესებულებაზე, ხოლო ასეთი დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა ისე, რომ არ ჰყავს უფლებამონაცვლე, მხარეები კი ვერ შეძლებენ შეთანხმებას დავის განმხილველ ახალ საარბიტრაჟო დაწესებულებაზე.<sup>146</sup>

<sup>144</sup> სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Dyna-Jet Pte Ltd. v Wilson Taylor Asia Pacific Pte Ltd.*, 3 SLR 267.

<sup>145</sup> Michael J. Mustill and Stewart C. Boyd, *Commercial Arbitration*, 2nd ed. (1989), გვ. 464, განხილულია: Michael Pryles, “The Kaplan Lecture 2009 – The Kaplan Lecture 2009 – When is an Arbitration Agreement Waived?” *Journal of International Arbitration*, Vol. 27 Issue 2 (2010) გვ. 116.

<sup>146</sup> ვიეტნამის უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 20 მარტის გაიდლაინები კომერციული არბიტრაჟის მარეგულირებელი კანონმდებლობის იმპლემენტაციის შესახებ, №.01/2014/NQ-HDTP.

## **ბ. როდესაც მხარეების მიერ შეთანხმებაში პერსონალურად დანიშნული არბიტრი ვეღარ/აღარ არბიტრობს**

მხარეებმა შესაძლებელია საარბიტრაჟო შეთანხმებაში გაითვალისწინონ კონკრეტული არბიტრის ვინაობა, რომელმაც უნდა განიხილოს დავა. იმ შემთხვევაში თუ არბიტრი საარბიტრაჟო პროცესის დაწყებისას ვერ ან არ დათანხმდება არბიტრობას (მაგალითად, უარს ამბობს არბიტრობაზე; გარდაცვლილია; ვეღარ ასრულებს არბიტრის უფლებამოსილებას ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, ან საარბიტრაჟო დაწესებულება უარს ამბობს არბიტრის დანიშვნაზე); ასეთ შემთხვევაში, თუ მხარეები ვეღარ შეთანხმდნენ შემცვლელ არბიტრზე, საარბიტრაჟო შეთანხმების შესრულება შეუძლებელი გახდება.<sup>147</sup>

## **გ. როდესაც მხარეები შეთანხმდნენ ერთი საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ მეორე ინსტიტუტის წესებით დავის განხილვაზე და ეს ინსტიტუტი არ უშვებს სხვა ინსტიტუტის წესების გამოყენებას**

მხარეები შესაძლოა შეთანხმდნენ, რომ დავის განხილვას ადმინისტრირება გაუწიოს ერთმა საარბიტრაჟო ინსტიტუტმა სხვა საარბიტრაჟო ინსტიტუტის წესების მიხედვით. ეს შესაძლოა არ წარმოადგენდეს პრობლემას და მხარეების საარბიტრაჟო შეთანხმება შესაძლოა შეუფერხებლად აღსრულდეს, თუკი პროცესის ადმინისტრირებისათვის განსაზღვრული საარბიტრაჟო ინსტიტუტი თანხმობას განაცხადებს.

თავისთავად, ამგვარი შერეული დებულებები ნამდვილად იქნა ცნობილი საერთაშორისო პრაქტიკაშიც. სვეას სააპელაციო სასამართლომ განიხილა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნა, რომლის ერთ-ერთ საფუძვლად მოხსენიებული იყო საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობა, ვინაიდან იგი მიუთითებდა დავის განხილვაზე ICC-ის წესების მიხედვით სტოკჰოლმის სავაჭრო-სამრეწველო პალა-

<sup>147</sup> სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Sembawang Engineers and Constructors Pte Ltd. v Covec Pte Ltd., High Court of Singapore*, SGHC 229, § 42.

ტასთან არსებული საარბიტრაჟო ინსტიტუტის (SCC) მიერ. სვეას სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა ნება „იყო რომ შესაძლო დავები მხარეებს შორის გადაწყვეტილიყო არბიტრაჟის გზით და მათი მიზანი იყო რომ არბიტრაჟის ადგილი ყოფილიყო სტოკ-ჰოლმში, SCC-ის წინაშე.“ ვინაიდან „უდავოა, რომ SCC-მ თანხმობა განაცხადა და აღმინისტრირება გაუწია არბიტრაჟს.“ ამდენად, ნათელი იყო რომ საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულება შეუძლებელი იყო.<sup>148</sup>

თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, საარბიტრაჟო დაწესებულებამ შეიძლება ვერ ან არ განახორციელოს დავის აღმინისტრირება სხვა დაწესებულების წესების მიხედვით. ეს მისი უფლებაა. ასეთ შემთხვევაში საარბიტრაჟო დათქმის შესრულება შეუძლებელი იქნება.

**დ. როდესაც ვერ დგინდება საარბიტრაჟო ინსტიტუტი ან იგი არ არსებობს**

მხარეებმა შესაძლოა ისე ბუნდოვნად მოიხსენიონ საარბიტრაჟო ინსტიტუტის სახელწოდება საარბიტრაჟო შეთანხმებაში, რომ შეუძლებელი გახდეს მისი დადგენა ობიექტური განმარტებითაც კი. ამასთანავე, შესაძლებელია მხარეებს ურთიერთგამომრიცხავი დებულებები ჰქონდეთ გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებაში. ამ შემთხვევებში, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ნათელი იყოს მხარეთა ნება, დავა დაუქვემდებარონ არბიტრაჟს, საარბიტრაჟო შეთანხმების შესრულება შესაძლოა ვერ განხორციელდეს იმის გამო, რომ ვერ დადგინდა მხარეების მიერ განსაზღვრული საარბიტრაჟო დაწესებულება და/ან წესები.

მაგალითად, ჰაიდელბერგის რეგიონულმა სასამართლომ განიხილა დავა,<sup>149</sup> რომლის მიხედვითაც მხარეები წესდებაში შეთანხმდნენ, რომ ნებისმიერ დავას გადასცემდნენ Karlsruhe-ის ადვოკატთა ასოციაციასთან არსებულ საარბიტრაჟო სასამართლოს (Schiedsstelle). შეთანხმების მიხედვით, თუ ასოციაციას არ ექნებოდა საარბიტრაჟო

<sup>148</sup> სვეას სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება, №T 2454-14; ასევე იხ. სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Sembawang Engineers and Constructors Pte Ltd. v Covec Pte Ltd.*, SGHC 229, § 42.

<sup>149</sup> გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1025-1066-ე მუხლები არეგულირებს არბიტრაჟის საკითხებს; ჰაიდელბერგის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №1 O 74/06.

ნესები, გამოიყენებოდა გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1025-ე და მომდევნო (არბიტრაჟის მარეგულირებელი) მუხლები.<sup>150</sup> სასამართლომ ჩათვალა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების შესრულება შეუძლებელი იყო, რადგან Karlsruhe-ის ადვოკატთა ასოციაციასთან არ არსებობდა საარბიტრაჟო ინსტიტუტი, ხოლო მხარეთა შეთანხმება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლების გამოყენების შესახებ ვერ ჩაანაცვლებდა საარბიტრაჟო ინსტიტუტს. საპროცესო კოდექსით დადგენილი ნორმების გამოყენება გათვალისწინებული იყო ისეთი შემთხვევისთვის, როდესაც საჭირო იქნებოდა სასამართლოს ჩართულობა რაიმე საპროცესო ნაკლის გამოსასწორებლად (მაგალითად, ნიშნავს არბიტრებს, აიცილებს მათ ა.შ.), თუმცა ეს ვერ უზრუნველყოფდა დავის ადმინისტრირებას ინსტიტუტის მიერ, რომელიც აღარ არსებობდა. ვინაიდან მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას ინსტიტუტის ჩანაცვლების თაობაზე საარბიტრაჟო შეთანხმების შესრულება შეუძლებელი გახდა.<sup>151</sup>

## **ე. როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში ალტერნატიულად ორი საარბიტრაჟო ინსტიტუტია მითითებული**

ბოგჯერ მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმებაში ალტერნატიულად ორ ან რამდენიმე საარბიტრაჟო ინსტიტუტზე უთითებენ. ალტერნატიული საარბიტრაჟო შეთანხმება, სადაც ალტერნატივა თვით საარბიტრაჟო ინსტიტუტებს შორის კეთდება, განსხვავდება შეთანხმებებისაგან, სადაც ალტერნატივად სასამართლო ან არბიტრაჟია მოცემული. უკანასკნელ შემთხვევაში, სასამართლოების ნაწილი საარბიტრაჟო შეთანხმებას ბათილად ცნობენ მხარეთა მიერ დავის არბიტრაჟისადმი განსახილველად გადაცემის ნების მკაფიოდ გამოხატულების არარსებობის გამო. საარბიტრაჟო ინსტიტუტებს შორის ალტერნატივისას დავის არბიტრაჟისადმი გადაცემის მხარეთა ნება აშკარაა; თუმცა, დგება დავის განხილველი საარბიტრაჟო ინსტიტუტის იდენტიფიცირების საკითხი, ე.ი. რომელი საარბიტრაჟო ინსტიტუტია უფლებამოსილი განიხილოს დავა და რა შემთხვევებში, რის გამოც დგება პარარელური საარბიტრაჟო განხილვების რისკი.

<sup>150</sup> ჰაიდელბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №1 O 74/06.

<sup>151</sup> იქვე.

თუმცა, თუ საარბიტრაჟო შეთანხმება ისეა შედგენილი, რომ იძლევა დავის განმხილველი ფორუმის დადგენის შესაძლებლობას, მაშინ იგი შესაძლებელია აღსრულდეს.

რუსეთის უზენაესმა საარბიტრაჟო (კომერციულმა) სასამართლომ 2011 წლის გადაწყვეტილებით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე განცხადების განხილვისას, ნამდვილად ჩათვალა გამყიდველსა და მყიდველს შორის დადებული შემდეგი ალტერნატიული საარბიტრაჟო შეთანხმება:<sup>152</sup> „*თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავას განიხილავს უკრაინის სავაჭრო და ინდუსტრიის პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი მისი წესების მიხედვით, სამი არბიტრის მიერ - თუ მოსარჩელე გამყიდველია; ხოლო, რუსეთის სავაჭრო და ინდუსტრიის პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი მისი წესების მიხედვით, სამი არბიტრის მიერ - თუ მოსარჩელე მყიდველია.*“ ამ შემთხვევაში, მხარეთა მიერ ნათლად იყო განსაზღვრული თუ რა შემთხვევაში რომელი საარბიტრაჟო ინსტიტუტი იყო უფლებამოსილი განეხილა დავა. ამ დროს უდავო იყო როგორც მხარეთა ნება - დავა განსახილველად გადასცემოდა არბიტრაჟს, ისე იდენტიფიცირებული იყო არბიტრაჟი, რომელსაც კონკრეტული პირობის დადგომისას უნდა განეხილა დავა.

იმ ტიპის საარბიტრაჟო შეთანხმებაში, რომლის მიხედვითაც დავას განიხილავს ორი საარბიტრაჟო ინსტიტუტიდან ერთ-ერთი რომელიმე მოდავე მხარის არჩევით, მთავარი გამოწვევაა დადგინდეს, თუ რა ჩაითვლება არჩევანის გაკეთებად. არჩევანი შეიძლება გაკეთებულად ჩაითვალოს, როდესაც მხარე მიმართავს მისთვის სასურველ საარბიტრაჟო ინსტიტუტს. თუმცა, ეს გზა შესაძლოა ტექნიკური აღმოჩნდეს, როდესაც მხარეები, სასურველი ინსტიტუტის უზრუნველყოფის მიზნით, შეეცდებიან დაასწრონ ერთმანეთს სარჩელის შეტანა. ესეც შეიძლება ჩაითვალოს მხარეთა მიერ გათვითცნობიერებულ რისკად, როდესაც ისინი ამგვარ საარბიტრაჟო დათქმაზე თანხმდებოდნენ.

<sup>152</sup> რუსეთის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *OJSC Efirnoe v Delta Wilmar CIS Ltd.*, საქმე №11861/10.

**როდესაც მოპასუხე ითხოვს დავის არბიტრაჟისათვის გადაცემას (მე-9 მუხლი) [გვ. 6-60]**

**1** გაკეთებულება თუ არა განცხადება შესაგებლის წარდგენისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე? [გვ. 7-8]

<b>არა</b> (დავას განიხილავს სასამართლო)	<b>დიახ</b> (სასამართლო იხილავს განცხადებას)
---	---

**2** რა სტანდარტით ფასდება საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა? [გვ. 9-13]

<i>prima facie</i>	არსებითი განხილვა
--------------------	-------------------

**3** რომელი სამართლით განიმარტება საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა? [გვ. 14-19]

**4** არის თუ არა დავა არბიტრაჟუნარიანი? [გვ. 21-29]

<b>არა</b> (დავას განიხილავს სასამართლო)	<b>დიახ</b> (სასამართლო იხილავს განცხადებას)
---	---

**5** დაცულია, თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმა? [გვ. 29-33]

5.1. თუ ერთ-ერთი მხარე ფიზიკური პირი ან ადმინისტრაციული ორგანოა	5.2. ყველა სხვა შემთხვევაში
---	-----------------------------

არის თუ არა შეთანხმება წერილობით დოკუმენტში მოცემული და ხელმოწერილი მხარეების მიერ?	დაფიქსირებულია თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსი რაიმე ფორმით, მათ შორის, წერილობით დოკუმენტში, ელექტრონულად, შესაგებლის გაცვლით, ან სხვა დოკუმენტის ინკორპორირებით?
---	--

<b>არა</b> (დავას განიხილავს სასამართლო)	<b>დიახ</b> (სასამართლო იხილავს განცხადებას)	<b>არა</b> (დავას განიხილავს სასამართლო)	<b>დიახ</b> (სასამართლო იხილავს განცხადებას)
---	---	---	---

**6** შეთანხმდნენ, თუ არა მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმების არსებით პირობებზე? [გვ. 33-36]

<b>არა</b> (დავას განიხილავს სასამართლო)	<b>დიახ</b> (სასამართლო იხილავს განცხადებას)
---	---

**7** მოიცავს, თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლები მხარეთა შორის წარმოშობილ დავას? [გვ. 37-39]

<b>არა</b> (დავას განიხილავს სასამართლო)	<b>დიახ</b> (სასამართლო იხილავს განცხადებას)
---	---

**8** არის თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილი, ძალადაკარგული, ან მისი შესრულება შეუძლებელი? [გვ. 39-60]

<b>დიახ</b> (დავას განიხილავს სასამართლო)	<b>არა</b> (სასამართლო წყვეტს წარმოებას)
--	---

# II სანამართლო მთხრანობის (ანობინებინ) ღინობნ (პინონი მ-11 მინი)





2. სასამართლოს მიერ არბიტრის (არბიტრების) დანიშვნა (კანონის მე-11 მუხლი)	63
2.1. სად არის საარბიტრაჟო განხილვის ადგილი?	65
2.2. არის თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმება ნამდვილი?	68
2.3. ხომ არ არიან მხარეები შეთანხმებული არბიტრების დანიშვნის პროცედურაზე და მოქმედებს თუ არა ეს პროცედურა?	71
2.4. ამოწურულია თუ არა სასამართლოს მიერ არბიტრის (არბიტრების) დანიშვნისათვის კანონით დადგენილი წინაპრობები?	72
2.4.1. როდესაც დავას ერთი არბიტრი განიხილავს	72
2.5. რა კრიტერიუმით და როგორ არჩევს სასამართლო დასანიშნი არბიტრის კანდიდატურას?	75
2.5.1. რა კრიტერიუმები უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ არბიტრობის კანდიდატის შერჩევისას?	76
2.5.2. ვის ევრძალება არბიტრობა?	78
2.5.3. საიდან ხდება არბიტრობის კანდიდატთა შერჩევა?	78
2.5.4. საჭიროა თუ არა არბიტრობაზე კანდიდატთა თანხმობის წინასწარ მოპოვება?	79
2.5.5. რამდენად არიან მხარეები ჩართული არბიტრის დანიშვნის პროცესში?	80
2.5.6. როგორ განისაზღვრება/თანხმდება არბიტრთა ანაზღაურება?	81
სქემა - კანონის მე-11 მუხლი	83

მხარეები უფლებამოსილნი არიან თვითონ განსაზღვრონ არბიტრების ვინაობა, რაოდენობა და დანიშვნის წესი.<sup>153</sup> თუმცა, შესაძლოა, ისინი არ ან ვერ შეთანხმდნენ არბიტრების დანიშვნის პროცედურაზე, ან მხარეების მიერ გათვალისწინებული არბიტრების დანიშვნის პროცედურა ვერ განხორციელდეს. ეს განსაკუთრებით ხშირია *ad hoc* არბიტრაჟის შემთხვევაში, როდესაც მხარეებს არ სურთ დავას ადმინისტრირება გაუწიოს რომელიმე საარბიტრაჟო დაწესებულებამ, არამედ სურთ დავა განიხილოს არაინსტიტუციონალური, *ad hoc* წესით შექმნილმა არბიტრაჟმა. ასეთ შემთხვევაში, თუკი მხარეებმა დეტალურად არ განერეს არბიტრაჟის პროცესი (რაც იშვიათად ხდება), ან თუ ისინი არ შეთანხმდნენ *ad hoc* არბიტრაჟს მორგებულ წესებზე, ისინი ხშირად შეიძლება შევიდნენ ჩიხში არბიტრის დანიშვნის, აცილების თუ მისი უფლებამოსილების შეწყვეტის პროცესში. ეს იმიტომ, რომ ამ ეტაპზე, როდესაც ისინი უკვე არა ერთმანეთის პარტნიორი არამედ მოდავე მხარეები არიან, დიდია ცდუნება და ალბათობა, რომ მათ შორის ვერ მოხდეს შეთანხმება პროცედურულ საკითხებზეც კი.

ამ შემთხვევებში მოდელური კანონის მსგავსად (რომელიც სწორედ *ad hoc* არბიტრაჟის ოპერირებაზე მორგებული მოდელია), არბიტრაჟის შესახებ კანონიც ორიენტირებულია მხარეთა ნების (დავა განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს) აღსრულებისა და საარბიტრაჟო შეთანხმების ნაკლის მიუხედავად არბიტრაჟის გადარჩენისაკენ. სწორედ ამ მიზნით არის შექმნილი კანონი, რომლის დებულებათა უმრავლესობა, მათ შორის მე-11 მუხლი, მოქმედებს მაშინ, თუკი არბიტრის (არბიტრების) და არბიტრაჟის თავმჯდომარის დანიშვნაზე მხარეთა შეთანხმება არ არსებობს ან თუკი მათ მიერ შეთანხმებული პროცედურის განხორციელება შეუძლებელია.<sup>154</sup> ასეთ შემთხვევებში კანონი ითვალისწინებს, რომ ერთ-ერთი მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს არბიტრის (არბიტრების) დანიშვნა.

<sup>153</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 10.2.

<sup>154</sup> იქვე, მუხლი 11.3.

არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის თაობაზე განცხადების განხილვისას სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს შემდეგ გარემოებებზე:

1. სად არის საარბიტრაჟო განხილვის ადგილი?
2. არის თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმება ნაღვილი?
3. არსებობს თუ არა მხარეთა შეთანხმება არბიტრი (არბიტრების) დანიშვნის პროცედურაზე?
4. ამონურულია თუ არა არბიტრის (არბიტრების) დანიშვნისთვის კანონით დადგენილი წინაპირობები?
5. შეთანხმებული არიან თუ არა მხარეები არბიტრი (არბიტრების) მიმართ არსებულ მოთხოვნებზე?
6. თანახმა არის თუ არა არბიტრობის კანდიდატი არბიტრაჟის წევრად ყოფნაზე?
7. არბიტრად დასანიშნ პირს (პირებს) ხომ არ ეკრძალებათ არბიტრობა?
8. აკმაყოფილებს, თუ არა დასანიშნი არბიტრი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნებს კონკრეტული საქმის მიმართ?
9. როგორ განისაზღვრება/თანხმდება არბიტრის ანაზღაურება?

## 2.1. სად არის საარბიტრაჟო განხილვის ადგილი?

სასამართლო კომპეტენტურია დანიშნოს არბიტრები იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო განხილვის ადგილი საქართველოა.<sup>155</sup> ხოლო კონკრეტული საქალაქო (რაიონული) სასამართლო უფლებამოსილია დანიშნოს არბიტრი იმ შემთხვევაში, თუ მის სამოქმედო ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, მიმდინარეობს ან უნდა გაიმართოს საარბიტრაჟო განხილვა.<sup>156</sup> მაგალითად, თუ საარბიტრაჟო შეთანხმების მიხედვით

<sup>155</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2.1.ა).

<sup>156</sup> იქვე.

საარბიტრაჟო განხილვის ადგილი თბილისია, არბიტრის დანიშვნის თაობაზე განცხადებას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, რადგან საარბიტრაჟო პროცესის დაწყებისას სწორედ მხარეთა მიერ შეთანხმებულ ადგილას გაიმართება საარბიტრაჟო განხილვა.

თუმცა, რა ხდება მაშინ როდესაც საარბიტრაჟო განხილვის ადგილად მითითებულია საქართველო, და არა რომელიმე ქალაქი? ან თუ ადგილი საერთოდ არ არის მითითებული (და არც საარბიტრაჟო წარმოების წესები ადგენენ ადგილს, თუ ასეთი წესები არჩეული აქვთ მხარეებს). ცალ-ცალკე განვიხილოთ თითოეული ეს შემთხვევა:

### 2.1.1. არბიტრაჟის ადგილად საქართველოა მითითებული

თუკი არბიტრაჟის ადგილად მხარეებს განსაზღვრული აქვთ საქართველო, მაშინ ერთადერთი საკითხი, რომელიც საჭიროებს დადგენას ისაა, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე უნდა გაიმართოს საარბიტრაჟო განხილვა. ამის დადგენა წინასწარ, საარბიტრაჟო ტრიბუნალის შედგენამდე, შეიძლება ძნელი იყოს, ვინაიდან კანონის და უმრავლესი საარბიტრაჟო წესების მიხედვით თავად არბიტრაჟი ადგენს საარბიტრაჟო განხილვის ადგილს,<sup>157</sup> ხოლო სასამართლო არ უნდა ჩაერიოს არბიტრაჟის კომპეტენციაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით.<sup>158</sup> თუმცა, საარბიტრაჟო დათქმის გაბათილება ან მისი შესრულების შეუძლებლობის აღიარება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მხარეებს არა აქვთ მითითებული საარბიტრაჟო განხილვის ადგილი საქართველოს შიგნით, იქნებოდა უგულვებელყოფა მხარეთა ნებისა, დავა გადასცენ არბიტრაჟს და წინააღმდეგობაში მოვიდოდა კანონთან, რომლის სულისკვეთებაა ცნოს და აღასრულოს საარბიტრაჟო დათქმები. ეს იქნებოდა ტექნიკური საბაბი საარბიტრაჟო დებულებების აღიარებაზე უარის თქმისა, მაშინ როდესაც მხარეთა ნება არბიტრაჟზე უდავოა და ნათელია საარბიტრაჟო დათქმის აღსრულების გზაც.

<sup>157</sup> იქვე, მუხლი 25.1.

<sup>158</sup> იქვე, მუხლი 6.2.

როგორც ზემოთ, 1.4.5.ბ. თავში არის განხილული, საარბიტრაჟო ადგილის განსაზღვრას აქვს ორგვარი დატვირთვა: სამართლებრივი და პრაქტიკულ-გეოგრაფიული. სამართლებრივი თვალსაზრისით, როდესაც არბიტრაჟის ადგილად საქართველოა განსაზღვრული, კონკრეტულ ქალაქს/ადგილს საქართველოს შიგნით არა აქვს დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს ერთი საარბიტრაჟო კანონმდებლობა – საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ. ამასთან, გზამკვლევის 2.5. თავში განხილული კრიტერიუმებიდან გამომდინარე, ნებისმიერმა სასამართლომ საქართველოს ტერიტორიაზე უნდა უზრუნველყოს მხარეთა ინტერესების გათვალისწინება და კვალიფიციური და მიუკერძოებელი არბიტრის დანიშვნა. ამდენად, საქართველოს შიგნით კონკრეტული ადგილის განსაზღვრას მხოლოდ პრაქტიკულ-გეოგრაფიული დატვირთვა თუ შერჩება. ეს ნაკლებ პრობლემატურია, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, თუ სად იქნება განსაზღვრული არბიტრაჟის ადგილი, არბიტრაჟი უფლებამოსილია ნებისმიერ სხვა ადგილას მოიწვიოს და ჩაატაროს სხდომა, და ამ შემთხვევაშიც უპირატესობა მხარეთა შეთანხმებას ენიჭება.<sup>159</sup>

შესაბამისად, თუკი არბიტრაჟის ადგილად განსაზღვრულია საქართველო, კონკრეტული ქალაქის მითითების გარეშე, ეს გარკვეულწილად მიუთითებს მხარეთა მზაობაზე, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერ ადგილას შეიძლება წარმართოს საარბიტრაჟო განხილვა. ამდენად, ნებისმიერმა საქალაქო (რაიონულმა) სასამართლომ, რომელსაც მხარე მიმართავს არბიტრის დანიშვნის თხოვნით, უნდა დანიშნოს არბიტრი, რათა უზრუნველყოს არბიტრაჟის ფორმირება. ამის შემდგომ უკვე არბიტრაჟი მიიღებს გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო მოსმენების თუ სხვა პროცესუალური ქმედებების ჩატარების ადგილზე.

### **2.1.2. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არ არის მითითებული**

თუ საარბიტრაჟო შეთანხმებაში საერთოდ არ არის მითითებული საარბიტრაჟო განხილვის ადგილი და იგი არც მხარეთა მიერ არჩეუ-

<sup>159</sup> იქვე, მუხლი 25.2.

ლი საარბიტრაჟო წარმოების წესებიდან გამომდინარეობს, ან თუკი მხარეებს არა აქვთ არჩეული საარბიტრაჟო წარმოების წესები, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას დაიდგინოს საკუთარი კომპეტენცია.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა, მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მაინც ანიჭებს არბიტრის დანიშვნის კომპეტენციას სასამართლოს, მიუხედავად იმისა, რომ მხარეები არ არიან შეთანხმებული საარბიტრაჟო განხილვის ადგილზე, მაგრამ ერთ-ერთ მხარეს ადგილსამყოფელი იმ ქვეყანაში აქვს, სადაც სასამართლოა.<sup>160</sup> საქართველოს კანონმდებლობა ამგვარ დანაწესს არ იცნობს. შესაბამისად, როდესაც საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არ არის მითითებული საარბიტრაჟო შეთანხმებაში, და მისი დადგენა შეუძლებელია, სასამართლო ვერ დაადგენს საკუთარ კომპეტენციას, და ვერც არბიტრს დანიშნავს, რაც გამოიწვევს საარბიტრაჟო შეთანხმების შესრულების შეუძლებლობას (იხ. 1.4.8. თავი).

✓ **საარბიტრაჟო განხილვის ადგილის შემონახვის შედეგად განსჯადობის დადგენის შემდგომ, სასამართლო ამონაშენს შემდეგ გარემოებებს:**

## 2.2. არის, თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმება ნამდვილი?

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს, რომ მხარის მიერ სასამართლოსაგან არბიტრის დანიშვნის მოთხოვნისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა. თუმცა, დამკვიდრებული პრაქტიკით, როდესაც მხარე ითხოვს არბიტრის (არბიტრების) დანიშვნას, სასამართლო უფლებამოსილია შეამოწმოს საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა.

<sup>160</sup> მაგ.: გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 1025.3.

ისევე როგორც მე-9 მუხლის შემთხვევაში იყო (იხ. 1.2. თავი), სასამართლოების მიდგომა საარბიტრაჟო შეთანხმების შესაფასებლად გამოსაყენებელ სტანდარტთან დაკავშირებით განსხვავდება.<sup>161</sup> სასამართლოების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის ეტაპზე საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა არსებითად უნდა შემოწმდეს. საქმეებში – *National Insurance Company Ltd. v. Boghara Polyfab Pvt. Ltd.*<sup>162</sup> და *M/S S.B.P. & Co.v. M/S Patel Engineering Ltd. & Anr.*<sup>163</sup> – ინდოეთის უზენაესმა სასამართლომ განმარტა არბიტრაჟისა და მორიგების 1996 წლის აქტის მე-11 მუხლი, რომელიც ეფუძნება მოდელური კანონის მე-11 მუხლს. ორივე საქმეში სასამართლომ მიუთითა, რომ მე-11 მუხლის შესაბამისად განცხადების განხილვისას, სხვათა შორის, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს „არსებობს თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმება, როგორც ეს განსაზღვრულია ამ აქტში, და არის თუ არა პირი, რომელმაც მოითხოვა არბიტრის დანიშვნა, ამ საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე.“

ამასთანავე, გერმანიაშიც მოწმდება განცხადების განხილვისას საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა. მაგალითად, ნაუმბურგის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ (*Oberlandesgericht*) განიხილა განცხადება არბიტრის დანიშვნის თაობაზე,<sup>164</sup> სადაც ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე იყო აქციონერი. სასამართლომ უარი უთხრა მხარეს არბიტრის დანიშვნაზე საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის ნაკლის გამო. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის ერთ-ერთი მხარე არ იყო მენარმე, ვიზუალურად განცალკევებული და პერსონალურად ხელმოწერილი უნდა ყოფილიყო, რაც ამ შემთხვევაში არ იყო. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმა არ იყო დაცული, იგი არ იყო ნამდვილი, და უარი უთხრა მხარეს არბიტრის დანიშვნაზე.

<sup>161</sup> UNCITRAL 2012 Digest, გვ. 61, § 15.

<sup>162</sup> ინდოეთის უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *National Insurance Company Ltd. v Boghara Polyfab Pvt. Ltd.*

<sup>163</sup> ინდოეთის უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *M/S S.B.P. & Co.v M/S Patel Engineering Ltd. & Anr.*

<sup>164</sup> ნაუმბურგის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2005 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე №10 SchH 06/05.

თუმცა, ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება, რომ ვინაიდან საარბიტრაჟო კანონმდებლობა ითვალისწინებს არბიტრების მიერ საკუთარი კომპეტენციის დადგენის შესაძლებლობას (კომპეტენცია-კომპეტენციისთვის პრინციპი),<sup>165</sup> სასამართლომ არ უნდა მიითვისოს არბიტრების უფლებამოსილება და მან მხოლოდ *prima facie* უნდა შეამოწმოს საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა. აღნიშნული კი გულისხმობს საარბიტრაჟო შეთანხმების „ერთი შეხედვით“ – მხოლოდ წერილობით ფორმის არსებობის შეფასებას.

ჰონგ-კონგის სააპელაციო სასამართლომ საქმეში - *Private Company “Triple V” Inc. v. Star (Universal) Co. Ltd. and Sky Jade Enterprises Group Ltd.*<sup>166</sup> განაცხადა, რომ „თუ მოსამართლე უფრო ღრმად შევა საკითხში, ის მოახდენს არბიტრის უფლებამოსილების უზურპაციას. მართალია მოსამართლეს უნდა დაედგინა არსებობდა თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმება, მაგრამ მას არ შეეძლო იმაზე მეტის გაკეთება, ვიდრე *prima facie* სტანდარტით შეფასება.“<sup>167</sup>

ეს მიდგომა შესაძლოა მეტ შესაბამისობაში იყოს აგრეთვე არბიტრაჟის შესახებ კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილთან, რომლის მიხედვითაც „დაუშვებელია ამ კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოს რაიმე სახით ჩარევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ამ კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული.“ ვინაიდან, არბიტრაჟის შესახებ კანონის მე-11 მუხლი პირდაპირ არ ითვალისწინებს სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის დადგენას, შესაძლოა უფრო მართებული იყოს სასამართლოს მიერ ამ საკითხის ამ ეტაპზე მხოლოდ „ერთი შეხედვით“ შეფასება, და მისი არსებითი განხილვის არბიტრაჟისათვის მინდობა.

<sup>165</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 16.1.

<sup>166</sup> ჰონგ-კონგის სააპელაციო სასამართლოს 1995 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Private Company “Triple V” Inc. v Star (Universal) Co. Ltd. and Sky Jade Enterprises Group Ltd.*, 3 HKCA 617; ასევე იხ. ჰონგ-კონგის უმაღლესი სასამართლოს 1992 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Pacific International Lines (PTE) Ltd. & Another v Tsinlien Metals and Minerals Co. Ltd.*, HKCFI 225.

<sup>167</sup> ჰონგ-კონგის სააპელაციო სასამართლოს 1995 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Private Company “Triple V” Inc. v Star (Universal) Co. Ltd. and Sky Jade Enterprises Group Ltd.*, 3 HKCA 617§13.



- ✓ იმ შემთხვევაში თუ საარბიტრაჟო განხილვის ადგილი საქართველოა და სასამართლო, შესაბამისი სტანდარტით, დაადგენს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის ფაქტს, მაშინ სასამართლო აფასებს შემდეგ გარემოებებს:

### 2.3. ხომ არ არიან მხარეები შეთანხმებული არბიტრების დანიშვნის პროცედურაზე და მოქმედებს თუ არა ეს პროცედურა?

არბიტრაჟის შესახებ კანონის მე-11 მუხლი უმეტესწილად გამოიყენება, როდესაც მხარეებს არ აქვთ შეთანხმებული არბიტრების დანიშვნის წესი და/ან არჩეული აქვთ *ad hoc* არბიტრაჟი. ასევე ხშირად მხარეებს შეთანხმებული აქვთ არბიტრის (არბიტრების) და არბიტრაჟის თავმჯდომარის დანიშვნის პროცედურა, მაგრამ მხარეთა შეთანხმება ვერ/არ მუშაობს. მაგრამ თუკი მხარეთა შორის პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით (საარბიტრაჟო წარმოების წესებზე შეთანხმებით) არის განსაზღვრული არბიტრების დანიშვნის პროცედურა, მხარეებმა უპირველეს ყოვლისა უნდა ცადონ არბიტრების დანიშვნა შეთანხმებული პროცედურით.

დრემდენის სასამართლომ განიხილა საქმე, სადაც მხარეებს არჩეული ჰქონდათ მშენებელთა ინდუსტრიის საარბიტრაჟო წესები (Arbitration Rules for the Construction Industry), რომლის მიხედვითაც მხარეებმა არ სცადეს არბიტრების დანიშვნა. სასამართლომ უარი თქვა არბიტრების დანიშვნაზე, აღნიშნა რა, რომ სასამართლო ნიშნავს არბიტრებს მხოლოდ მაშინ, თუ მხარეთა მიერ არჩეული საარბიტრაჟო დანესებულება არ/ვერ ნიშნავს არბიტრებს.<sup>168</sup>

შესაბამისად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მხარეთა მიერ შეთანხმებული წესების მიხედვით ვერ ინიშნებიან არბიტრები, ამოქმედდება კანონის მე-11 მუხლი.

<sup>168</sup> დრემდენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2001 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე №11 Sch 01/01.

მიუნხენის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ (Oberlandesgericht) განიხილა საქმე,<sup>169</sup> რომლის მასალების მიხედვით მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთი არბიტრი, რომელიც ექიმი უნდა ყოფილიყო, ნომინირებული იქნებოდა სამედიცინო ასოციაციის დირექტორთა საბჭოს მიერ, ხოლო მეორე (ასევე) ექიმი, ნომინირებული იქნებოდა სავალდებულო სადაზღვევო ექიმების ასოციაციის მიერ და შემდგომ თავმჯდომარე დაინიშნებოდა ამ ორი არბიტრის შეთანხმებით. თუმცა, მითითებულმა ასოციაციებმა უარი განაცხადეს არბიტრების დანიშვნაზე. მოსარჩელე მხარემ მიმართა მიუნხენის სასამართლოს და მოითხოვა არბიტრების დანიშვნა. მეორე მხარემ ეჭვქვეშ დააყენა საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა იმ საფუძველით, რომ მხარეთა მიერ შეთანხმებული პროცედურა ვერ მოქმედებდა. სასამართლომ ჩათვალა, რომ მისი ჩართულობა არბიტრების დანიშვნაში სწორედ იმ შემთხვევებისთვისაა გათვალისწინებული, როდესაც მხარეების მიერ არჩეული პროცედურის მეშვეობით ვერ ინიშნება არბიტრი. ამ შემთხვევაში ერთვება სასამართლო და ნიშნავს მას. მიუნხენის სასამართლომ, არბიტრების დანიშვნაზე ასოციაციების უარის შემდგომ, თავად დანიშნა არბიტრები მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული არბიტრთა კვალიფიკაციის გათვალისწინებით.

ამდენად, თუ მხარეებს შორის არსებობს პირდაპირი ან ირიბი შეთანხმება არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის შესახებ, სასამართლო ჩაერთვება არბიტრის დანიშვნის პროცესში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეების მიერ შეთანხმებული მექანიზმი არ/ვერ მუშაობს.

## 2.4. ამოწურულია თუ არა სასამართლოს მიერ არბიტრის (არბიტრების) დანიშვნისათვის კანონით დადგენილი წინაპრობები?

იმ შემთხვევაში, თუ მხარეების მიერ შეთანხმებული პროცედურა ვერ ხორციელდება, ან მხარეები არ არიან შეთანხმებული არბიტრების დანიშვნის პროცედურაზე, კანონი სასამართლოს ჩარევამდე, ითვა-

<sup>169</sup> მიუნხენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2010 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე №34 SchH 11/09.

ლისწინებს „დამხმარე“ პროცედურის გავლის აუცილებლობას.<sup>170</sup> ამ პროცედურის მიზანია ამოწეროს მხარეთა (არბიტრთა) შორის შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა და მხოლოდ შეთანხმების მიუღწევლობისას გახდეს საჭირო სასამართლოს ჩარევა. კერძოდ, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი ადგენს:

„11.3 არბიტრის (არბიტრების) და არბიტრაჟის თავმჯდომარის დანიშვნაზე მხარეთა შეთანხმების არარსებობისას ან შეთანხმებული პროცედურის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში:

- (ა): სამი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში თითოეული მხარე ნიშნავს ერთ არბიტრს; ამ წესით დანიშნული ორი არბიტრი ნიშნავს არბიტრაჟის თავმჯდომარეს. თუ ერთ-ერთი მხარე არ დანიშნავს არბიტრს მეორე მხარის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში [1] ან თუ ორი არბიტრი მათი დანიშნიდან 30 დღის ვადაში ვერ შეთანხმდება მესამე არბიტრის დანიშვნაზე [2], ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს სასამართლო განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში;
- (ბ): ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან არბიტრის დანიშვნაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს სასამართლო განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში [3].“

შესაბამისად, კანონის მიხედვით, არბიტრის დანიშვნის საფუძველები და „დამხმარე“ პროცედურა 3 ნაწილად შეიძლება დაიყოს:

1. როდესაც დავას სამი არბიტრი განიხილავს და ერთი მხარე არ ნიშნავს არბიტრს;
2. დავას სამი არბიტრი განიხილავს და დანიშნული 2 არბიტრი არ ნიშნავს მესამე არბიტრს;
3. დავას ერთი არბიტრი განიხილავს და მხარეები ვერ თანხმდებიან ამ ერთი არბიტრის ვინაობაზე.

<sup>170</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 11.3.

### 2.4.1. როდესაც დავას სამი არბიტრი განიხილავს

- ✓ ერთ-ერთი მხარის მიერ არბიტრის არდანიშვნის შემთხვევაში, სასამართლო ადგენს, გავიდა თუ არა უშედეგოდ არბიტრის დანიშვნის თაობაზე ერთი მხარის მიერ მეორესადმი მოთხოვნის წაყენებიდან 30 დღე.

იმ შემთხვევაში, თუ დავას სამი არბიტრი განიხილავს, კანონი კიდევ ერთხელ აძლევს მხარეებს საშუალებას, თითოეულმა მათგანმა დანიშნოს ერთი არბიტრი.<sup>171</sup> თუმცა, თუკი რომელიმე მხარე უარს აცხადებს არბიტრის დანიშვნაზე, მაშინ მეორე მხარემ უნდა მოსთხოვოს მას არბიტრის დანიშვნა 30 დღის განმავლობაში.<sup>172</sup> კანონი არ ადგენს, თუ რა ფორმით უნდა წაუყენოს მოთხოვნა ერთმა მხარემ მეორეს არბიტრის დანიშვნის თაობაზე, რაც მხარეს ფორმის არჩევის დისკრეციას ანიჭებს. თუმცა, არბიტრის დანიშვნის მოთხოვნისას, დადგენას უნდა ექვემდებარებოდეს გაგზავნის ფაქტი (შეტყობინება განხორციელდა) და თარიღი. სასამართლომ აგრეთვე უნდა შეაფასოს, გასულია თუ არა მოთხოვნის მიღებიდან 30 დღე უშედეგოდ, ე.ი. არბიტრის დანიშვნის გარეშე. გასათვალისწინებელია, რომ 30 დღიანი ვადა აითვლება მხარის მიერ მოთხოვნის მიღების მომდევნო დღიდან.<sup>173</sup> ამასთანავე, არბიტრაჟის შესახებ კანონის მიხედვით, „თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.“<sup>174</sup>

### 2.4.2. როდესაც დავას სამი არბიტრი განიხილავს და დანიშნული 2 არბიტრი არ ნიშნავს მესამე არბიტრს

- ✓ სასამართლომ უნდა დაადგინოს, გავიდა თუ არა ორი არბიტრის დანიშვნის შემთხვევაში, მათი დანიშვნიდან მესამე არბიტრის არჩევისათვის დადგენილი 30 დღე უშედეგოდ.

<sup>171</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 11.3.ა).

<sup>172</sup> იქვე.

<sup>173</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1.

<sup>174</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.2.

თუკი დანიშნულია ორი არბიტრი და ისინი ვერ შეთანხმდებიან მესამე არბიტრის ვინაობაზე, სასამართლომ უნდა შეაფასოს, არბიტრების დანიშნვიდან გასულია თუ არა უშეგედოდ, ე.ი. მესამე არბიტრის დანიშვნის გარეშე, 30 დღე. ამ შემთხვევაში 30 დღიანი ვადა აითვლება არბიტრების დანიშვნის მომდევნო დღიდან.<sup>175</sup> იმ შემთხვევაში, თუ ორი არბიტრი ერთდროულად არ დანიშნულა, მაშინ 30 დღიანი ვადა უნდა აითვალოს ბოლო არბიტრის დანიშნვიდან, რადგან მანამდე არბიტრებს თავისთავად, არ ექნებოდათ შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა.

### 2.4.3. როდესაც დავას ერთი არბიტრი განიხილავს

ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში, არბიტრის დანიშვნამდე სასამართლომ უნდა დაადგინოს, შეეცადნენ თუ არა მხარეები არბიტრის დანიშვნას.

თუმცა, არბიტრაჟის შესახებ კანონი არ ითვალისწინებს კონკრეტულ ვადას, რომლის ამონურვის შემდგომ ჩაითვლება, რომ მხარეები ვერ შეთანხმდნენ არბიტრის არჩევაზე. შესაბამისად, საკმარისია მხარემ, სასამართლოში განცხადების წარდგენისას, აჩვენოს, რომ სასამართლოსთვის მიმართვამდე მხარეებს ჰქონდათ არბიტრის მეორე მხარესთან შეთანხმებით დანიშვნის მცდელობა, რომელიც უშედეგო აღმოჩნდა. აღნიშნული მოთხოვნის მიზანია უზრუნველყოს მხარეთა კონსენსუსი და მხოლოდ მისი მიუღწევლობისას დაუშვას სასამართლოს ჩართულობა.

## 2.5. რა კრიტერიუმით და როგორ არჩევს სასამართლო დასანიშნი არბიტრის კანდიდატურას?

დასანიშნი არბიტრის კანდიდატურის შერჩევისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- ✓ კრიტერიუმები, რომელსაც არბიტრი უნდა აკმაყოფილებდეს;
- ✓ ხომ არ ეკრძალება კანონით პირს არბიტრობა;
- ✓ რა შეიძლება იყოს არბიტრობის კანდიდატთა შერჩევის წყარო;

<sup>175</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1.

- ✓ არის თუ არა კანდიდატი თანახმა არბიტრობაზე;
- ✓ მხარეთა ჩართულობის მნიშვნელობა არბიტრის დანიშვნის პროცესში.

### 2.5.1. რა კრიტერიუმები უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ არბიტრობის კანდიდატის შერჩევას?

უმრავლესი განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობის მსგავსად,<sup>176</sup> არც საქართველოს კანონი შეიცავს რაიმე სავალდებულო კრიტერიუმებს, რასაც არბიტრი უნდა აკმაყოფილებდეს.<sup>177</sup> შესაბამისად, არბიტრი შეიძლება იყოს როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის მოქალაქე, როგორც იურისტი, ისე სხვა პროფესიის წარმომადგენელი. მთავარია, რომ მხარეებმა ჩათვალონ იგი შესაფერის კანდიდატად მათი დავის განსახილველად. სწორედ მხარეთა ნების უპირატესი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ სასამართლომ, არბიტრის დანიშვნის საკითხის განხილვისას ყურადღება მიაქციოს, აქვთ თუ არა მხარეებს შეთანხმებული რაიმე მოთხოვნები დასანიშნი არბიტრების მიმართ. მხარეები შესაძლოა შეთანხმდნენ არბიტრის კანდიდატის კონკრეტულ პროფესიაზე (იურისტი, არქიტექტორი, ა.შ.), სამუშაო გამოცდილებაზე (არანაკლებ 10 წლისა, ა.შ.), ენობრივ კომპეტენციაზე (ფლობს ინგლისურ, ფრანგულ ენებს, ა.შ.), ეროვნებაზე და სხვა მოთხოვნებზე. თუ ასეთი კრიტერიუმები განსაზღვრულია, კანონი ავალდებულებს სასამართლოს, გაითვალისწინოს ისინი არბიტრობის კანდიდატთა შერჩევას.<sup>178</sup>

თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მხარეებს არა აქვთ პირდაპირ შეთანხმებული არბიტრების მიმართ რაიმე მოთხოვნები, სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმის გარემოებები (საარბიტრაჟო განხილვის ადგილი; საარბიტრაჟო წარმოების ენა; დავის კატეგორია და ა.შ.), რათა დანიშნოს კომპეტენტური და დავისთვის ყველაზე

<sup>176</sup> გერმანია - გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი; აშშ - ფედერალური აქტი არბიტრაჟის შესახებ; 1925, ინგლისი - არბიტრაჟის შესახებ აქტი, 1996.

<sup>177</sup> კანონი აწესებს მხოლოდ იმ კრიტერიუმებს, რის გამოც პირი არ შეიძლება დაინიშნოს არბიტრად, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 11.7.

<sup>178</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 11.6.

შესაბამისი არბიტრი. მაგალითად, თუ მხარეები შეთანხმდნენ, რომ დავის განხილვა უნდა მოხდეს ინგლისურ ენაზე, სასამართლო უნდა შეეცადოს დანიშნოს არბიტრი, რომელიც ფლობს საარბიტრაჟო წარმოების ენას – ინგლისურს.

გარდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრის დანიშვნა<sup>179</sup>. საერთაშორისო პრაქტიკაში, ამის ყველაზე მიღებული ფორმა არის არბიტრისთვის თხოვნა, წარუდგინოს სასამართლოს (რომელიც შემდგომ შესაბამისად წარუდგენს მხარეებს) დეკლარაცია იმის შესახებ, რომ (არ) არსებობს ისეთი გარემოებები, რომლებსაც შეუძლია გააჩინოს დასაბუთებული ეჭვი არბიტრის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე, ე.წ. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დეკლარაცია (იხ. დანართი 1). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არბიტრმა შესაძლოა მიუთითოს გარკვეულ გარემოებაზე, დეკლარირების მიზნით, რათა ამცნოს სასამართლოს და მხარეებს იმ გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა მხარეების თვალში შესაძლოა კითხვის ნიშნები გააჩინოს არბიტრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში. თუმცა, ამ ფაქტის არსებობა და მისი დეკლარაცია თავისთავად არ ნიშნავს რომ არბიტრი უნდა დისკვალიფიცირებულ იქნეს. პირიქით, თუკი პირი თანხმობას აცხადებს არბიტრობაზე და ამასთან ამცნობს მხარეებსა და სასამართლოს გარკვეული გარემოების შესახებ, ეს ნიშნავს, რომ მას მიაჩნია, რომ ეს ისეთი გარემოებაა, რომელსაც არა აქვს ზეგავლენა მის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაზე (სხვაგვარად, იგი უარს იტყობდა არბიტრობაზე). შესაბამისად, გარემოების სიმძიმედან (კავშირის სიახლოვიდან გამომდინარე), სასამართლომ შეიძლება ავტომატურად არ თქვას უარი ამ არბიტრის დასახელებაზე, არამედ წარუდგინოს მხარეებს მისი კანდიდატურა დეკლარაციასთან ერთად და დაელოდოს მხარეთა პოზიციებს მის დანიშვნასთან დაკავშირებით. დეკლარაციის საფუძველზე, და როგორც წესი, მხარეთა პოზიციების გაცნობის შემდეგ, სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას არბიტრის დანიშვნა-არ-დანიშვნის შესახებ.

<sup>179</sup> იქვე.

### 2.5.2. ვის ეკრძალება არბიტრობა?

მართალია, კანონმდებლობა არ უწესებს არბიტრებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მაგრამ ის გარკვეულ შემთხვევებში კრძალავს პირის არბიტრად დანიშვნას. კანონის თანახმად, დაუშვებელია პირს აეკრძალოს არბიტრად დანიშვნა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი არის:<sup>180</sup>

- ა) შებლუდულქმედუნარიანი ან მხარდაჭერის მიმღები, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
- ბ) სახელმწიფო მოსამსახურე, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, პოლიტიკური თანამდებობის პირი ან საჯარო მოსამსახურე;
- გ) მსჯავრდებული დანაშაულის ჩადენისათვის, და მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვს ნასამართლობა;
- დ) ამასთანავე, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის მიხედვით, არბიტრი არ შეიძლება იყოს კერძო აღმასრულებელი<sup>181</sup>.

შესაბამისად, კონკრეტული კანდიდატის მხარეებისთვის წარდგენამდე, სასამართლომ, თითოეულ კანდიდატთან უნდა გადაამოწმოს მათ მიერ არბიტრობის შესაძლებლობა და არბიტრობის გამომრიცხავი გარემოებების არარსებობა. ეს, როგორც წესი, უნდა მოხდეს არბიტრის მიერ შესაბამისი დეკლარაციის წარდგენის სახით (იხ. დანართი 1).

### 2.5.3. საიდან ხდება არბიტრობის კანდიდატთა შერჩევა?

კანონი არ აწესებს რაიმე კონკრეტულ პროცედურას, თუ როგორ, საიდან უნდა დანიშნოს სასამართლომ არბიტრები. საერთაშორისო პრაქტიკაშიც არსებობს რამდენიმე განსხვავებული მიდგომა. ქვეყანათა ნაწილში, მხარეებს შეუძლიათ თვითონ, თავიდანვე წარადგინონ სავარაუდო არბიტრთა სია, რომლითაც ხელმძღვანელობს სასამართლო. ხოლო ზოგან სასამართლო უფრო აქტიურია და მხარეებს თვითონ უგზავნის სავარაუდო არბიტრთა მონაცემებს და ისმენს

<sup>180</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 11.7.

<sup>181</sup> სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 14<sup>9</sup>.2.



მათ მოსაზრებებს.<sup>182</sup> შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ სასამართლომ ორივე მხარეს გაუგზავნოს 5, 7, 10 არბიტრობის კანდიდატთა სია და სთხოვოს თითოეულ მათგანს აარჩიოს ამ სიიდან 2, 3 ან მეტი მისაღები კანდიდატი. თუკი არის თუნდაც ერთი დამთხვევა მხარეების მიერ წარმოდგენილ კანდიდატებს შორის, ეს უადვილებს სასამართლოს დანიშნოს ორივე მხარისთვის მისაღები არბიტრი.

როდესაც საქმე სიას ეხება, სასამართლო ინსტიტუციონალური არბიტრაჟის შემთხვევაში, სასამართლოები არბიტრობის კანდიდატთა ასარჩევად, როგორც წესი, ხელმძღვანელობენ ამავე დაწესებულების არბიტრთა სიით. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ დავას *ad hoc* არბიტრაჟი განიხილავს, სასამართლომ კანდიდატთა სიისათვის შეიძლება მიმართოს არბიტრთა პროფესიულ ასოციაციას. საქართველოში ფუნქციონირებს საქართველოს არბიტრთა ასოციაცია,<sup>183</sup> რომელიც შესაძლოა კარგი წყარო იყოს სასამართლოსათვის არბიტრობის კანდიდატთა თავდაპირველი სიის მისაღებად.

#### 2.5.4. საჭიროა თუ არა არბიტრობაზე კანდიდატთა თანხმობის წინასწარ მოპოვება?

არბიტრაჟის შესახებ კანონის მიხედვით, დაუშვებელია პირის არბიტრად დანიშვნა მისი თანხმობის გარეშე. ამასთან, არბიტრობაზე თანხმობა პირმა უნდა განაცხადოს წერილობით.<sup>184</sup> შესაბამისად, ვიდრე რომელიმე პირის კანდიდატურა წარედგინებათ მხარეებს, აუცილებელია სასამართლო (ან მხარე) დაეკონტაქტოს თითოეულ კანდიდატს და მოიპოვოს მათი წინასწარი თანხმობა არბიტრაჟის წევრობაზე.

ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც არბიტრობის კანდიდატები შეირჩევა რომელიმე საარბიტრაჟო დაწესებულების სიიდან. პირის რომელიმე დაწესებულების არბიტრთა სიაში ყოფნა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მის თანხმობად, იცოს არბიტრი ამ კონკრეტულ

<sup>182</sup> მაგალითისათვის, მექსიკის კომერციული კოდექსის 1467-ე მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს სასამართლოს მიერ მხარეებისათვის არბიტრთა კანდიდატების სიის გაგზავნას. იხ. General Report for Working Session 9 “State Court Participation in Arbitration – Help or Hindrance?” International Arbitration Commission & Litigation Commission (AIJA, 2015).

<sup>183</sup> საქართველოს არბიტრთა ასოციაცია, დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ [www.gaa.ge](http://www.gaa.ge). ნანახია: 13.11.2017 წ.

<sup>184</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 11.1.

საქმეზე. პირი შესაძლოა წლების განმავლობაში იყოს დანესებულების სიაში, კონკრეტული დავა კი წამოიჭრება კონკრეტულ დროში და ეხება კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს. ყოველი საქმე მოითხოვს არბიტრის მიერ პირად შეფასებას, არსებობს თუ არა ისეთი გარემოებები, რაც მას არ მისცემს საქმის დროულად, ობიექტურად განხილვის შესაძლებლობას. შესაბამისად, არბიტრმა კონკრეტული საქმის მიმართ ინდივიდუალურად უნდა განაცხადოს თანხმობა ან უარი. შესაბამისად, აუცილებელია არბიტრის დანიშვნამდე არბიტრობაზე პირის თანხმობის მოპოვება. საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული და მოსახერხებელიცაა, რომ ამ თანხმობასთან ერთად პირმა წარადგინოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დეკლარაცია, სადაც იგი მიუთითებს, არსებობს თუ არა გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს დასაბუთებული ეჭვი არბიტრის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე, და ასევე განაცხადოს, ხომ არ არის სახეზე ფაქტორები, რომლებიც კანონის თანახმად გამორიცხავენ პირის არბიტრად დანიშვნის შესაძლებლობას (იხ. დანართი N1).

### 2.5.5. რამდენად არიან მხარეები ჩართული არბიტრის დანიშვნის პროცესში?

არბიტრის დანიშვნის თაობაზე სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება არ საჩივრდება, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ არბიტრების დანიშვნის პროცესში ჩართული იყვნენ თავად მხარეებიც.<sup>185</sup> ამით მხარეებს წინასწარ მიეცემათ შესაძლებლობა გამოხატონ თავიანთი პოზიცია არბიტრობის კანდიდატების მიმართ, რაც, შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოფს მხარეთათვის მისაღები, საქმისათვის შესაფერისი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი არბიტრის დანიშვნას. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ იმ ეტაპზე, როდესაც მხარეებს შორის არსებობს დავა და ისინი ვერ თანხმდებიან არბიტრის კანდიდატურაზე (სწორედ ამიტომ დადგა სასამართლოს მიერ არბიტრის დანიშვნის საჭიროება), არის ალბათობა, რომ მოპასუხე მხარემ არბიტრის კანდიდატურის შერჩევაში არ მიიღოს მონაწილეობა, ან კანდიდატების მიუღებლობა გამოიყენოს პროცესის გაჭიანურების, ან არბიტრაჟის თავიდან არიდების მექანიზმად. ამის საშუალება

<sup>185</sup> მაგ.: მექსიკის კომერციული კოდექსის 1467-ე მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს სასამართლოს მიერ მხარეებისათვის არბიტრთა კანდიდატების სიის გაგზავნას.

სასამართლომ არ უნდა მისცეს მხარეებს. სასამართლომ უნდა შეაფასოს მხარეთა პოზიციების დასაბუთებულობა და ამის შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული არბიტრის დანიშვნის შესახებ. თუკი სასამართლომ, მხარეთა პოზიციების გაცნობის შემდგომ, მიზანშეწონილად არ მიიჩნია არცერთი შეთავაზებული არბიტრის დანიშვნა, მას შეუძლია თავიდან აარჩიოს ახალი კანდიდატები და შესთავაზოს ისინი მხარეებს.

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებენ მხარეთა ჩართულობის რაიმე კონკრეტულ პროცედურას. მხარეთა პოზიციები არბიტრობის კანდიდატების მიმართ შეიძლება გამოიხატოს როგორც წერილობით, ისე ზეპირად, თუ სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს ამ საკითხზე ზეპირი სხდომის ჩანიშვნას.

### 2.5.6. როგორ განისაზღვრება/თანხმდება არბიტრთა ანაზღაურება?

როდესაც ადგილი აქვს ადმინისტრირებად (ინსტიტუციონალურ) არბიტრაჟს, არბიტრთა ანაზღაურება, როგორც წესი, განისაზღვრება და გვარდება ინსტიტუტის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად. უფრო რთულად არის საქმე, როდესაც ადგილი აქვს *ad hoc* არბიტრაჟს, რა შემთხვევაშიც, თავად მხარეებმა უნდა შეათანხმონ ანაზღაურების საკითხი არბიტრებთან. არბიტრებმა, ასეთ შემთხვევაში, უნდა იხელმძღვანელონ სამართლიანობისა და გონივრულობის პრინციპით.<sup>186</sup> თუმცა, არბიტრის ანაზღაურების შეუთანხმებლობის მიზეზი შესაძლოა იყოს არა ის, რომ არბიტრის მიერ განსაზღვრული/შეთავაზებული ოდენობა უსამართლო ან არაგონივრულია, არამედ რომელიმე მხარის მცდელობა ხელი შეუშალოს არბიტრაჟის ფორმირებას და/ან გააჭიანუროს პროცესი. ამდენად, თუკი მხარეები და არბიტრი ვერ თანხმდებიან ანაზღაურების პირობებზე, ამ შემთხვევაში შეიძლება საკითხის გადასაწყვეტად ჩაერთოს სასამართლო, რათა მან განსაზღვროს გონივრული და სამართლიანი ანაზღაურება.<sup>187</sup>

<sup>186</sup> საქართველოს არბიტრთა ასოციაციის ეთიკის კოდექსი, პრინციპი VII (წინამდებარე გამკველვის დანართი 2).

<sup>187</sup> Gabrielle Kaufmann-Kohler and Antonio Rigozzi, *International Arbitration, Law and Practice in Switzerland* (Oxford University Press, 2015), გვ. 234; Christoph Liebscher and Alice A. Fremuth-Wolf, *Arbitration Law and Practice in Central and Eastern Europe* (Juris Publishing, 2011), გვ. POL-60 და ROM-150.

აღსანიშნავია, რომ თავად არბიტრაჟს არ აქვს უფლება ცალმხრივად განსაზღვროს საკუთარი ანაზღაურება.<sup>188</sup> სხვაგვარად გამოვა, რომ დაინტერესებული მხარე იღებს გადაწყვეტილებას მასა და მეორე მხარეს შორის არსებულ სადავო საკითხზე. ამ გარემოებამ შესაძლოა ცდუნებაში შეიყვანოს არბიტრი და უბიძგოს მას განსაზღვროს სამართლიანზე მაღალი ანაზღაურება. ნებისმიერ შემთხვევაში, ცალმხრივი განსაზღვრა ეჭვქვეშ აყენებს მეორე მხარის (თავად საარბიტრაჟო პროცესის მხარის) თვალში არბიტრის მიერ განსაზღვრული საკუთარი კომპენსაციის მართებულობას. ამდენად, თუკი შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, გადაწყვეტილება ანაზღაურების ოდენობის შესახებ უნდა მიიღოს დამოუკიდებელმა მხარემ – სასამართლომ.

როდესაც დგება სასამართლოს მიერ არბიტრის ანაზღაურების განსაზღვრის საჭიროება, რა კრიტერიუმებით ან მონაცემებით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ რომ უზრუნველყოს სამართლიანი და გონივრული ანაზღაურება? როგორც წესი, სასამართლოები ადგენენ, რა არის ბაზარზე არსებული საშუალო/ჩვეული ანაზღაურების ოდენობა ამ სახის დავებისთვის.<sup>189</sup> ამის დასადგენად სასამართლოს შეუძლია მიმართოს საარბიტრაჟო დანებსებულებების მიერ არბიტრის ანაზღაურების განმსაზღვრელ წესს/ცხრილებს,<sup>190</sup> ან მოითხოვოს ნომინირებული არბიტრისაგან ინფორმაცია მსგავს საქმეებში მისი წინა ანაზღაურებების შესახებ (თუ ასეთს ჰქონდა ადგილი), და მხედველობაში მიიღოს საქმის სირთულე და სხვა რელევანტური გარემოებები. სასამართლოს ასევე შეუძლია მხარეებს ჰკითხოს, არის თუ არა სასამართლოს გარდა სხვა ორგანო/დანებსებულება, ვისაც შესაძლოა მხარეებმა ანდონ არბიტრთა ანაზღაურების განსაზღვრა. ყველა მონაწილე მხარისა და არბიტრის თანხმობის შემთხვევაში, სასამართლომ შესაძლოა სხვა რელევანტურ (პროფესიულ) ორგანოს, მაგალითად, საქართველოს არბიტრთა ასოციაციას, ანდოს არბიტრის ანაზღაურების განსაზღვრა.

<sup>188</sup> Frank-Bernd Weigand, *Practitioner’s Handbook on International Commercial Arbitration* (Oxford University Press, 2010), გვ. 157, § 2.223.

<sup>189</sup> იქვე.; Gabrielle Kaufmann-Kohler and Antonio Rigozzi, *International Arbitration, Law and Practice in Switzerland* (Oxford University Press, 2015), გვ. 233.

<sup>190</sup> მაგ.: საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის ვებ გვერდზე განთავსებულია საარბიტრაჟო ხარჯების, მათ შორის არბიტრთა ანაზღაურების ავტომატური გამოანგარიშების მექანიზმი, იხ. [www.gjac.ge](http://www.gjac.ge); ნანახია: 13.11.2017 წ.

## როდესაც მხარე ითხოვს არბიტრის დანიშვნას (მე-11 მუხლი) [გვ.64-82]

### 1) სად არის საარბიტრაჟო განხილვის ადგილი? [გვ. 65-68]

არის საქართველოში/  
სასამართლოს სამოქმედო  
ტერიტორიაზე (განსჯადი)

არ არის დადგენილი და არ არის საქართველოში (არ არის განსჯადი)

### 2) არიან თუ არა მხარეები შეთანხმებული არბიტრის დანიშვნის პროცედურაზე და ხორციელდება თუ არა იგი? [გვ. 72-82]

დიახ

არა

**2.1. ამონუნრული იქნა თუ არა მხარეთა მიერ შეთანხმებული პროცედურა? [გვ. 71-72]**

**2.2. ამონუნრეს თუ არა მხარეებმა არბიტრის დანიშვნის კანონით გათვალისწინებული პროცედურა [გვ. 72-75]**

**არა** (უარი განხილვაზე)

**2.2.1.** თუ დავას 1 არბიტრი განიხილავს [გვ. 75]

**2.2.2.** თუ დავას 3 არბიტრი განიხილავს [გვ. 74-75]

**შეუცვლდნენ, თუ არა მხარეები არბიტრის დანიშვნას?**

**თუ მხარე არ ნიშნავს არბიტრს**

**თუ ორი არბიტრი არ ნიშნავს მესამე არბიტრს**

**დიახ** (სასამართლო იხილავს განხილვას)

**არა** (უარი განხილვაზე)

გავიდა თუ არა უშედეგოდ არბიტრის დანიშვნის თაობაზე ერთი მხარის მიერ შეთქმული მოთხოვნის წაყენებიდან 30 დღე?

გავიდა თუ არა უშედეგოდ მესამე არბიტრის არჩევისათვის დადგენილი 30 დღე?

**დიახ** (სასამართლო იხილავს განხილვას)

**არა** (უარი განხილვაზე)

**დიახ** (სასამართლო იხილავს განხილვას)

**არა** (უარი განხილვაზე)

# III სანამართლო რელი ანტიტრის აქტივებისა

(კანონის მე-12-13 მუხლები)



3.	სასამართლოს როლი არბიტრის აცილებისას (კანონის მე-12-13 მუხლები)	85
3.1.	სად არის საარბიტრაჟო განხილვის ადგილი?	88
3.2.	არიან თუ არა მხარეები შეთანხმებული აცილების პროცედურაზე და რამდენი არბიტრი განიხილავს დავას?	89
3.2.1	თუ მხარეები შეთანხმებული არიან აცილების პროცედურაზე	89
3.2.2	როდესაც მხარეები არ არიან შეთანხმებული აცილების პროცედურაზე	90
3.2.3	როდესაც დავას ერთი არბიტრი განიხილავს და მისი აცილების პროცედურა არ არის შეთანხმებული მხარეთა შორის	92
3.3.	ვადების მნიშვნელობა აცილების შესახებ განცხადების წარდგენისას	92
3.4.	არსებობს, თუ არა არბიტრის აცილების საფუძვლები?	94
3.4.1.	კვალიფიკაცია	95
3.4.2.	დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა	97
ა.	როდესაც არბიტრის ასაცილებლად გარემოებები საკმარისად იქნა მიჩნეული	98
ბ.	როდესაც გარემოებები არ ჩაითვალა საკმარისად არბიტრის ასაცილებლად	100
	სქემა - მე-12-13 მუხლები	105

გამომდინარე იქიდან, რომ არბიტრაჟი მხარეთა შეთანხმების წარმონაქმნია, მხარეები უფლებამოსილნი არიან თვითონ განსაზღვრონ არბიტრების ვინაობა, კვალიფიკაცია, მათ შორის შეთანხმდნენ ისეთ არბიტრებზეც, რომლებსაც მართალია გარკვეული კავშირები აქვთ მხარესთან (მხრეებთან), მაგრამ მხარეები თვლიან რომ არბიტრები მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად შეძლებენ დავის განხილვას.

იმისათვის, რომ მხარეებს ჰქონდეთ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, მნიშვნელოვანია, არბიტრის დანიშვნამდე მხარეებს ჰქონდეთ სრული ინფორმაცია ისეთ გარემოებებზე, რომლებმაც შესაძლოა ეჭვი გააჩინოს არბიტრის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ, არბიტრაჟის შესახებ კანონის მიხედვით, არბიტრი როგორც დანიშვნამდე, ისე საარბიტრაჟო განხილვის მთელი ვადის განმავლობაში ვალდებულია აცნობოს მხარეებს იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც საეჭვოს ხდის მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.<sup>191</sup>

საერთაშორისო სივრცეში და უკვე საქართველოშიც, დამკვიდრებული პრაქტიკაა, რომ არბიტრები დანიშვნის მიღებამდე/თანხმობამდე, ან მასთან ერთად, წარუდგენენ მხარეებს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დეკლარაციას (იხ. დანართი 1), სადაც მიუთითებენ ისეთი გარემოებების შესახებ, რომელთაც შესაძლოა მხარეების თვალში წარმოიშვას ეჭვი არბიტრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაზე. ამასთან, როდესაც არბიტრი თანხმობას აცხადებს მის დანიშვნაზე და დეკლარაციაში მიუთითებს ნებისმიერ ასეთ გარემოებაზე, მიიჩნევა, რომ იგი თავად დარწმუნებულია თავის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში, სხვაგვარად მან უარი უნდა თქვას დანიშვნაზე. სწორედ ეს იგულისხმება არბიტრაჟის შესახებ კანონის 13.5 მუხლში, რომლის მიხედვითაც აცილების საფუძვლის არსებობის შემთხვევაში კანონი ავალდებულებს არბიტრს განაცხადოს

<sup>191</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 12.3.



თვითაცილება. მამასადაამე, არბიტრი, რომელიც თანხმდება დანიშვნაზე და წარადგენს კვალიფიციურ დეკლარაციას (ე.ი. დეკლარაციას, სადაც მითითებული იქნება გარემოება, რომელთაც მხარეთა თვალში შესაძლოა წარმოშვან ეჭვები), ამჟღავნებს ამ გარემოებებს იმ მიზნით, რომ საშუალება მისცეს მხარეებს თავად შეაფასონ ასეთი გარემოებების არსებობა; გამჟღავნება, თავისთავად არ ნიშნავს აცილების საფუძვლის არსებობას.

უმრავლეს შემთხვევაში, როდესაც მხარეები შეთანხმებული არიან რომელიმე საარბიტრაჟო წარმოების წესებზე, ეს წესები თავად განსაზღვრავს აცილების პროცედურას, იქნება ეს რომელიმე საარბიტრაჟო დაწესებულების შიგნით (მისი ორგანოების გამოყენებით), თუ მის გარეშე. ამისდა მიუხედავად, სასამართლოს როლი მნიშვნელოვანია როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს შორის არ არსებობს შეთანხმება საარბიტრაჟო წარმოების (უფრო კონკრეტულად კი, აცილების) კონკრეტულ წესებზე, ისე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ასეთი შეთანხმება არსებობს.

გასათვალისწინებელია, რომ აცილების თაობაზე პროცედურის შეთანხმებლობის მიუხედავად, მოდელური კანონის მსგავსად,<sup>192</sup> საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ ითვალისწინებს მხარის მიერ არბიტრის აცილების თაობაზე სასამართლოსთვის მიმართვამდე, შიდა, საარბიტრაჟო აცილების პროცედურის გავლის სავალდებულობას. აღნიშნულის მიზანია, ჯერ არბიტრებმა გადანყვიტონ აცილების საკითხი და შემდგომ სასამართლომ. ამიტომ, არბიტრაჟის შესახებ კანონი ადგენს ორ რეჟიმს:

<sup>192</sup> Howard M. Holtzmann and Joseph E. Neuhaus, *A Guide to the UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration: Legislative History and Commentary* (Kluwer Law International, 1989), გვ. 407; არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 13-ის შედარებითი და სისტემური ანალიზი.

- 1) თუ მხარეები შეთანხმდნენ არბიტრის აცილების პროცედურაზე, მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მხოლოდ ამ პროცედურის წარუმატებლობის შემდგომ (არბიტრი არ იქნა აცილებული);
- 2) ხოლო, თუ მხარეები არ შეთანხმდნენ აცილების პროცედურაზე, არბიტრაჟის შესახებ კანონის მუხლი 13.2, სწორედ აცილების შიდა პროცედურის ამონურვის მიზნით აწესებს აცილების „შემაჯსებელ“, დამხმარე პროცედურას, რომლის შემდგომაც, არბიტრის არ-აცილების შემხვევაში, მხარეს ეძლევა საშუალება მიმართოს სასამართლოს.

არბიტრის აცილების შესახებ მოთხოვნის მიღებისას, სასამართლომ განსჯადობისა და აცილების წინაპირობების შესაფასებლად, ყურადღება უნდა გაამახვილოს შემდეგ გარემოებებზე:

1. სად არის საარბიტრაჟო განხილვის ადგილი?
2. არიან თუ არა მხარეები შეთანხმებულები აცილების პროცედურაზე? და თუ არიან, როგორ წარიმართა იგი? თუ მხარეები არ არიან შეთანხმებული პროცედურაზე, მიმართეს თუ არა მხარეებმა 13.2. მუხლით დადგენილ აცილების პროცედურას?
3. დავას განიხილავს 1 თუ 3 არბიტრი?
4. როდის გახდა ცნობილი მხარისათვის გარემოება, რომელზე დაყრდნობითაც ითხოვს იგი არბიტრის აცილებას?
5. არსებობს, თუ არა არბიტრის აცილების საფუძვლები? ე.ი. ამართლებს თუ არა მითითებული გარემოებები არბიტრის აცილებას?

### 3.1. სად არის საარბიტრაჟო განხილვის ადგილი?

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის,<sup>193</sup> ისევე, როგორც მოდელური კანონიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო კომპე-

<sup>193</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2.1.ა).

ტენტურია განიხილოს არბიტრების აცილების საკითხი იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო განხილვის ადგილი საქართველოა. ხოლო კონკრეტული საქალაქო (რაიონული) სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს არბიტრის აცილების საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მის სამოქმედო ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, მიმდინარეობს ან უნდა გაიმართოს საარბიტრაჟო განხილვა. დეტალური ანალიზისთვის იხილეთ თავი 2.1.

## 3.2. არიან თუ არა მხარეები შეთანხმებული აცილების პროცედურაზე და რამდენი არბიტრი განიხილავს დავას?

### 3.2.1 თუ მხარეები შეთანხმებული არიან აცილების პროცედურაზე

გამომდინარე იქიდან, რომ არბიტრაჟი მხარეთა კერძო ავტონომიაზეა აგებული, მხარეები უფლებამოსილნი არიან შეთანხმდნენ არბიტრის აცილების პროცედურაზე.<sup>194</sup> მათ შორის არბიტრაჟის შესახებ კანონის მუხლით 13.2 გათვალისწინებული არბიტრის აცილების პროცედურისგან განსხვავებულ პროცედურაზე. ეს, როგორც წესი, ხდება მხარეების მიერ რომელიმე საარბიტრაჟო წარმოების წესებზე შეთანხმებით, რომელიც ითვალისწინებს არბიტრის აცილების პროცედურას. შესაბამისად, როდესაც მხარეები შეთანხმებულები არიან პროცედურაზე, არბიტრის აცილება შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ ამ პროცედურის წარუმატებლობის შემდეგ. ე.ი. მხარემ ჯერ უნდა ცადოს შეთანხმებული პროცედურის განხორციელება და მხოლოდ მისი წარუმატებლობისას (არბიტრის არ აცილების შემთხვევაში) მიმართოს სასამართლოს.

ამასთანავე, მხარეების ავტონომია არ არის შეუზღუდავი. მხარეებს არ შეუძლიათ გამოიცილონ (პირდაპირ, თუ საარბიტრაჟო წესების ინკორპორირებით) სასამართლოს მიერ აცილების საბოლოო შეფასების შესაძლებლობა, მათ შორის შეცვალონ სასამართლოსადმი მიმართვის 30 დღიანი ვადა.<sup>195</sup> ე.ი. მხარეები შესაძლოა შეთანხმდნენ

<sup>194</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 13.1.

<sup>195</sup> Karl-Heinz Böckstiegel, Stefan Michael Kröll, et al. eds., *Arbitration in Germany: The Model Law in Practice*, 2nd ed. (Wolters Kluwer Law & Business, 2015), გვ. 195; არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 13.2.

აცილების პროცედურაზე, თუმცა მხარეები ვერ შეთანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ აცილების თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრებას.

### 3.2.2 როდესაც მხარეები არ არიან შეთანხმებული აცილების პროცედურაზე

მნიშვნელოვანია, მხარეს სასამართლოს მიმართვამდე ამონურული ჰქონდეს არბიტრის აცილების შიდა (სასამართლომდე) პროცედურა.<sup>196</sup> როდესაც მხარეთა მიერ არ არის აცილების პროცედურა შეთანხმებული, მას თავად კანონი ადგენს (კანონის მუხლი 13.2 და 13.3). მხოლოდ ამ პროცედურის დაცვით და მის შემდგომ შეუძლიათ მხარეებს მიმართონ სასამართლოს. კანონით დადგენილ პროცედურას მიეკუთვნება შემდეგი ეტაპები:

1) მხარემ არბიტრაჟს წარუდგინა განცხადება აცილების შესახებ იმ დღიდან 15 დღის ვადაში, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა შესაბამისი არბიტრის დანიშვნა ან ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია.<sup>197</sup> ამ შემთხვევაში კანონი ვადის ათვლის წერტილს უკავშირებს როგორც არბიტრის დანიშვნას, ისე მისი აცილების საფუძვლის/გარემოების შეტყობას. შესაბამისად, თუ არბიტრის დანიშვნიდან 15 დღეა გასული, მაგრამ მხარემ განცხადება არბიტრის აცილების შესახებ დანიშვნიდან 15 დღის მერე, თუმცა გარემოების შეტყობიდან 15 დღეში შეიტანა, აცილების თაობაზე განცხადება ვადის დაცვით გაკეთებულად უნდა ჩაითვალოს.

2) არბიტრს თვითაცილების გამოსაცხადებლად, ისევე როგორც მეორე მხარეს არბიტრის აცილების თაობაზე პოზიციის გასამუდავებლად, აქვს 30 დღე, რომელიც აითვლება მხარის მიერ აცილების თაობაზე

<sup>196</sup> Karl-Heinz Böckstiegel, Stefan Michael Kröll, et al. eds., *Arbitration in Germany: The Model Law in Practice*, 2nd ed. (Wolters Kluwer Law & Business, 2015), გვ. 198-199.

<sup>197</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 13.2.

განცხადების წარდგენიდან. თუ ამ ვადაში თვითაც ილება არ გაკეთდა, ან მეორე მხარე არ დაეთანხმა აცილებას, მაშინ არბიტრის აცილების საკითხს წყვეტს არბიტრაჟი.

არბიტრაჟის შესახებ კანონი არ აკონკრეტებს, მონაწილეობს თუ არა არბიტრის აცილების პროცესში ის არბიტრი, ვისი აცილების საკითხიც დაისვა. თუ მოვიხმობთ სასამართლოს ანალოგიას, მოსამართლის აცილების საკითხის განხილვისას, მოსამართლე, რომლის აცილებაც არის მოთხოვნილი არ მონაწილეობს საკითხის გადანყვეტაში; ხოლო თუ დარჩენილ ორ მოსამართლეს შორის ხმები თანაბრად გაიყო, მაშინ მოსამართლე აცილებულად ითვლება.<sup>198</sup> ამ მოდელის პირდაპირ გადმოტანა არბიტრაჟის კონტექსტში არ იქნება მართებული. სასამართლოსაგან განსხვავებით, არბიტრაჟში მხარეებს შესაძლებლობა აქვთ თავად აირჩიონ დავის განმხილველი არბიტრი. თუ ერთი მხარის მიერ დანიშნული არბიტრი არ მიიღებს აცილების გადანყვეტის საკითხში მონაწილეობას, ხოლო ხმათა გაყოფისას არბიტრი აცილებულ იქნება, განსაკუთრებით დიდი ზეგავლენის საშუალება ეძლევა მეორე მხარის მიერ დანიშნულ არბიტრს. ეს იმიტომ, რომ თუ ერთი მხარის მიერ დანიშნული არბიტრის აცილების საკითხი დაისმის, და თუ იგი არ მიიღებს მონაწილეობას, მეორე მხარის მიერ დანიშნული არბიტრის უარყოფითი გადანყვეტილება საკმარისი იქნება არბიტრის აცილებისთვის, რაც პროცედურულ უპირატესობას მინიჭებს მეორე მხარეს. ამასთანავე, არბიტრაჟის შესახებ კანონი ადგენს, რომ გადანყვეტილებას აცილების შესახებ ღებულობს „არბიტრაჟი“. ხოლო არბიტრაჟში მოიაზრება სამივე არბიტრი.<sup>199</sup> სხვა შემთხვევაში, კანონი გაითვალისწინებდა გამონაკლისს. შესაბამისად, გავრცელებული მოსაზრებით, არბიტრის აცილების პროცესში სამივე არბიტრი მონაწილეობს, მათ შორის არბიტრი, რომლის აცილების საკითხიც დასმულია და გადანყვეტილება ხმათა უმრავლესობით მიიღება.<sup>200</sup>

<sup>198</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 34.4.

<sup>199</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 10.

<sup>200</sup> Radka Zahradníková, “Challenge Procedure in Institutional and Ad Hoc Arbitration under the New Regulations in the Revised UNCITRAL Arbitration Rules,” *Czech & Central European Yearbook of Arbitration*, Vol. IV (2014), გვ. 279.

3) თუკი არბიტრაჟმა უარი თქვა არბიტრის აცილებებაზე, მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს არბიტრაჟის მიერ არბიტრის აცილებებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღეში. შესაბამისად, თუ მხარემ 30 დღეში არ მიმართა სასამართლოს, განცხადება არ უნდა იქნეს განხილული.

### 3.2.3 როდესაც დავას ერთი არბიტრი განიხილავს და მისი აცილების პროცედურა არ არის შეთანხმებული მხარეთა შორის

სამი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟისაგან განსხვავებით (რაზეც ზემოთ იყო საუბარი), არბიტრაჟის შესახებ კანონი ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში, თუკი მხარეებს არ აქვთ შეთანხმებული მისი აცილების პროცედურა, მხარეს ანიჭებს უფლებას, გვერდი აუაროს კანონით (მუხლი 13.2-ით) დადგენილ პროცედურას და პირდაპირ სასამართლოს წინაშე დააყენოს მისი აცილების საკითხი. ასეთ შემთხვევაში, მხარემ სასამართლოს უნდა მიმართოს 30 დღის ვადაში არბიტრის დანიშვნიდან ან იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია.<sup>201</sup>

### 3.3. ვადების მნიშვნელობა აცილების შესახებ განცხადების წარდგენისას

როდესაც მხარეები ინფორმირებული არიან მაკვალიფიცირებელი (აცილების შესაძლო საფუძვლების) გარემოებების შესახებ, მაგრამ მაინც ნიშნავენ არბიტრებს (არ აცხადებენ მის აცილებას), მიიჩნევა, რომ ისინი აცნობიერებენ ამ გარემოებებს, და მათ მიუხედავად თანახმა არიან არბიტრების დანიშვნაზე. შესაბამისად, ისინი თმობენ არბიტრების აცილების უფლებას.<sup>202</sup> ეს დანაწესი ეხმიანება უფრო ფართო (ე.წ. „უარის თქმის“) პრინციპს, რომელიც ასახულია არბიტრაჟის შესახებ კანონის 31-ე მუხლში. ამ მუხლის თანახმად: „თუ ამ კანონის რომელიმე

<sup>201</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 13.3.

<sup>202</sup> Julian D. M. Lew, Loukas A. Mistelis, et al., *Comparative International Commercial Arbitration* (Kluwer Law International, 2003), გვ. 309.

*მოთხოვნა, რომლისგანაც მხარეებს შეუძლიათ გადაუხვიონ, ან/და საარბიტრაჟო შეთანხმების რომელიმე მოთხოვნა არ იქნა დაცული და მხარე აგრძელებს საარბიტრაჟო წარმოებაში მონაწილეობას ისე, რომ ამგვარი დარღვევის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ან/და, თუ ამ კანონით, მხარეთა შეთანხმებით ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულია რაიმე ვადა, ამ ვადის განმავლობაში წერილობით არ წარადგენს თავის შესაგებელს, მაშინ ჩაითვლება, რომ მან უარი თქვა შეპასუხების უფლებაზე.“*

ამ პრინციპს მნიშვნელოვანი პრაქტიკული დატვირთვა აქვს. ასე რომ არ იყოს, შესაძლოა მხარემ, რომელმაც იცის არბიტრის აცილების საფუძვლის შესახებ, არ განაცხადოს აცილება, არამედ დაელოდოს პროცესის წინსვლას და შესაძლოა არბიტრის მიერ გადანყვეტილების გამოტანასაც კი, იმ იმედითა და ვარაუდით, რომ შესაძლოა არბიტრაჟმა გადანყვეტილება მის სასარგებლოდ გამოიტანოს. ხოლო თუკი მისი მოლოდინი არ გამართლდა და შემდგომი პროცესი ან გადანყვეტილება მას არ დააკმაყოფილებს, მხოლოდ ამ შემთხვევაში წამოწიოს წინ არბიტრის აცილების საფუძველი. ეს იქნებოდა უფლების ბოროტად გამოყენება და მეტად დამაზიანებელი მეორე მხარისათვის, რომელმაც დიდი ადამიანური და ფინანსური რესურსი გაიღო არბიტრაჟის პროცესში. პროცესის ეფექტიანობის, განჭვრეტადობის და სიზუსტის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, რომ მხარეებმა თავიანთი უფლებისა და პრეტენზიების შესახებ განაცხადონ დაუყოვნებლივ, და ყველა შემთხვევაში კანონით ან მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადებში.

სწორედ ამიტომ არბიტრაჟის შესახებ კანონი ადგენს, რომ „*მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს თავის მიერ დანიშნული არბიტრის აცილება მხოლოდ იმ გარემოებათა გამო, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა არბიტრის დანიშვნის შემდეგ.*“<sup>203</sup>

ჰამბურგის რეგიონულმა სასამართლომ (Oberlandesgericht) განიხილა არბიტრის აცილების საკითხი და დადგინდა ვადის განმავ-

<sup>203</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 12.2.

ლობაში აცილების დაუყენებლობის გამო ჩათვალა, რომ მხარეს დაკარგული ჰქონდა აცილების მოთხოვნის უფლება.<sup>204</sup> კერძოდ, მხარეები შეთანხმებული იყვნენ დავის გერმანიის საზღვაო საარბიტრაჟო ასოციაციის წესებით განხილვაზე, ხოლო წესების 6.2. მუხლის მიხედვით, მხარეს არბიტრის აცილება უნდა მოეთხოვა დაუყოვნებლივ (“unverzüglich”), იმ გარემოებების შეტყობინებიდან, რაც არბიტრის ობიექტურობის მიმართ ეჭვის გამომწვევის საფუძველი იყო. სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეები შეთანხმებული იყვნენ აცილების კანონისაგან განსხვავებულ პროცედურაზე, რის საშუალებასაც გერმანიის საპროცესო კოდექსი იძლეოდა. ამ შემთხვევაში განსამართავი იყო, თუ რა ვადაში ჩაითვლებოდა აცილების შესახებ განცხადება დაუყოვნებლივ წარდგენილად. სასამართლო დაეყრდნო გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 121-ე მუხლს და განმარტა, რომ აცილების დაყენების გონივრულ ვადად 2 კვირა მიიჩნეოდა. გამომდინარე იქიდან, რომ არბიტრმა გარემოებები 2005 წლის 1 თებერვალს გაამჟღავნა, ხოლო მხარემ მისი აცილება მხოლოდ 2005 წლის 6 აპრილს მოითხოვა, ანუ 2 თვეზე მეტი ხნის შემდგომ, სასამართლომ ჩათვალა, რომ აცილება არ იყო დაუყოვნებლივ (ანუ ორი კვირის ვადაში) წარდგენილი. შესაბამისად, მხარემ დაკარგა აცილების მოთხოვნის უფლება.

მაშასადამე, თუ მხარემ არ განაცხადა აცილების შესახებ შეთანხმებით ან კანონით დადგენილ ვადაში, მიიჩნევა, რომ იგი თმობს და კარგავს აცილების უფლებას, და სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს აცილების მოთხოვნა.

### 3.4. არსებობს, თუ არა არბიტრის აცილების საფუძველები?

მას შემდეგ, რაც სასამართლო დაადგენს, რომ განცხადება არბიტრის აცილების შესახებ მისი განსჯადია, და განცხადება დადგენილი პროცედურისა და ვადის დაცვითაა შემოტანილი, სასამართლო ამომწებს

<sup>204</sup> ნაუმბურგის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2005 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №9 SchH 01/05.



აქვს თუ არა არბიტრის (არბიტრების) აცილებას საფუძველი. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ არბიტრების აცილების საფუძვლები იგივეა, რაც საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოსამართლეთა აცილების საფუძვლები.<sup>205</sup> თუმცა, ქვეყანათა ნაწილი, საქართველოს მსგავსად, შეიცავს ზოგად ჩანაწერს. არბიტრაჟის შესახებ კანონის მიხედვით, არსებობს აცილების 3 საფუძველი:<sup>206</sup>

- 1) არბიტრი არ აკმაყოფილებს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ კვალიფიკაციას;
- 2) არსებობს გარემოებები, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს დასაბუთებული ეჭვი არბიტრის დამოუკიდებლობის თაობაზე;
- 3) არსებობს გარემოებები, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს დასაბუთებული ეჭვი არბიტრის მიკერძოებულობის თაობაზე.

### 3.4.1. კვალიფიკაცია

საარბიტრაჟო შეთანხმებაში მხარეები იშვიათად თანხმდებიან არბიტრების კვალიფიკაციაზე. თუმცა, ზოგ შემთხვევაში მხარეები მიიჩნევენ, რომ მათ შორის დავა აუცილებლად კონკრეტული გამოცდილების, კვალიფიკაციის მქონე პირმა უნდა განიხილოს. შესაძლებელია მხარეთა მიერ შეთანხმებული არბიტრის კვალიფიკაცია ეხებოდეს არბიტრის კომპეტენციას, ენის ფლობას, კონკრეტული ასოციაციის წევრობას, სამუშაო გამოცდილებას, ა.შ. ამასთანავე, როდესაც მხარეები არბიტრების კვალიფიკაციაზე თანხმდებიან, ეს კვალიფიკაცია ხშირად ობიექტურად შემონიშნავს და შებამისად, აცილების საფუძვლის არსებობა მარტივად შეიძლება დადგინდეს. თუმცა, ასევე გასათვალისწინებელია, რომ მხარეებმა შეიძლება ერთობლივად დათმონ ადრე შეთანხმებული მოთხოვნები, დანიშნონ ისეთ არბიტრები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ მათ მიერ შეთანხმებულ კვალიფიკაციას, თუმცა მაინც მისაღებია მხარეებისთვის. ასეთ დროს, მიიჩნევა, რომ მხარეები კონკლუდენტურად ცვლიან საარბიტრაჟო

<sup>205</sup> იტალიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლები 815 და 51.

<sup>206</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 12.1.

შეთანხმებას არბიტრების კვალიფიკაციის თაობაზე და შესაბამისად, მხარე კარგავს ამ საფუძვლით აცილების მოთხოვნის უფლებას.

დრეზდენის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ განიხილა განცხადება არბიტრის შესაბამისი შეთანხმებული კვალიფიკაციის არარსებობის გამო მისი აცილების თაობაზე.<sup>207</sup> მხარეთა შეთანხმებით არბიტრი უნდა ყოფილიყო გერმანიის ინდუსტრიისა და სავაჭრო პალატის წევრი (*Industrie- und Handelskammer, IHK*). მხარემ, რომელმაც შეიტანა სარბიტრაჟო სარჩელი, დანიშნა შეთანხმებული სავაჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტი, თუმცა, ვიცე-პრეზიდენტი თვითონ არ იყო პალატის წევრი. მეორე მხარემ განაცხადა, რომ იგი არბიტრად დანიშნავდა ცნობილ პროფესორს; მოსარჩელემ თანხმობა განაცხადა პროფესორის დანიშვნაზე. თუმცა, მოსარჩელის მიერ დანიშნულმა არბიტრმა უარი განაცხადა მოპასუხის მიერ პროფესორის არბიტრად დანიშვნაზე, იმ საფუძვლით, რომ იგი არ აკმაყოფილებდა მხარეთა შეთანხმებულ კვალიფიკაციას (პროფესორი არ იყო პალატის წევრი). ამის შემდეგ მოსარჩელემ განაცხადა, რომ იგი გამოიხმობდა დანიშნულ არბიტრს, და ახალ არბიტრად დაასახელა სამეწარმეო საზოგადოების დირექტორი, რომელიც ასევე არ იყო პალატის წევრი; ამასთანავე, მოსარჩელემ დამატებით მოითხოვა მოპასუხის მიერ დანიშნული არბიტრის აცილება შეთანხმებული კვალიფიკაციის უქონლობის გამო. მოსარჩელის მიერ არჩეულმა პირველმა არბიტრმა უარი განაცხადა გადადგომაზე და მოსარჩელემ მიმართა დრეზდენის უმაღლეს რეგიონულ სასამართლოს მის მიერ არბიტრის გადაყენების მოთხოვნით. სასამართლომ შეაფასა საქმის გარემოებები და მიიჩნია, რომ მხარეებმა კონკლუდენტურად შეცვალეს საარბიტრაჟო შეთანხმება, როდესაც ორივე მათგანმა დანიშნა ისეთი არბიტრი, რომელიც არ იყო შეთანხმებული პალატის წევრი; ამასთანავე, სასამართლომ განმარტა, რომ პალატის წევრობა გათვალისწინებული იყო შეთანხმებაში მხოლოდ იმისათვის, რომ უზრუნველყოფილიყო გამოცდილი არბიტრების

<sup>207</sup> დრეზდენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2001 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე №11 SchH 02/00.

დანიშვნა, ხოლო ამ მოთხოვნას მხარეების მიერ არჩეული ორივე დანიშნული არბიტრი აკმაყოფილებდა. შესაბამისად, სასამართლომ უარი უთხრა მხარეს არბიტრის აცილებამზე.<sup>208</sup>

### 3.4.2. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

უფრო რთულია არბიტრის მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის შეფასება. მიიჩნევა, რომ დამოუკიდებლობა წარმოადგენს არბიტრის და მხარის კავშირის შეფასების ობიექტურ კრიტერიუმს, მიუკერძოებლობა კი მოიცავს არბიტრის სუბიექტურ შეხედულებებს საქმისა და მხარეების შესახებ.<sup>209</sup> აცილებისთვის საკმარისი გარემოებების განსაზღვრა ერთ-ერთი ყველაზე დელიკატური საკითხია, ვინაიდან არ არსებობს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ჩამოყალიბებული მკაცრი საზღვრები.

ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციამ შეიმუშავა სახელმძღვანელო საერთაშორისო არბიტრაჟში ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.<sup>210</sup> სახელმძღვანელო შექურის ფერებად ყოფს ინტერესთა კონფლიქტის შემცველ გარემოებებს. იგი მოიცავს წითელ სიას, სადაც ერთის მხრივ ჩამოთვლილია გარემოებები, რომლებიც უპირობოდ წარმოადგენენ არბიტრის აცილების საფუძველს, ხოლო მეორე მხრივ, განსაზღვრავს აცილებად-წითელ სიას, სადაც ჩამოთვლილია გარემოებები, რომლებიც აცილების საფუძველია თუ მხარეებმა არ დაადასტურეს არბიტრი ამ გარემოებების არსებობის მიუხედავად. შემდგომ არის წარჩინებული სია, სადაც ჩამოთვლილია ინტერესთა კონფლიქტის შემცველი ისეთი გარემოებები, რომლებიც არ წარმოადგენენ აცილების საფუძველს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთ-ერთი მხარე მოითხოვს აცილებას მათ საფუძველზე. და ბოლოს, მოყვანილია ე.წ. მწვანე სია, რომელიც წარმოადგენს იმ გარემოებების არაამომწურავ

<sup>208</sup> დრეზდენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2001 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე №11 SchH 02/00.

<sup>209</sup> Karl-Heinz Böckstiegel, Stefan Michael Kröll, et al. eds., *Arbitration in Germany: The Model Law in Practice*, 2nd ed. (Wolters Kluwer Law & Business, 2015), გვ. 186.

<sup>210</sup> IBA-ს სახელმძღვანელო ინტერესთა კონფლიქტის შესახებ საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში (International Bar Association, 2014).

ჩამონათვალს, რომელიც უსაფრთხოა და არბიტრს გარემოებების დეკლარირებას კი არ ესაჭიროება (განსხვავებით მწვანე სიისაგან, ყვითელ, ნარინჯისფერ და წითელი სიაში ჩამოთვლილი გარემოებები საჭიროებენ დეკლარირებას არბიტრის მხრიდან). მართალია ეს სახელმძღვანელო მხოლოდ „რბილ“ სამართალს წარმოადგენს, მაგრამ იგი საკმაო პოპულარობით სარგებლობს არბიტრაჟში საერთაშორისო დავების განხილვისას და მას არბიტრები და სასამართლოები ხშირად მიმართავენ.

საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მიერ შემუშავებული ეთიკის კოდექსი<sup>211</sup> (იხ. დანართი 2) ამახვილებს ყურადღებას არბიტრის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე. კოდექსის მე-2 სტანდარტი კანონთან შედარებით უფრო დეტალურად განსაზღვრავს არბიტრის ვალდებულებებს შესაბამისი გარემოებების მხარეთათვის გამჟღავნების, მისი ქცევის წესებისა და გადადგომის მხრივ.

ყველა ზემოთ ხსენებული სტანდარტი და სახელმძღვანელო ცხადყოფს, რომ აცილების საკითხის განხილვა მოითხოვს სასამართლოს მხრიდან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დავის ფაქტობრივი გარემოებების დეტალურ შეფასებას.

**საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილია მაგალითები, სადაც მიიჩნევა, რომ გარემოებები წარმოშობს ობიექტურ ეჭვს არბიტრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში, რაც ქმნის არბიტრის აცილების საფუძველს (ა), ისევე როგორც გარემოებები, რომლებიც არ ჩაითვალა საკმარისად არბიტრის ასაცილებლად (ბ).**

**ა. როდესაც არბიტრის ასაცილებლად გარემოებები საკმარისად იქნა მიჩნეული.**

ქვემოთ მოყვანილია მაგალითები (თუმცა არაამომწურავი) ურთიერთობების იმ კატეგორიებისა, როდესაც მიიჩნევა, რომ არსებობს

<sup>211</sup> საქართველოს არბიტრთა ასოციაციის ეთიკის კოდექსი, ხელმისაწვდომია: <http://www.gaa.ge>. ნანახია 13.11.2017 წ.

ობიექტური ეჭვი არბიტრის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, რაც შესაძლოა გახდეს აცილების საფუძველი:

- ✓ **არბიტრი დაქვემდებარებულ მდგომარეობაშია მხარესთან** (მმართველობითი პოზიციის დაკავება კომპანიაში, რომელიც წარმოადგენს მხარეს<sup>212</sup>);
- ✓ **არსებობს მნიშვნელოვანი ეკონომიკური კავშირი არბიტრსა და მხარეს შორის** (იმ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა, რომელიც მხარის კომპანიათა ჯგუფის წევრია; იმ კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრობა, რომელსაც სესხი აქვს გაცემული მხარისათვის, მიუხედავად იმისა, რომ სესხის გაცემის შემდგომ არბიტრი გადადგა<sup>213</sup>; როდესაც არბიტრი აქირავებს საცხოვრებელ ფართს, რომელსაც ქირაობს ერთ-ერთი მხარე<sup>214</sup>);
- ✓ **განგრძობადი პროფესიული/საქმიანი ურთიერთობა** (საქმიანი კავშირი ცალკე აღებული არ არის საკმარისი არბიტრის აცილებისათვის, ის განგრძობადი უნდა იყოს. მაგალითად, თუ არბიტრის რეგულარული კლიენტია მხარე და არბიტრი რეგულარულად აძლევს რჩევას მხარეს;<sup>215</sup> ასევე, თუ არბიტრი ან არბიტრის ცოლი არის პარტნიორი იმ იურიდიულ ფირმაში, რომლის იურისტიც წარმოადგენს მხარეს;<sup>216</sup> თუ თვითონ არბიტრი არ არის რეგულარული წარმომადგენელი მხარისა, მაგრამ ის იურიდიული ფირმა, რომელსაც არბიტრი მიეკუთვნება უწევს რეგულარულ დახმარებას მხარეს<sup>217</sup>);
- ✓ **არბიტრის მიერ მხარის წარმომადგენლობა** სხვა საქმეში, რომლის განხილვაც მიმდინარეა ან არც ისე დიდი ხნის წინ დამთავრდა;<sup>218</sup>

<sup>212</sup> Philippe Bärtsch and Dorothee Schramm, *Arbitration Law of Switzerland: Practice & Procedure* (Juris Publishing, Inc., 2014), გვ. 38.

<sup>213</sup> BGE ATF 4A 162/2010; განხილულია: Philippe Bärtsch and Dorothee Schramm, *Arbitration Law of Switzerland: Practice & Procedure* (Juris Publishing, Inc., 2014), გვ. 38.

<sup>214</sup> ფრანკფურტის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2008 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება, SchiedsVZ 2008, 199 (200).

<sup>215</sup> Philippe Bärtsch and Dorothee Schramm, *Arbitration Law of Switzerland: Practice & Procedure* (Juris Publishing, Inc., 2014), გვ. 38.

<sup>216</sup> შვეიცარიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს 1966 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Centrozap v Orbis, dr. X.*

<sup>217</sup> ფრანკფურტის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 1998 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება; განხილულია: Karl-Heinz Böckstiegel, Stefan Michael Kröll, et al. eds., *Arbitration in Germany: The Model Law in Practice*, 2nd ed. (Wolters Kluwer Law & Business, 2015), გვ. 186.

<sup>218</sup> შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს 2008 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №BGE ATF 135 I 14.; განხილულია: Philippe Bärtsch and Dorothee Schramm, *Arbitration Law of Switzerland: Practice & Procedure* (Juris Publishing, Inc., 2014), გვ. 38.

- ✓ **ძლიერი ნეგატიური ან პოზიტიური ემოციური კავშირი მხარესთან ან მხარის წარმომადგენელთან:**<sup>219</sup> (მაგალითად, არბიტრის ფიზიკური შეურაცხყოფა ანდა დაზიანება აქვს მიყენებული მხარის წარმომადგენლისათვის<sup>220</sup>);
- ✓ **ახლო ნათესაური ან სხვა კავშირი** (არბიტრი მხარის, ან წარმომადგენლის ახლო ნათესავია (მეუღლე; და-ძმა; დისშვილი და ძმისშვილი; ან ცხოვრობს მასთან, ა.შ.);<sup>221</sup>

## **ბ. როდესაც გარემოებები არ ჩაითვალა საკმარისად არბიტრის ასაცილებლად**

ქვემოთ მოყვანილია არაამომწურავი მაგალითები ურთიერთობების იმ კატეგორიებისა, სადაც მიჩნეულია, რომ არსებული გარემოებები არ არის საკმარისი არბიტრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში საფუძვლიანი ეჭვის შესატანად:

### ✓ **აკადემიური, პროფესიული, სოციალური კავშირები**

გამომდინარე იქიდან, რომ იურისპრუდენცია სპეციალიზაციის, ზოგჯერ კი საკმაოდ ვიწრო სპეციალიზაციის საშუალებას იძლევა, ხშირად იურისტები ერთსა და იმავე აკადემიურ თუ პროფესიულ წრეს მიეკუთვნებიან. ეს კავშირები რომ თავისთავად არბიტრის აცილების საფუძველი გახდეს, ძალზე გართულდებოდა არბიტრების მოძიება და დანიშვნა, განსაკუთრებით ისეთ მცირერიცხოვანი მოსახლეობის (და ისეთი მჭიდრო ურთიერთობების კულტურის მქონე) ქვეყანაში, როგორც საქართველოა.

მიუნხენის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ განიხილა არბიტრის აცილების თაობაზე განცხადება, რომელშიც მხარე ითხოვდა არბიტრის აცილებას (ერთ-ერთი) იმ საფუძველით, რომ არსებობდა მჭიდრო კავშირი არბიტრსა და მხარის წარმომადგენელ იურიდიული კომპანიის იურისტებს შორის.<sup>222</sup> ამ კავშირის დასტურად მხარე მიიჩნევ-

<sup>219</sup> Philippe Bärtsch and Dorothee Schramm, *Arbitration Law of Switzerland: Practice & Procedure* (Juris Publishing, Inc., 2014), გვ. 38.

<sup>220</sup> დუისბურგის რაიონული სასამართლოს 1981 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №ZIP 1982, 229.

<sup>221</sup> იტალიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლები 815 და 51.

<sup>222</sup> მიუნხენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2008 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე №34 SchH 5/07; 34 SchH 8/07; 34 SchH 2/08.

და მათი ერთი და იმავე პროფესიული კავშირის წევრობას (*Deutsche Gesellschaft für Recht und Informatik e.V. (DGRI)* და იმას, რომ ისინი მოხსენებით წარდგებოდნენ ხოლმე ერთსა და იმავე ღონისძიებებზე. სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა არბიტრის აცილების საფუძველი, რადგან პერსონალური, ან ეკონომიკური კავშირი მაშინ ხდება არბიტრის აცილების საფუძველი, თუ ის იმდენად მჭიდროა, რომ არბიტრის ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი გახდება. მოცემულ შემთხვევაში კი ერთი და იმავე პროფესიული ასოციაციის წევრობა არ იწვევდა არბიტრის მიუკერძოებაში ეჭვის შეტანის საფუძველს.<sup>223</sup>

სხვა საქმეში ფრანკფურტის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ „ბუნებრივია იურისტებს, რომლებიც ისეთ სპეციალიზებულ სფეროში მოღვაწეობენ, როგორც არბიტრაჟია, ექნებათ პროფესიული კავშირები, მათ შორის თიანამშრომლებდნენ ერთმანეთთან ისეთ პროფესიულ ორგანიზაციებში, როგორც რომელიმე საარბიტრაჟო ინსტიტუტია; ასეთი პროფესიული კავშირები, როგორც წესი არ ქმნის არბიტრის მიუკერძოებლობასა თუ დამოუკიდებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველს“.<sup>224</sup>

### ✓ მეზობლობა

ოლდენბურგის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ განიხილა საქმე, სადაც მხარე არბიტრის მიუკერძოებლობას ეჭვქვეშ აყენებდა, სხვათა შორის, იმ საფუძველზე დაყდნობით, რომ არბიტრი და მხარე მეზობლები იყვნენ.<sup>225</sup> სასამართლომ ეს არ ჩათვალა საკამარის საფუძველად. სასამართლოს აზრით, ცალკე აღებული მეზობლობა ვერ იქნება აცილების საფუძველი, თუ მას არ მოსდევს ისეთი მჭიდრო კავშირი, ურთიერთობა არბიტრსა და მხარეს შორის, რომელიც ქმნის ეჭვის საფუძველს.

<sup>223</sup> იქვე.

<sup>224</sup> ფრანკფურტის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2007 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №26 Sch 08/07.

<sup>225</sup> ოლდენბურგის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2006 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება, საქმე №9; Karl-Heinz Böckstiegel, Stefan Michael Kröll, et al. eds., *Arbitration in Germany: The Model Law in Practice*, 2nd ed. (Wolters Kluwer Law & Business, 2015), გვ. 191.



### ✓ ნათლული

ერთ-ერთ საქმეში სადავო გახდა არბიტრის დამოუკიდებლობა იმ საფუძველზე, რომ არბიტრის ნათლული დასაქმებული იყო მხარის წარმომადგენლის მიერ. მიუნხენის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ რადგან ნათლულს არ ჰქონდა მნიშვნელოვანი შეხება დავასთან, იგი გავლენას ვერ მოახდენდა არბიტრზე და, შესაბამისად, არ არსებობდა არბიტრის აცილების საფუძველი.<sup>226</sup>

### ✓ მეგობრობა სოციალურ ქსელში

ლიონის სააპელაციო სასამართლომ განიხილა საქმე, სადაც მხარე ითხოვდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას იმ საფუძველით, რომ სხვა გარემოებებს შორის, არბიტრმა არ გამჟღავნა, რომ იგი იყო ერთ-ერთი მხარის წარმომადგენლის „ფეისბუქის“ მეგობარი.<sup>227</sup> მომჩივანი მხარის არგუმენტი იყო ის, რომ მეორე მხარის წარმომადგენელი იყო არბიტრის ფეისბუქ-მეგობარი და ასევე ის, რომ მან „მოიწონა“ არბიტრის ერთ-ერთი სტატუსი, რომელიც ეხებოდა პარიზის ადვოკატთა ასოციაციის მომავალ არჩევნებს. სასამართლოს მსჯელობაში არ იკვეთება არგუმენტები არბიტრის და წარმომადგენლის ფეისბუქ-მეგობრობასთან დაკავშირებით; არბიტრის ფეისბუქ სტატუსის „მოწონებასთან“ დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს არარელევანტური ფაქტი იყო, ვინაიდან „მოწონებას“ ადგილი ჰქონდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ. ჭამში, სასამართლომ არ მიიჩნია ფეისბუქ „მეგობრობის“ და „მოწონების“ ფაქტის გაუმჟღავნებლობა საკმარის საფუძველად, რომ ეჭვქვეშ დამდგარიყო არბიტრის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა და ამ საფუძველით გაუქმებულიყო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია, რომ ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის (IBA) სახელმძღვანელო წესები ინტერესთა კონფლიქტზე საერთაშორისო კოერციულ არბიტრაჟოში განათავსებენ არბიტრსა და მხარის წარმომადგენელს შორის სოციალურ ქსელში არსებულ ურთიერთობას მწვანე სიაში – ე.ი. სიაში, რომელშიც მითითებულია გარემოებები, რომლებიც არ საჭიროებენ არბიტრის მიერ გამჟღავნებას.<sup>228</sup>

<sup>226</sup> მიუნხენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2006 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №34 SchH 05/06.

<sup>227</sup> ლიონის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება, საქმე *Société Tesco v Société Neoelectra Group*, საქმე №13/00447.

<sup>228</sup> IBA-ს სახელმძღვანელო ინტერესთა კონფლიქტის შესახებ საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟოში, სტანდარტი 4.3.1.



ამდენად, სოციალურ ქსელში მეგობრობის თავად ფაქტი არ უნდა იქნეს მიჩნეული არბიტრის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძვლად, თუ არ არსებობს სხვა, გარემოებები, რომლებიც ამძაფრებენ ამგვარ კავშირს და/ან ეჭვს.

### ✓ არბიტრის პროცედურული გადაწყვეტილება

საარბიტრაჟო პროცესის მიმდინარეობისას არბიტრს ყოველთვის უნევს გადაწყვეტილებების მიღება მხარეთა მიერ წარდგენილი შუამდგომლობების დაკმაყოფილების, მტკიცებულებების დასაშვებობის, მათი შეფასების თაობაზე. შესაბამისად, როდესაც არბიტრი ერთი მხარის შუამდგომლობას აკმაყოფილებს, ხოლო უარს ეუბნება მეორე მხარეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, მხარემ შესაძლოა მიუთითოს არბიტრის მიკერძოებაზე და მოითხოვოს არბიტრის აცილება. თუმცა, არბიტრი, აცილებისათვის მხარემ უნდა დაასაბუთოს, რომ არბიტრის პროცედურული გადაწყვეტილება იმდენად არაგონივრულია, რომ შესაძლებელია მიღებული ყოფილიყო მხოლოდ მიკერძოების გამო.<sup>229</sup>

მიუნხენის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ განიხილა განცხადება არბიტრის აცილების თაობაზე, სადაც მხარე აცილების ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითებდა არბიტრის მიერ ექსპერტ-მონშის აცილების შესახებ მხარის შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობას.<sup>230</sup> ამასთანავე, მხარე უთითებდა არბიტრისა და მეორე მხარის ერთი ასოციაციის წევრობაზე და სხვა აკადემიურ კავშირებზე. სასამართლომ შეაფასა აცილების საფუძველი და დაადგინა, რომ მხარის მიერ დაყენებული იყო აცილების ობიექტური საფუძველი; ე.ი. იგი დაკმაყოფილებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც არბიტრის პროცედურულ მოქმედებას არ ექნებოდა სათანადო სამართლებრივი საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში კი, მხარე მიუთითებდა არბიტრის ქმედებაზე, რომელიც წესების მიხედვით არბიტრის უფლებამოსილებაში შედიოდა. აცილების საფუძვლის დასაბუთებლად, მხარეს უნდა წარმოეჩინა, რომ არბიტრის ქმედება იმდენად აცდენილი იყო პროცედურის ნორმალურ სვლას, რომ მხარეს ექმნებოდა ობიექტური წარმოდგენა არბიტრის მიკერძოების შესახებ.<sup>231</sup>

<sup>229</sup> მიუნხენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2013 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №34 SchH 11/13.

<sup>230</sup> მიუნხენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2008 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე №34 SchH 5/07; 34 SchH 8/07; 34 SchH 2/08.

<sup>231</sup> იქვე.

სასამართლოს მიხედვით, არც არბიტრის გადაწყვეტილება აცილების შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის შესახებ და არც არბიტრისა და მხარის ერთი ასოციაციის წევრობა, ცალკე აღებული და ერთადაც, არ ქმნიდა აცილების საფუძველს.<sup>232</sup>

### ✓ არბიტრის ეკონომიკური და საქმიანი კავშირები მხარესთან ან მის წარმომადგენელთან

ხშირად მხარე სადავოდ ხდის არბიტრის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას არბიტრსა და მხარეს შორის არსებული ეკონომიკური თუ საქმიანი კავშირების არსებობის საფუძველზე. სავსებით შესაძლებელია, რომ არბიტრს, როგორც იურისტს (ეფსპერტს) მიენოდებინოს სამართლებრივი დასკვნა ან იურიდიული მომსახურება მხარისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის სხვა საქმეზე. თუმცა, აღნიშნული, ცალკე აღებული, შესაძლოა არც გახდეს არბიტრის აცილების საფუძველი;<sup>233</sup> თუ კავშირი არ არის იმდენად მჭიდრო, განგრძობადი და მნიშვნელოვანი, რომ წარმოშვას არბიტრის მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის მიმართ ეჭვები.<sup>234</sup> ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები (მხარეები, მომსახურების ტიპი, ოდენობა, ღირებულება ა.შ.) და ისე მიიღოს გადაწყვეტილება.

ფრანკფურტის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ განიხილა საქმე, სადაც არბიტრსა და მხარეს შორის რამდენიმე სახის კავშირი არსებობდა, მათ შორის საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარე პარალელურად იყო ერთ-ერთი უნივერსიტეტის ინსტიტუტის დირექტორი, ხოლო ამ ინსტიტუტს ფინანსურ მხარდაჭერას უწევდა მოპასუხე მხარის წარმომადგენლის იურიდიული კომპანია.<sup>235</sup> სასამართლომ ჩათვალა, რომ მხარის წარმომადგენლის მიერ განეული დახმარება იმდენად მცირე იყო,<sup>236</sup> რომ არ წარმოშობდა ეკონომიკურ დამოკიდებულებას არბიტრსა და წარმომადგენელს შორის.

<sup>232</sup> იქვე.

<sup>233</sup> ნაუმბურგის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2005 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №9 SchH 01/05.

<sup>234</sup> Philippe Bärtsch and Dorothee Schramm, *Arbitration Law of Switzerland: Practice & Procedure* (Juris Publishing, Inc., 2014), გვ. 39-40.

<sup>235</sup> ფრანკფურტის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2007 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №26 Sch 08/07.

<sup>236</sup> საქმესთან დაკავშირებულ საჯაროდ ხელმისაწვდომ დოკუმენტებში არ არის მითითებული ოდენობა.

# როდესაც მხარე ითხოვს არბიტრის აცილებას (მე-12-13 მუხლები) [გვ. 84-104]

## 1 სად არის საარბიტრაჟო განხილვის ადგილი? [გვ. 88-89]

არის საქართველოში/სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე **(განსჯადია)**

არ არის დადგენილი და არ არის საქართველოში **(არ არის განსჯადი)**

## 2 შეთანხმებულები არიან, თუ არა მხარეები არბიტრის აცილების ურთქედურაზე? [გვ. 89-92]

**დიახ**  
შეთანხმება (საარბიტრაჟო წესები ან მხარეთა შეთანხმება) ითვალისწინებს აცილების ურთქედურას

**არა**  
შეთანხმება არ ითვალისწინებს აცილების ურთქედურას; ან ურთქედურა ვერ ხორციელდება.

## 3 როდის მიმართა მხარემ სასამართლოს? [გვ. 92-94]

მხარემ სასამართლოს მიმართა გადაწყვეტილებას ჩაბარებიდან 30 დღეში იხილავს განხილვებას (უარი განხილვებზე)

## 4 რამდენი არბიტრი განხილვას დავას? [გვ. 90-94]

დავას განხილვას ერთი არბიტრი

დავას განხილვას სამი არბიტრი

## როდის მიმართა მხარემ სასამართლოს?

მხარემ სასამართლოს მიმართა გადაწყვეტილებას ჩაბარებიდან 30 დღეში (სასამართლო იხილავს განხილვებას)

მხარემ სასამართლოს არ მიმართა გადაწყვეტილებას (სასამართლო იხილავს განხილვებას)

მხარემ სასამართლოს არ მიმართა გადაწყვეტილებას (უარი განხილვებზე)

## 5 არსებობს თუ არა არბიტრის აცილების საფუძვლები? [გვ. 94-104]

- არ არსებობს გარემოებები, რომლებიც ქმნის არბიტრის **მიუკვერძელობაში** ეჭვის შეტანის საფუძველს;
  - არ არსებობს გარემოებები, რომლებიც ქმნის არბიტრის **დამუკიდებლობაში** ეჭვის შეტანის საფუძველს;
  - არბიტრი აკმაყოფილებს მხარეთა შეთანხმებულ **კვალიფიკაციას**
- უარი განხილვების დაკმაყოფილებებზე

- არსებობს გარემოებები, რომლებიც ქმნის არბიტრის **მიუკვერძელობაში** ეჭვის შეტანის საფუძველს?
  - არსებობს გარემოებები, რომლებიც ქმნის არბიტრის **დამუკიდებლობაში** ეჭვის შეტანის საფუძველს?
  - არბიტრი არ აკმაყოფილებს მხარეთა მიერ შეთანხმებულ **კვალიფიკაციის მოთხოვნებს**
- განხილვება კმაყოფილებება

# IV ანბითნის უფლებამოსილების შეწყვეტა

(კანონის მკ-14 მუხლი)



4. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტა (კანონის მე-14 მუხლი)	107
4.1. არბიტრის მანდატი და უფლებამოსილების არსი	108
4.2. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტა მხარეთა შეთანხმებით	110
4.3. უფლებამოსილების შეწყვეტა არბიტრის მოთხოვნის საფუძველზე	110
4.4. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტა საარბიტრაჟო დაწესებულების გადანაცვტილებით	111
4.5. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტა ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე	112
4.5.1. სად არის საარბიტრაჟო განხილვის ადგილი?	113
4.5.2. მიმართა თუ არა მხარემ სასამართლოს არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ მოთხოვნის დაყენებიდან 30 დღის ვადაში?	113
4.5.3. არსებობს, თუ არა არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი?	115
4.5.4. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები	117
სქემა - კანონის მე-14 მუხლი	127

## 4.1. არბიტრის მანდატი და უფლებამოსილების არსი

არბიტრის ურთიერთობა მხარესთან ორგვარი ბუნებისაა: ერთი მხრივ, არბიტრსა და მხარეს შორის, როგორც წესი, არსებობს „სახელმწიფოებრივი“ ურთიერთობა, რომლითაც არბიტრი კისრულობს გარკვეული მომსახურების განევას მხარისათვის, ხოლო მხარე ვალდებულია არბიტრს გადაუხადოს შესაბამისი ანაზღაურება. თუმცა, გასათვალისწინებელია არბიტრის მიერ გასაწევი მომსახურების თავისებურება, რაც თავისი არსით „მართლმსაჯულების განხორციელების“ მანდატს მოიცავს. ეს მანდატი არბიტრს ანიჭებს გარკვეულ უფლებებს და აკისრებს მოვალეობებს,<sup>237</sup> რაც შესაძლოა გამომდინარეობდეს არა მხოლოდ მხარეთა შეთანხმებიდან (რომელი შეთანხმების ნაწილი ხდება საარბიტრაჟო წარმოების წესებიც თუკი მხარეები შეთანხმდნენ ასეთ წესებზე), არამედ კანონიდანაც.

როდესაც არბიტრაჟს ადმინისტრირებას უწევს რომელიმე საარბიტრაჟო დანესებულება (ადგილი აქვს ინსტიტუციურ არბიტრაჟს და არა *ad hoc*-ს), უმეტესწილად არბიტრთან ხელშეკრულებას აფორმებს ეს დანესებულება, ხოლო მხარე სახელმწიფოებრივი ურთიერთობაში შედის თავად დანესებულებასთან. ურთიერთობების ეს სამკუთხედი ხშირად გავლენას ახდენს პროცედურაზე, რომლითაც შეიძლება მოხდეს არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტა.

### არბიტრს უფლებამოსილება შეიძლება შეუწყდეს:

- ✓ ორივე მხარის შეთანხმებით;
- ✓ არბიტრის ინიციატივით;
- ✓ საარბიტრაჟო დანესებულების გადაწყვეტილებით;
- ✓ ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით.

როდესაც ვსაუბრობთ არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტაზე არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, არ მოვიაზრებთ არბიტრის აცილებას (კანონის მე-13 მუხლი), როგორც მისი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველს, რადგან ეს ორი ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც მათი გამოყენების საფუძველების, ისე პროცედურის მხრივ.

<sup>237</sup> Julian D. M. Lew, Loukas A. Mistelis, et al., *Comparative International Commercial Arbitration* (Kluwer Law International, 2003), გვ. 276.

მე-14 მუხლი მოიაზრებს არბიტრაჟის უფლებამოსილების შეწყვეტას განსხვავებული საფუძვლით, ვიდრე ეს კვალიფიკაციის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გამო აცილებაა, რაც მე-12-13 მუხლებით არის გათვალისწინებული.<sup>238</sup> შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მხარე ითხოვს არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტას მე-14 მუხლზე მითითებით, თუმცა არბიტრის აცილების საფუძვლებს ეყდნობა, სასამართლომ უარი უნდა უთხრას მხარეს განცხადების დაკმაყოფილებაზე, რადგან კანონი ამ ორ საფუძველს განსხვავებულ სამართლებრივ პროცედურას უკავშირებს. კერძოდ, უფლებამოსილების შეწყვეტა ძირითადად ხორციელდება მონაწილე მხარეების (მხარეები, არბიტრი) ჩართულობით, „შიდა“ შეთანხმებით. არბიტრაჟის შესახებ კანონი ითვალისწინებს, რომ არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე ერთი მხარე უყენებს მეორე მხარეს მოთხოვნას, რათა მათ მიაღწიონ შეთანხმებას და მხოლოდ შეთანხმების მიუღწევლობისას მიმართავს მხარე სასამართლოს.<sup>239</sup> ამისგან განსხვავებით, არბიტრის აცილების საკითხს ძირითადად წყვეტს თვითონ საარბიტრაჟო ტრიბუნალი, და არა მხარეები ურთიერთშეთანხმებით.<sup>240</sup> განსხვავებას ამ ორ პროცედურას შორის ხაზი გაესვა ბომბეის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში,<sup>241</sup> სადაც მხარეს უარი ეთქვა არბიტრის მანდატის შეწყვეტის მოთხოვნაზე მე-14 მუხლის საფუძველზე მაშინ, როდესაც მხარე შეწყვეტის საფუძვლად არბიტრის შესაძლო მიკერძოებას (აცილების საფუძველს მე-13 მუხლის თანახმად) აყენებდა. სასამართლომ აღნიშნა: „[...] კანონმდებლობის მიზნიდან გამომდინარე, რაც არის სასამართლოს ჩარევის შეზღუდვა, შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ამ სასამართლოს შეუძლია საქმეში, რომელიც განხილულ იქნა 13(3) მუხლის შესაბამისად, მიიღოს საჩივარი მე-14 მუხლის საფუძველზე. [...] როდესაც გათვალისწინებულია კონ-

<sup>238</sup> დელის უმაღლესი სასამართლოს 2007 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე *Ahluwalia Contracts Ltd. v Housing and Urban Development*.

<sup>239</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 14.2.

<sup>240</sup> Karl-Heinz Böckstiegel, Stefan Michael Kröll, et al. eds., *Arbitration in Germany: The Model Law in Practice*, 2nd ed. (Wolters Kluwer Law & Business, 2015), გვ. 203-208.

<sup>241</sup> ბომბეის უმაღლესი სასამართლოს 2000 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Mr. Hasmukhlal H. Doshi & Another v Mr. Justice M.L. Pendse & Others*, BOMLR 684.

კრეტული აცილება და ამ აცილების განმხილველი ფორუმი, ამ სასამართლოს უფლებამოსილება არ იქნება, განიხილოს არბიტრის მანდატის შეწყვეტა მე-14 მუხლის საფუძველზე.”<sup>242</sup>

## 4.2. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტა მხარეთა შეთანხმებით

საარბიტრაჟო პროცესის მსვლელობისას მხარეები შესაძლოა მივიდნენ დასკვნამდე, რომ არბიტრი ვერ ან არ ახორციელებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს მხარეების მოლოდინის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან სასამართლოს გარეშე, ერთობლივი შეთანხმებით, შეწყვიტონ არბიტრის უფლებამოსილება. კანონის თანახმად, უფლებამოსილების შეწყვეტა უნდა მოხდეს არბიტრის მიერ „მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის ან სხვა რაიმე მიზეზით უმოქმედობის შემთხვევაში.“<sup>243</sup> თუმცა, ამგვარი მიზეზების არარსებობის შემთხვევაშიც კი, იქიდან გამომდინარე, რომ არბიტრის უფლებამოსილება მხარეთა ნებას ეფუძნება, ვერაფერი აღუდგება წინ არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტას, თუ ამის თაობაზე შეთანხმდება ყველა მოდავე მხარე. ერთადერთი, ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს სამართლებრივი დავის საკითხი მხარესა და არბიტრს შორის. ეს საკითხი სცილდება წინამდებარე სახელმძღვანელოს სფეროს და ექვემდებარება ჩვეულებრივ, სამოქალაქო წარმოების წესებითა და სამოქალაქო კანონმდებლობით განხილვას.

## 4.3. უფლებამოსილების შეწყვეტა არბიტრის მოთხოვნის საფუძველზე

არბიტრის უფლებამოსილება შესაძლებელია შეწყდეს არამართო მხარეთა შეთანხმებით, არამედ არბიტრის ინიციატივით. არბიტრმა შესაძლოა უარი თქვას არბიტრობაზე საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა, სხვა მიზეზით მოვალეობის შესრულების შეუძლებლობა), ან მის გარეშე. მხარესთან ან საარბიტრაჟო დანესებულებასთან არსებული

<sup>242</sup> ბომბეის უმაღლესი სასამართლოს 200 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Mr. Hasmukhlal H. Doshi & Another vs Mr. Justice M.L. Pendse & Others*, BOMLR 684.

<sup>243</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 14.2.



ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, შესაძლოა დადგეს არბიტრის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.<sup>244</sup>

არბიტრის მანდატის ორმხრივი ბუნებიდან გამომდინარე (სახელშეკრულებო და მართლმსაჯულებითი ფუნქცია), მიჩნეულია რომ არბიტრის მიერ უფლებამოსილების დარღვევისას ან უმიზეზოდ შეწყვეტისას, მხოლოდ შეზღუდული საფუძვლების არსებობისას (მაგალითად, განზრახვის, ან უხეში გაუფრთხილებლობის არსებობისას) შეიძლება დადგეს არბიტრის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. მაგალითად, ინგლისის არბიტრაჟის შესახებ აქტი პირდაპირ ადგენს, რომ არბიტრი მხოლოდ მაშინაა პასუხისმგებელი მიყენებულ ზიანზე, თუ ნაჩვენები იქნება, რომ მან არაკეთილსინდისიერად (განზრახ) უმოქმედობით ან მოქმედებით ჩაიდინა დარღვევა.<sup>245</sup> არბიტრების ამგვარი საკანონმდებლო „იმუნიტეტი“ ნაკლებ გავრცელებულია კონტინენტური სამართლის ქვეყნებში. ნაცვლად კანონისა, პასუხისმგებლობის შეზღუდვა ხდება უმეტეს შემთხვევაში საარბიტრაჟო დაწესებულებების წესებში და/ან არბიტრსა და მხარეს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

#### 4.4. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტა საარბიტრაჟო დაწესებულების გადანაცვლებით

როდესაც დავის განხილვა ხდება რომელიმე (ინსტიტუტის) საარბიტრაჟო წესების მიხედვით, მხარეები შეზღუდული არიან ამგვარი წესებით დადგენილი არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის პროცედურითა და საფუძვლებით. როგორც წესი, საარბიტრაჟო ინსტიტუტების წესები ითვალისწინებს დეტალურ პროცედურას, რომლის მიხედვითაც არბიტრს შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება, როგორც სამართლებრივი ან ფაქტობრივი ხელისშემშლელი საფუძვლების არსებობისას, ისე არბიტრის უმექმედობისას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს დავის ეფექტიანად დამთავრება. მაგალითად, დავის განმხილ-

<sup>244</sup> Karl-Heinz Böckstiegel, Stefan Michael Kröll, et al. eds., *Arbitration in Germany: The Model Law in Practice*, 2nd ed. (Wolters Kluwer Law & Business, 2015), გვ. 207.

<sup>245</sup> ინგლისის აქტი არბიტრაჟის შესახებ, მუხლი 29.

ველი ცენტრის საარბიტრაჟო წესების 18.1. მუხლის მიხედვით, „დ) DRC-ის სასამართლო თავისი ინიციატივით, ან სამდივნოს ან მხარის მოთხოვნის საფუძველზე გადაწყვეტს, რომ არბიტრი ფაქტობრივად ან იურიდიულად შეზღუდულია თავისი ფუნქციების შესრულებაში, ან არბიტრი არ ასრულებს თავის ფუნქციებს.“<sup>246</sup> მსგავს დებულებას ითვალისწინებს საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის წესებიც.<sup>247</sup>

შესაბამისად, როდესაც მხარეების შეთანხმების საფუძველზე დავას საარბიტრაჟო დანესებულება მისი წესებით განიხილავს, მხარეებმა უნდა იმოქმედონ მათ მიერ შეთანხმებული წესების შესაბამისად და არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნის წარუმატებლობის შემთხვევაში მხოლოდ ამ წესების მიხედვით შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს იმავე მოთხოვნით.

#### 4.5. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტა ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე

იმ შემთხვევაში, თუ არც არბიტრი წყვეტს უფლებამოსილებას და ვერც მხარეები თანხმდებიან არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტაზე, და/ან საარბიტრაჟო ინსტიტუტიც არ წყვეტს არბიტრის უფლებამოსილებას, მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს. სასამართლო, განსჯადობის შემონმების გარდა, ამონმებს არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის კანონით დადგენილი წინაპირობების არსებობას.

**კერძოდ, სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს შემდეგ გარემოებებზე:**

<sup>246</sup> დავის განმხილველი ცენტრის წესები, მუხლი 18.

<sup>247</sup> საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესები, მუხლი 18.1.

1. სად არის საარბიტრაჟო განხილვის ადგილი?
2. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ მხარეთა შეუთანხმებლობიდან სასამართლოს მიმართვამდე დაცულია თუ არა 30 დღიანი ვადა?
3. არსებობს, თუ არა არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი?

#### 4.5.1. სად არის საარბიტრაჟო განხილვის ადგილი?

არბიტრაჟის შესახებ კანონიდან, ისევე, როგორც მოდელური კანონიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო კომპეტენტურია შეუწყვიტოს არბიტრს უფლებამოსილება იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო განხილვის ადგილი საქართველოა.<sup>248</sup> ხოლო კონკრეტული საქალაქო (რაიონული) სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მის სამოქმედო ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, მიმდინარეობს ან უნდა გაიმართოს საარბიტრაჟო განხილვა. შესაბამისი სასამართლო განსჯალობას საპროცესო კოდექსის ზოგადი ნორმების მეშვეობით ადგენს (იხ. თავი 2.1).

#### 4.5.2. მიმართა თუ არა მხარემ სასამართლოს არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ მოთხოვნის დაყენებიდან 30 დღის ვადაში?

არბიტრაჟის შესახებ კანონი ორიენტირებულია მხარეთა შორის კონსენსუსის მიღწევაზე. კანონის მიხედვით, ერთმა მხარემ მეორეს უნდა წაუყენოს მოთხოვნა არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ და მხოლოდ შეთანხმების მიუღწევლობის შემდეგ შეუძლია მხრეს, მიმართოს სასამართლოს.<sup>249</sup> სასამართლოსადმი მიმართვა, კანონის

<sup>248</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2.1.ა); UNCITRAL 2012 Digest, გვ. 71: „While the travaux préparatoires show that it had been considered to render article 14 applicable before the place of arbitration had been determined, the prevailing view was that the Model Law should not deal with court intervention relating to the arbitral tribunal prior to the determination of the place of arbitration.“

<sup>249</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 14.2.

თანახმად, უნდა მოხდეს 30 დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც მან დააყენა მოთხოვნა არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

კანონის ეს მუხლი, ისევე როგორც მთლიანად არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი კანონი მორგებულია *ad hoc* არბიტრაჟზე, როდესაც არ არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო ინსტიტუტი, რომელიც ზედამხედველობს საარბიტრაჟო პროცესის მიმდინარეობას. როდესაც საარბიტრაჟო პროცესი წარიმართება რომელიმე საარბიტრაჟო დაწესებულების წესების შესაბამისად, ამგვარი წესები, ჩვეულებრივ, ითვალისწინებენ დებულებებს არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის თუ შეცვლის პროცედურის შესახებ.<sup>250</sup> ამ პროცესში, უმეტეს შემთხვევაში, ერთვება შესაბამისი საარბიტრაჟო დაწესებულების რომელიმე ორგანო (საბჭო, სასამართლო, კანცელარია/ადმინისტრაცია, ა.შ.), რომელიც იღებს გადაწყვეტილებას არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. აღსანიშნავია, რომ მოდელური კანონის მოსამზადებელი მასალები და კომენტარები ამ მუხლზე (რომელსაც სრულად შეესაბამება საქართველოს კანონის მე-14 მუხლი), ცხადყოფენ, რომ „დებულება არ ისახავდა მიზნად წაერთმია მხარეებისათვის შესაძლებლობა სხვაგვარად მოენსრიგებინათ არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები ან მესამე პირისა ან დაწესებულებისათვის მიენიჭებინათ უფლებამოსილების შეწყვეტაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება.“<sup>251</sup> შესაბამისად, ინსტიტუციონალური არბიტრაჟის შემთხვევაში, მხარეებმა, პირველ რიგში, უნდა იხელმძღვანელონ მათ მიერ შეთანხმებული საარბიტრაჟო წესებით და არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის მიზნით გამოიყენონ საარბიტრაჟო დაწესებულების შიდა მექანიზმები, თუკი ასეთი არსებობს. ხოლო თუ არბიტრს არ შეუწყდა უფლებამოსილება შიდა (საარბიტრაჟო ინსტიტუტის) მექანიზმების გამოყენებით, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ მე-14 მუხლი მხარეებს იმპერატიულად ანიჭებს უფლებას არბიტრის

<sup>250</sup> მაგ.: საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის წესები, მუხლი 18.

<sup>251</sup> გენერალური ასამბლეის მე-40 სესიის ოფიციალური ოქმი, დამატება No. 17 (A/40/17), § 136.

უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნით მიმართონ სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში დგება საკითხი, თუ როდიდან უნდა აითვალოს სასამართლოსადმი მიმართვის 30-დღიანი ვადა. კანონი განსხვავებულ რეჟიმს ინსტიტუციური არბიტრაჟისათვის არ ადგენს. კანონის ტექსტის მიხედვით 30-დღიანი ვადა უნდა აითვალოს მოთხოვნის დაყენებიდან, რაც შეიძლება განიმარტოს, რომ ამ ვადაში უნდა შევიდეს საარბიტრაჟო დანესებულების შიგნით საკითხის განხილვისათვის დადგენილი პროცესუალური ვადები. ასეთ შემთხვევაში, მხარე ყურადღებით უნდა იყოს, რომ ამ საკითხზე საარბიტრაჟო დანესებულების გადანყვეტილების მოლოდინის პროცესში არ გაუშვას სასამართლოსათვის მიმართვის ვადა. თუმცა, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს იმგვარი განმარტებაც, რომ 30-დღიანი ვადა აითვალოს არბიტრაჟის მიერ შეწყვეტის შესახებ გადანყვეტილების მხარისათვის ჩაბარებიდან.

აღსანიშნავია, რომ ვადის დანესებით საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ ემიჯნება მოდელურ კანონს, ისევე როგორც ქვეყანათა უმეტესობის კანონმდებლობებს, რომლებიც არ ზღუდავენ ამ უფლებას რაიმე ვადით.

### 4.5.3. არსებობს, თუ არა არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი?

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, არბიტრს უფლებამოსილება შეიძლება შეუნყდეს „მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის ან სხვა რაიმე მიზეზით უმოქმედობის შემთხვევაში.“<sup>252</sup> მოხსენიებული შეწყვეტის საფუძველები შესაძლებელია დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

- ✓ სამართლებრივი საფუძველით არბიტრობის შეუძლებლობა;
- ✓ ფაქტობრივი შეუძლებლობა;
- ✓ უმოქმედობა.

<sup>252</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 14.2.

### ა. *de jure* (სამართლებრივი) შეუძლებლობა

სამართლებრივ შეუძლებლობაში მოიაზრება ისეთი გარემოება, რომელიც არბიტრს უკრძალავს არბიტრობას. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ასეთ გარემოებებს მიეკუთვნება:

- ✓ ქმედუწარობა;<sup>253</sup> ე.ი თუ არბიტრი გახდა შეზღუდულქმედუნარიანი ან მხარდაჭერის მიმღები;
- ✓ ნასამართლობა;<sup>254</sup>
- ✓ არბიტრი გახდა სახელმწიფო მოსამსახურე, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, პოლიტიკური თანამდებობის პირი ან საჯარო მოსამსახურე;<sup>255</sup>
- ✓ არბიტრი გახდა კერძო აღმასრულებელი.<sup>256</sup>

### ბ. *de facto* (ფაქტობრივი) შეუძლებლობა

ფაქტობრივ შეუძლებლობაში იგულისხმება ისეთი გარემოებების დადგომა, რომელიც არბიტრს, ფაქტობრივად, არ აძლევს შესაძლებლობას, შეასრულოს არბიტრის უფლებამოსილება. საერთაშორისო პრაქტიკაში, შემდეგ შემთხვევებში იყო მიჩნეული, რომ არბიტრს, ფაქტობრივად, აღარ შეეძლო შეესრულებინა არბიტრის უფლებამოსილება, რის შემდეგაც მას უფლებამოსილება შეუწყდა:

- ✓ მძიმე ავადმყოფობა;<sup>257</sup>
- ✓ არბიტრის დაკავება და პატიმრობის შეფარდება უცხო ქვეყანაში;<sup>258</sup>
- ✓ გარდაცვალება;<sup>259</sup>
- ✓ არბიტრის დიდი ხნით უცხოეთში გამგზავრება.<sup>260</sup>

<sup>253</sup> გერმანიის ფედერალური სასამართლოს 1986 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება, საქმე Nell ZR 150/85.

<sup>254</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 11.7.გ).

<sup>255</sup> იქვე, მუხლი 11.7.ბ).

<sup>256</sup> სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 149.2.

<sup>257</sup> Karl-Heinz Böckstiegel, Stefan Michael Kröll, et al. eds., *Arbitration in Germany: The Model Law in Practice*, 2nd ed. (Wolters Kluwer Law & Business, 2015), გვ. 206.

<sup>258</sup> სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2006 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Noble Resources Pte. Ltd. v China Sea Grains and Oils Industry Co. Ltd.*, HKCFI 334.

<sup>259</sup> Karl-Heinz Böckstiegel, Stefan Michael Kröll, et al. eds., *Arbitration in Germany: The Model Law in Practice*, 2nd ed. (Wolters Kluwer Law & Business, 2015), გვ. 206.

<sup>260</sup> იქვე.

## გ. არბიტრის უმოქმედობა

შესაძლოა არბიტრმა უფლებამოსილების შესრულება შეაფერხოს, თუმცა, იმისათვის რომ არბიტრის უფლებამოსილება შეწყდეს მისი უმოქმედობის საფუძვლით, აუცილებელია არბიტრი განგრძობადად, ან განმეორებით არ ასრულებდეს მის მოვალეობებს. მაგალითად, თუ არბიტრი განგრძობადად არ ნიშნავს ზეპირი განხილვისათვის სხდომას, ან არ აწვდის თავმჯდომარეს წერილობით მოსაზრებას დადგენილ ვადაში, რაც საფრთხეს უქმნის დავის გადაწყვეტას (სა-არბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანას) საარბიტრაჟო წესებით გათვალისწინებულ ვადაში. გერმანიის სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს, რომ სასამართლოები ამ საფუძვლით არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში მიმართავენ. მოდელური კანონის მიღებისას, მიჩნეული იყო, რომ სასამართლოებმა არბიტრის მიერ უმოქმედობის შეფასებისას, უნდა შეაფასონ შემდეგი ფაქტორები:<sup>261</sup>

- ✓ მხარეთა მოლოდინები (მაგალითად, მხარეთა მიერ შეთანხმებული საარბიტრაჟო წესებით დადგენილი პროცედურა, ვადა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოსატანად);
- ✓ არბიტრის უმოქმედობის ვადა;
- ✓ არბიტრის უმოქმედობის განგრძობადობა და ხასიათი;
- ✓ უმოქმედობის საფუძვლიანობა;
- ✓ საქმის კომპლექსურობა და სირთულე.

### 4.5.4. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები

არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტისას, ინიშნება შემცვლელი არბიტრი.<sup>262</sup> შემცვლელი არბიტრი ინიშნება იმავე წესებით, რაც გამოყენებულ იქნა წინა არბიტრის დანიშვნისას. შესაბამისად, იმ

<sup>261</sup> UNCITRAL 2012 Digest, გვ. 71, §7.

<sup>262</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 15.

შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ არბიტრის დანიშვნის პროცედურაზე, შემცვლელი არბიტრი ინიშნება ამ პროცედურის შესაბამისად. თუ ერთ-ერთი მხარის მიერ დანიშნულ არბიტრს შეუწყდა უფლებამოსილება, იგივე მხარე თავიდან ნიშნავს არბიტრს. ხოლო, თუ მხარეები არ არიან შეთანხმებული არბიტრის დანიშვნის პროცედურაზე, ან ასეთი პროცედურა არ სრულდება, გამოიყენება არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული პროცედურა სასამართლოს მეშვეობით არბიტრის დანიშვნის თაობაზე.



**როდესაც მხარე ითხოვს არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტას (მე-14 მუხლი) [გვ. 108-118]**

**1 სად არის საარბიტრაჟო განხილვის ადგილი? [გვ. 113]**

არის საქართველოში/სასამართლოს  
სამოქმედო ტერიტორიაზე **(განსჯადია)**

არ არის დადგენილი და არ არის  
საქართველოში **(არ არის განსჯადი)**

**2 არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ მხარეთა  
შეთანხმებლობიდან სასამართლოსათვის მიმართვამდე დაცულია  
თუ არა 30 დღიანი ვადა? [გვ. 113-115]**

**არა**  
(უარი განხილვაზე)

**დიახ**  
(სასამართლო იხილავს განცხადებას)

**3 არსებობს, თუ არა არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის  
საფუძველი? [გვ. 115-118]**

**დიახ**  
არსებობს უფლებამოსილების  
შეწყვეტის სამართლებრივი,  
ფაქტობრივი საფუძველები, ან ადგილი  
აქვს არბიტრის უმოქმედობას

**არა**  
არ არსებობს უფლებამოსილების შეწყვეტის  
სამართლებრივი, ფაქტობრივი საფუძველები,  
და არ აქვს ადგილი არბიტრის უმოქმედობას

**სასამართლო უწყვეტს არბიტრს  
უფლებამოსილებას**

**სასამართლო არ უწყვეტს არბიტრს  
უფლებამოსილებას**

V სანამართლო დანაშაუბი  
მტკიცებულებების მოპოვებაში  
(კანონის 35-ე მუხლი)



5.	სასამართლოს დახმარება მტკიცებულებების მოპოვებაში (კანონის 35-ე მუხლი)	121
5.1.	ვის შეუძლია მიმართოს სასამართლოს მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარებისათვის?	123
5.2.	რა ფორმით უნდა წარუდგინოს მხარემ სასამართლოს არბიტრაჟის თანხმობა მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების შესახებ?	124
5.3.	სად არის საარბიტრაჟო განხილვის ადილი?	125
5.3.1.	საარბიტრაჟო განხილვის ადგილი საქართველოა	125
5.3.2.	საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არ არის საქართველო	126
5.4.	რა ეტაპზე წარედგინება სასამართლოს მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების შესახებ მოთხოვნა?	127
5.5.	მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარება სასამართლოს დისკრეციაა თუ ვალდებულება?	128
5.6.	სასამართლოს მიერ მოწმის დასწრების უზრუნველყოფა	130
5.7.	სად უნდა გამოცხადდეს სასამართლოს მიერ დაბარებული მოწმე, სასამართლოში თუ არბიტრაჟში?	131
5.8.	მოწმის დასწრების უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს დახმარების ეფექტი	132
	სქემა - კანონის 35-ე მუხლი	133

ვინაიდან არბიტრაჟის იურისდიქციას მხარეთა შეთანხმება წარმოშობს, არბიტრს შეუძლია რაიმე მოქმედების განხორციელება დაავალოს მხოლოდ ამ იურისდიქციის მიმნიჭებელ პირებს, ანუ მხარეებს და არა მესამე პირებს.<sup>263</sup> მხარეთათვის მოქმედების დავალების შემთხვევაშიც კი, არბიტრის გადაწყვეტილება არ არის იმგვარადვე თვითაღსრულებადი, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებაა.<sup>264</sup> იმისათვის, რომ არბიტრს ჰქონდეს შესაძლებლობა, გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები და ისე მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება, ქვეყანათა უმეტესობის კანონმდებლობა, მათ შორის არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, ითვალისწინებს სასამართლოს დახმარებას მტკიცებულებათა მოპოვებაში.<sup>265</sup>

მტკიცებულებათა მოპოვებაში არბიტრაჟის დახმარებამდე, სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად არის ამგვარი დახმარების შესახებ განცხადების განხილვა მისი განსჯადი და თუ არის, არსებობს თუ არა განცხადების დაკმაყოფილების წინაპირობები.

განცხადების განხილვისას სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს შემდეგ საკითხებზე:

1. ვინ არის განცხადების ავტორი?
2. სად არის საარბიტრაჟო განხილვის ადგილი?
3. მხარის მიმართვის შემთხვევაში, მოპოვებულია თუ არა არბიტრაჟის თანხმობა მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების თაობაზე სასამართლოსადმი მიმართვაზე?
4. რა ეტაპზე წარედგინა სასამართლოს მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების შესახებ მოთხოვნა?
5. დასაშვებია თუ არა მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების შესახებ განცხადება სასამართლოს საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად?

<sup>263</sup> UNCITRAL 2012 Digest, გვ. 118.  
<sup>264</sup> ალბერტას სააპლესიო სასამართლოს 2006 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *Jardine Lloyd Thompson Canada Inc. v SJO Catlin*.  
<sup>265</sup> UNCITRAL 2012 Digest, გვ. 118; არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 35.3.

## 5.1. ვის შეუძლია მიმართოს სასამართლოს მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარებისათვის?

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის მიმართვა მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების თაობაზე შეუძლია არბიტრაჟს ან მხარეს არბიტრაჟის თანხმობით.<sup>266</sup> შესაბამისად, თუ მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარება ესაჭიროება საარბიტრაჟო წარმოების მხარეს, მან უნდა მოიპოვოს არბიტრაჟის თანხმობა. თუმცა, განსხვავებულად ანერსივებს ამ საკითხს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი: „არბიტრაჟის მიერ თავისი ინიციატივით ან მხარის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოსთვის მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების მიზნით მიმართვის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის XIV თავით დადგენილი წესები.“<sup>267</sup> კოდექსის აღნიშნული ჩანაწერი შესაძლოა იმგვარად განიმარტოს, რომ მხარემ ჯერ უნდა მიმართოს არბიტრაჟს; არბიტრაჟის თანხმობის შემთხვევაში, ისევ თავად არბიტრაჟი არის უფლებამოსილი მიმართოს სასამართლოს მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარებისთვის. საპროცესო კოდექსის ეს შეუსაბამობა არბიტრაჟის შესახებ კანონთან შესაძლოა უმნიშვნელო იყოს შედეგის თვალსაზრისით, თუმცა პროცესუალური სიზუსტისთვის, ამ ხარვეზის საკანონმდებლო წესით აღმოფხვრამდე, სასურველია, რომ საპროცესო კოდექსი განიმარტოს ფართოდ. კერძოდ, რეკომენდებულია, საპროცესო კოდექსი განიმარტოს არბიტრაჟის შესახებ კანონთან შესაბამისობაში, რომელიც ამ შემთხვევაში სპეციალურ ნორმას წარმოადგენს. ეს განმარტება შეიძლება ითვალისწინებდეს იმას, რომ მხარეს შეუძლია მიმართოს არბიტრაჟს და მას სთხოვოს სასამართლოსათვის მიმართვა მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების მიზნით. თუმცა, მხარეს აგრეთვე უნდა ჰქონდეს უფლება, მოიპოვოს არბიტრაჟის თანხმობა და თავად წარადგინოს

<sup>266</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 35.3. და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 356<sup>19</sup>.1.

<sup>267</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 356<sup>19</sup>.1.

სასამართლოში განცხადება, არბიტრაჟის თანხმობასთან ერთად. სწორედ ამ უფლებას ითვალისწინებს მოდელური კანონი, ისევე როგორც მასზე დაფუძნებული არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი.<sup>268</sup>

## 5.2. რა ფორმით უნდა წარუდგინოს მხარემ სასამართლოს არბიტრაჟის თანხმობა მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების შესახებ?

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი არ ამუსტებს სასამართლოში არბიტრაჟის თანხმობის წარდგენის ფორმას. არც მოდელურ კანონში, არც მისი შექმნის ისტორიასა და კომენტარებში არაა მითითებული არბიტრაჟის წერილობითი თანხმობის სავალდებულობაზე. წერილობით გამოხატულ თანხმობას შესაძლებელია მხოლოდ მტკიცებულებითი დატვირთვა ჰქონდეს. შესაბამისად, არბიტრაჟის თანხმობა ნებისმიერი ფორმით შეიძლება იყოს გამოხატული. მთავარია, შეიძლებოდეს თანხმობის იდენტიფიცირება და მისი შინაარსის დადგენა, რათა სასამართლო დარწმუნდეს, რომ არბიტრაჟმა გასცა თანხმობა. მხარის მიერ წარდგენილი წერილობითი განცხადებისა და თანდართული მტკიცებულებით დადგენადი უნდა იყოს:

- ✓ არბიტრაჟი, რომელმაც გასცა თანხმობა;
- ✓ საარბიტრაჟო წარმოების მხარეები;
- ✓ რომელ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის თაობაზე გაიცა თანხმობა.

არბიტრაჟის თანხმობა შეიძლება გაიცეს როგორც პირდაპირი (მაგალითად, თანხმობის წერილი, რომელშიც მითითებულია კონკრეტული მტკიცებულების უზრუნველყოფის შესახებ), ისე ირიბი სახით. მაგალითად, ჰონგ-კონგის სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში<sup>269</sup> არ არსებობდა არბიტრის პირდაპირი წერილობითი

<sup>268</sup> მოდელური კანონი, მუხლი 27; იმავეს ადგენს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 1050.

<sup>269</sup> ჰონგ-კონგის უმაღლესი სასამართლოს 1994 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *Vibroflotation A.G. v Express Builders Co. Ltd.*, HKCFI 205.

თანხმობა, რომელიც უშუალოდ სასამართლოსათვის მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარებისათვის მიმართვას შეეხებოდა. თუმცა, არსებობდა არბიტრის წერილები მხარეთა მიმართ, რომლებშიც არბიტრი აღნიშნავდა, რომ მხარეთა პოზიციების მოსმენის შემდეგ, მიიჩნია, რომ სადავო მტკიცებულებები საქმის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი იყო და განსაზღვრავდა მისთვის იმ მტკიცებულებათა წარდგენის თარიღს, რომელთა წარდგენას სასამართლო მოსთხოვდა. სასამართლომ, მოდელური კანონის 27-ე მუხლის განმარტებისას, რომელსაც ეფუძნება როგორც ჰონგ-კონგის კანონი არბიტრაჟის შესახებ, ისე საქართველოს კანონი, მიიჩნია, რომ არბიტრის წერილები ადასტურებდა არბიტრაჟის თანხმობას მტკიცებულებათა მოპოვებაში დასახმარებლად სასამართლოსათვის მიმართვის შესახებ. სასამართლომ აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა არბიტრის პირდაპირი თანხმობა, თანხმობა გამოიხატებოდა და იგულისხმებოდა მის წერილებსა და ქმედებაში. კერძოდ, ის ფაქტი, რომ არბიტრმა მტკიცებულებათა წარდგენისა და განხილვისათვის განსაზღვრა თარიღი, მიუთითებდა, რომ არბიტრმა თანხმობა განაცხადა სასამართლოსათვის მიმართვაზე, რადგან ამ მტკიცებულებათა მოპოვებისთვის სასამართლოს დახმარება იყო საჭირო, რის შესახებაც არბიტრაჟმა იცოდა.

### 5.3. სად არის საარბიტრაჟო განხილვის ადგილი?

#### 5.3.1. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი საქართველოა

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი ადგენს საქართველოში საარბიტრაჟო წარმოების წესებს.<sup>270</sup> შესაბამისად, უდავოა, რომ მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების მარეგულირებელი, კანონის 35-ე მუხლი ეხება საქართველოში მიმდინარე საარბიტრაჟო წარმოებას და საქართველოში „მყოფ“ არბიტრაჟს. შესაბამისად, როდესაც საარბიტრაჟო განხილვის ადგილი საქართველოა, სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს განცხადება, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლით განსაზღვრული განსჯადობის წესების შესაბამისად.<sup>271</sup>

<sup>270</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 1.1.

<sup>271</sup> იქვე, მუხლი 2.1.ა. (.)

### 5.3.2. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არ არის საქართველო

ერთ ქვეყანაში მიმდინარე საარბიტრაჟო განხილვისას მეორე ქვეყნის სასამართლოსათვის მტკიცებულებათა მოპოვებაში დასახმარებლად მიმართვასთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომა არ არსებობს. ქვეყანათა ნაწილის კანონმდებლობა აღიარებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმდინარე საარბიტრაჟო პროცესის მიუხედავად, არბიტრაჟის უფლებას, სთხოვოს სხვა ქვეყნის სასამართლოს დახმარება; თუმცა, ნაწილი ასეთ შესაძლებლობას არ უშვებს. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი პირდაპირ მიუთითებს, რომ ნორმა მტკიცებულებათა მოპოვებაში სასამართლოს დახმარების შესახებ ეხება როგორც გერმანიაში საარბიტრაჟო განხილვის, ისე უცხო ქვეყანაში მიმდინარე საარბიტრაჟო განხილვისას გერმანიის სასამართლოს დახმარებას.<sup>272</sup>

მოდელური კანონი, ისევე როგორც არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი<sup>273</sup> ადგენს მისი მოქმედების ფარგლებს და მიუთითებს, რომ კანონის ნორმები, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, ეხება მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როდესაც საარბიტრაჟო განხილვის ადგილი ამავე სასამართლოს ქვეყანაშია.<sup>274</sup> კანონის 27-ე მუხლი, რომელიც ეხება სასამართლოს დახმარებას მტკიცებულებათა მოპოვებაში, გამონაკლის ნორმებს შორის არაა მითითებული.<sup>275</sup> ანალოგიურად, როდესაც ქართველ კანონმდებელს სურდა კანონის რომელიმე ნორმის მოქმედების გავრცელება სხვა ქვეყანაში მიმდინარე საარბიტრაჟო განხილვაზე, მან ამის შესახებ პირდაპირ მიუთითა კანონში, მაგა-

<sup>272</sup> გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 1025.2. კანონის 1050-ე მუხლი კი ეხება მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების გამო სასამართლოსათვის მიმართვას.

<sup>273</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 1.1.

<sup>274</sup> მოდელური კანონი, მუხლი 1.2.

<sup>275</sup> აღსანიშნავია, რომ მოდელური კანონის პირვანდელ ვერსიაში 27-ე მუხლი იყო გამონაკლის მუხლებს შორის მითითებული, თუმცა, საბოლოოდ ამოღებულ იქნა გამონაკლისებიდან და დავიწროვდა მისი მოქმედების არეალი მხოლოდ სასამართლოს ქვეყანაში მიმდინარე საარბიტრაჟო განხილვისას დახმარებაზე. Foreword of the Guide to the 1985 UNCITRAL Model Law', in Howard M. Holtzmann and Joseph E. Neuhaus, *A Guide to the UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration: Legislative History and Commentary* (Kluwer Law International, 1989), გვ. 207.



ლითად, 23-ე მუხლის შემთხვევაში.<sup>276</sup> ამგვარი მითითება არ არსებობს 35-ე მუხლთან დაკავშირებით. UNCITRAL-ის მიერ შექმნილი საქმეთა კრებული მოდელურ კანონზე პირდაპირ მიუთითებს, რომ აღნიშნული ნორმის შექმნისას არ იყო განზრახული მისი გავრცელება ქვეყნის გარეთ მიმდინარე საარბიტრაჟო პროცესში დახმარებაზე.<sup>277</sup>

შესაბამისად, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი ვრცელდება მხოლოდ ისეთ შემთხვევაზე, როდესაც საარბიტრაჟო განხილვის ადგილი საქართველოშია.

#### 5.4. რა ეტაპზე წარედგინება სასამართლოს მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების შესახებ მოთხოვნა?

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების შესახებ მოთხოვნა სასამართლოს შეიძლება წარედგინოს საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე.<sup>278</sup> აღნიშნული შესაბამისობაშია მოდელური კანონის 27-ე მუხლის განმარტებასთან, რომლის თანახმადაც, მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების შესახებ მიმართვა არ უნდა შეიზღუდოს მხოლოდ უშუალოდ საქმის (ბეპირი) განხილვის ეტაპით.<sup>279</sup>

ამასთან, საქართველოს კანონი განსაზღვრავს საარბიტრაჟო განხილვის დაწყების დროს და ადგენს, რომ: „საარბიტრაჟო დავის განხილვა იწყება არბიტრაჟში ამ დავის გადაცემის შესახებ შეტყობინების საარ-

<sup>276</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 23.2: „საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით.“

<sup>277</sup> „27-ე მუხლის შედგენისას არ მოიაზრებოდა, რომ სასამართლოს დახმარება გავრცელდებოდა საერთაშორისო სასამართლო დახმარებაზე (ე.ი. დახმარებაზე იმ ქვეყნის სასამართლოს მიერ „სადაც არ მიმდინარეობს არბიტრაჟი“)“ UNCITRAL 2012 Digest, გვ. 118-119.

<sup>278</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 35.3.

<sup>279</sup> UNCITRAL 2012 Digest, გვ. 118.

ბიტრაჟო მოპასუხის მიერ მიღების დღეს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.”<sup>280</sup> აღნიშნული ნორმის თანახმად, მოპასუხის მიერ საარბიტრაჟო დავის დაწყების შეტყობინების დღიდან, საარბიტრაჟო განხილვა დაწყებულად ითვლება და ამ მომენტიდან მოთხოვნა ნებისმიერ დროს შეიძლება წარედგინოს სასამართლოს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მოთხოვნა სასამართლოს უნდა წარედგინოს არბიტრაჟის მიერ, ან მხარის მიერ, არბიტრაჟის თანხმობით. შესაბამისად, არბიტრის ან ტრიბუნალის დანიშვნა ასეთი მოთხოვნის განხორციელების წინაპირობაა.

## 5.5. მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარება სასამართლოს დისკრეციამ თუ ვალდებულებათა?

აღნიშნულ საკითხზე პირდაპირ არაა მითითებული არც არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში და არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. ერთადერთი, რასაც კანონის ტექსტი ადგენს, არის რომ არბიტრაჟს ან მხარეს არბიტრაჟის თანხმობით შეუძლია **მოსთხოვოს** სასამართლოს დახმარება მტკიცებულებათა მოპოვებაში. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც კანონი აძლევს არბიტრაჟს უფლებას „მოსთხოვოს“ სასამართლოს რაიმეს გაკეთება. მოდელური კანონის ისტორია და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა უპირატესობას შემდეგ განმარტებას ანიჭებენ: სასამართლო **ვალდებულია** დაეხმაროს მხარეს და/ან არბიტრაჟს მტკიცებულებათა მოპოვებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოთხოვნა ეწინააღმდეგება ამ ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობას.

ეს მიდგომა გამომდინარეობს მოდელური კანონის 27-ე მუხლის შექმნის ისტორიიდან. მოდელურ კანონზე მომუშავე პირთა მთავარი მიზანი იყო, რომ კანონის ეს ნორმა არ შეჭრილიყო რომელიმე ქვეყნის ეროვნულ საპროცესო კანონმდებლობაში და არ დაევალებულინა

<sup>280</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 26.

სასამართლო, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ეროვნული კანონმდებლობით დაუშვებელშიც კი, დაეკმაყოფილებინა მიმართვა. ამიტომ, შეირჩა ფორმულირება, რომლის თანახმადაც, სასამართლო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ადასრულებს მიმართვას.<sup>281</sup> შესაბამისად, ის ფაქტი, რომ ნორმა სასამართლოს არ ავალდებულებს მიმართვის აღსრულებას, გულისხმობს არა იმას, რომ სასამართლომ შინაარსობრივად შეიძლება შეამონმოს საქმეში მტკიცებულების მნიშვნელობისა თუ რელევანტურობის საკითხი, არამედ იმას, რომ სასამართლოს შეუძლია არ ადასრულოს ისეთი მიმართვა, რომელიც დაუშვებელია ამ სასამართლოს საპროცესო კანონმდებლობით.

კანადის სასამართლომ მოცემული საკითხის გადანყვეტისას დაადგინა, რომ მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების მოთხოვნისას სასამართლო არ უნდა შეიჭრას საკითხის არსობრივ შემოწმებაში. კერძოდ, სასამართლომ არ უნდა შეათვასოს მტკიცებულების საქმისათვის რელევანტურობისა და გამოყენებადობის საკითხი. იგულისხმება, რომ აღნიშნული საკითხი უკვე შეფასებული და გადანყვეტილია არბიტრაჟის მიერ. სასამართლოს როლი ასეთ შემთხვევაში არის მხოლოდ არბიტრაჟის ტექნიკური დახმარება და მტკიცებულებათა წარდგენის იძულებითი აღსრულების უზრუნველყოფა, რა უფლებამოსილებაც არბიტრაჟს არ გააჩნია.<sup>282</sup> ეს მიდგომა ეხმიანება მოდელურ კანონს, და შესაბამისად, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონს, რომლებიც განამტკიცებენ სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო პროცესში ჩაურევლობის პრინციპს, რათა არ მოხდეს სასამართლოს მიერ არბიტრების უფლებამოსილების შეზღუდვა. სწორედ ამიტომ, არბიტ-

<sup>281</sup> Howard M. Holtzmann and Joseph E. Neuhaus, *A Guide to the UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration: Legislative History and Commentary* (Kluwer Law International, 1989), გვ. 736.

<sup>282</sup> კანადის ფედერალური სასამართლოს 1993 წლის 3 დეკემბრის გადანყვეტილება საქმეზე *Delphi Petroleum Inc. v Derin Shipping and Training Ltd.*

რაჟის შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს, რომ „არბიტრაჟი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია [...],“<sup>283</sup> და „დაუშვებელია ამ კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოს რაიმე სახით ჩარევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ამ კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული.“<sup>284</sup>

შესაბამისად, სასამართლომ შინაარსობრივად არ უნდა შეაფასოს მტკიცებულებათა რელევანტურობა და არც ამ მოთხოვნის ფარგლებს უნდა გასცდეს და არ უნდა შეეხოს საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის საკითხს. სასამართლომ დახმარება უნდა გაუწიოს მხარეს/არბიტრაჟს და აღასრულოს მოთხოვნა მტკიცებულებათა მოპოვებაში მხარდაჭერის შესახებ, თუ ის არ ეწინააღმდეგება სასამართლოს კომპეტენციას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.

## 5.6. სასამართლოს მიერ მონმის დასწრების უზრუნველყოფა

არბიტრაჟს არ შეუძლია მესამე პირები დაავალდებულოს, გამოცხადდნენ საქმის განხილვაზე.<sup>285</sup> შესაბამისად, როგორც წესი, არბიტრაჟი იმ მხარეს ავალებს მონმის წარმოდგენის უზრუნველყოფას, რომელიც ეყრდნობა მონმის ჩვენებას.<sup>286</sup> თუმცა, ისეთ შემთხვევებში, როდესაც მხარეს არ შეუძლია უზრუნველყოს მონმის წარდგენა, რადგან მონმე უარს აცხადებს თანამშრომლობაზე, არბიტრაჟს შეუძლია დახმარებისათვის მიმართოს სასამართლოს.

<sup>283</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.1.

<sup>284</sup> იქვე, მუხლი 6.2.

<sup>285</sup> Emmanuel Gaillard and John Savage, *Fouchard, Gaillard, Goldman on International Commercial Arbitration* (Kluwer Law International, 1999), გვ. 727.

<sup>286</sup> Karl-Heinz Böckstiegel, Stefan Michael Kröll, et al. eds., *Arbitration in Germany: The Model Law in Practice*, 2nd ed. (Wolters Kluwer Law & Business, 2015), გვ. 281.

მოდელური კანონის 27-ე მუხლი, ისევე როგორც საქართველოს კანონის 35-ე მუხლი, ცალკე არ გამოყოფს სასამართლოს დახმარებას მონმის დასწრების უზრუნველყოფაში. კანონი მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების დეფინიციამო მოიაზრებს მონმის ჩვენების, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულების მიღებასაც. შესაბამისად, 35-ე მუხლის მოქმედების ფარგლები და წესი მტკიცებულებათა მოპოვებაში არბიტრაჟის დახმარების შესახებ ვრცელდება მონმის დასწრების უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობაზეც. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ მტკიცებულების უზრუნველყოფის მოთხოვნა შეუძლია როგორც არბიტრაჟს, ისე მხარეს არბიტრაჟის თანხმობით, ხოლო მონმის დასწრება მხოლოდ არბიტრაჟს შეუძლია მოითხოვოს. შესაბამისად, მონმის დასწრების უზრუნველყოფის შესახებ მოთხოვნის განხილვისას სასამართლო ამოწმებს იმავე გარემოებებს და იყენებს იმავე სტანდარტს, რაც გამოიყენება მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების შესახებ მოთხოვნის განხილვისას (იხ. თავი 5.5).

## 5.7. სად უნდა გამოცხადდეს სასამართლოს მიერ დაბარებული მონმე, სასამართლოში თუ არბიტრაჟში?

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში არაა დაზუსტებული მონმის გამოცხადების ადგილი, და მითითებულია, რომ სასამართლო არბიტრაჟს ეხმარება „მონმის დასწრების უზრუნველყოფაში.“<sup>287</sup> აღნიშნულში უნდა მოიაზრებოდეს მონმის გამოცხადება საარბიტრაჟო განხილვაზე. ამას გარდა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მითითებულია სიტყვები: „საარბიტრაჟო წარმოებაში მონმის დასწრების უზრუნველყოფაში“, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო მონმეს იბარებს და ავალდებულებს საარბიტრაჟო სხდომაზე და არა სასამართლოში გამოცხადებას.<sup>288</sup>

<sup>287</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 35.3 და სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლები 356<sup>19</sup>.2 და 356<sup>13</sup>.1.დ.

<sup>288</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 38.ა<sup>2</sup> და 39.ა<sup>1</sup>.

## 5.8. მონმის დასწრების უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს დახმარების ეფექტი

საარბიტრაჟო წარმოებაში მონმის დასწრების უზრუნველსაყოფად სასამართლო მოქმედებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მონმის დაბარებისა და მისი გამოუცხადებლობის შესახებ ნორმებით დადგენილი წესებით.<sup>289</sup> კერძოდ, მონმედ დაბარებული პირი ვალდებულია, გამოცხადდეს და მისცეს სწორი ჩვენება. არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი დაჯარიმდება 50 ლარით და სასამართლომ შეიძლება დაადგინოს მონმის იძულებით მოყვანა. ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და განზრახ არასწორი ჩვენების მიცემისათვის მონმეს შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.<sup>290</sup>

---

<sup>289</sup> იქვე, მუხლი 356<sup>19</sup>.3.

<sup>290</sup> იქვე, მუხლი 145.

როდესაც არბიტრაჟი ან მხარე არბიტრაჟის თანხმობით მიმართავს სასამართლოს მტკიცებულების მოპოვებაში დახმარებისათვის (35-ე მუხლი) [გვ. 122-132]

① სად არის საარბიტრაჟო განხილვის ადგილი? [გვ. 125-127]

არის საქართველოში/სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე (განსჯადია)

არ არის დადგენადი და არ არის საქართველოში (არ არის განსჯადი)

② ვინ მიმართავს სასამართლოს? [გვ. 123-124]

სასამართლოს მიმართავს არბიტრაჟი ან მხარე არბიტრაჟის თანხმობით (სასამართლო იხილავს განცხადებას)

სასამართლოს მიმართავს მხარე არბიტრაჟის თანხმობის გარეშე (უარი განხილვაზე)

③ რა ფორმითა და შინაარსითაა წარდგენილი არბიტრაჟის თანხმობა [გვ. 124-125; 127-132]

**წარდგენილი ფორმით ვერ დგინდება:** არბიტრაჟი, რომელმაც გასცა თანხმობა, ან საარბიტრაჟო წარმოების მხარეები, ან რომელ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის თაობაზე გაიცა თანხმობა, ან მოთხოვნილი მტკიცებულების უზრუნველყოფა ეწინააღმდეგება საპროცესო კანონმდებლობას.  
**უარი განხილვაზე**

**წარდგენილი ფორმით დგინდება:** არბიტრაჟი, რომელმაც გასცა თანხმობა, საარბიტრაჟო წარმოების მხარეები, რომელ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის თაობაზე გაიცა თანხმობა და მოთხოვნილი მტკიცებულების უზრუნველყოფა არ ეწინააღმდეგება საპროცესო კანონმდებლობას.  
**დაკმაყოფილდება განცხადება**

# დანართი 1

**ბატონო/ქალბატონო** \_\_\_\_\_ / / \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ სასამართლოში განიხილება განცხადება (ნომერი: \_\_\_\_\_) არბიტრის დანიშვნის თაობაზე. გთხოვთ, დანართში მოცემული ფორმის შესაბამისად განაცხადოთ, თანახმა ხართ თუ არა განიხილოთ დავა. ასევე, გთხოვთ გვაცნობოთ ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შესაძლოა ხელი შეგიშალოთ საქმის დროულად, კვალიფიციურად და ეფექტიანად განხილვაში; ასევე გაამუდავნოთ ნებისმიერი გარემოება, რამაც შეიძლება დასაბუთებული ეჭვი გამოიწვიოს მხარეთა თვალში თქვენს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე.

დავის მოკლე აღწერა

<b>მოსარჩელე:</b>	<b>მოპასუხე:</b>
<b>მოსარჩელის წარმომადგენელი:</b>	<b>მოპასუხის წარმომადგენელი:</b>
<b>დავის კატეგორიის აღწერა:</b> (აქ მიეთითება დავის კატეგორია და მისი ზოგადი აღწერა. მაგალითად, დავა ეხება გადაზიდვის ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ზიანის ანაზღაურებას)	
<b>საარბიტრაჟო დათქმა:</b> (აქ მიეთითება საარბიტრაჟო დათქმა)	
<b>დავის განმხილველი არბიტრი (არბიტრები)</b> მიეთითება უკვე დანიშნული არბიტრების ვინაობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში	



# დანართი

## აიგიჟინის დეკლარაცია

---

### თანხმობის, შესაძლებლობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ

სახელი: \_\_\_\_\_ გვარი: \_\_\_\_\_

*გთხოვთ აირჩიოთ შესაბამისი უჯრა*

#### 1- თანხმობა

თანახმა ვარ, ვიმოქმედო როგორც არბიტრმა ამ დავაში.

#### არ ვარ თანახმა

უარს ვაცხადებ, ვიყო არბიტრი ამ დავაში.

#### 2- შესაძლებლობა

ვადასტურებ, იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც ამ მომენტისათვის ჩემთვისაა ცნობილი, შემიძლია მივუძღვნა საჭირო დრო საარბიტრაჟო განხილვას, მისი ეფექტიანად და დროულად წარმართვისათვის.

#### 3 - დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

შესაბამისი უჯრის არჩევისას თქვენ უნდა გაითვალისწინოთ ა(ა)იპ „საქართველოს არბიტრთა ასოციაციის“ მიერ დამტკიცებული არბიტრთა ეთიკის კოდექსი და უნდა მიუთითოთ არსებობს, თუ არა თქვენსა და საარბიტრაჟო დავის ნებისმიერ მხარეს, მათთან დაკავშირებულ პირებს, ან მათ იურისტებს ან სხვა წარმომადგენლებს შორის მიმდინარე ან წარსული, პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური, პროფესიული, საქმიანი ან სხვა სახის ურთიერთობა, ან დავის საგანთან რაიმე სახის შემხებლობა ან კავშირი, რომელმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს თქვენი დამოუკიდებლობა ან/და მიუკერძოებლობა

რომელიმე მხარის თვალში. ნებისმიერი ეჭვი უნდა გადაწყდეს გამჟღავნების სასარგებლოდ. ნებისმიერი ინფორმაცია უნდა გამჟღავნდეს სრულად და განცალკევებულად, ასევე ურთიერთობის დაწყებისა და დასრულების თარიღების, ფინანსური შეთანხმებების, და სხვა რელევანტური ინფორმაციის მითითებით.

**არაფერია გასამჟღავნებელი:** მე ვარ საარბიტრაჟო დავის მხარეებისაგან დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი და განზრახული მაქვს დავრჩე ასეთად. როგორც ჩემთვის ცნობილია, არ არსებობს წარსული ან აწმყო გარემოებები, რომელმაც შესაძლოა რომელიმე მხარის თვალში წარმოშვას კითხვები ჩემს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

**თანმობა გამჟღავნებაზე:** მე ვარ საარბიტრაჟო დავის მხარეებისაგან დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი და განზრახული მაქვს დავრჩე ასეთად. ამასთანავე, მსურს ყურადღება გავამახვილო შემდეგ გარემოებებზე:

*წინამდებარე დეკლარაციის წარდგენით ვადასტურებ, რომ განვახორციელებ საქმიანობას კეთილსინდისიერად, ეფექტიანად, მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად.*

**თარიღი:**

**ხელმოწერა:**

# დანართი 2

## საქართველოს ანტიხრთა ასოციაციის ანტიხრთა ეთიკის კოდექსი

### შესავალი

საარბიტრაჟო პროცესის მაღალი სტანდარტის შენარჩუნებისა და არბიტრაჟისადმი ნდობის ამაღლების მიზნით, წინამდებარე ეთიკის კოდექსი ადგენს ქცევის წესების აღიარებულ სტანდარტებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ არბიტრებმა საარბიტრაჟო პროცესის დროს. ისინი პასუხისმგებელნი არიან როგორც მოდავე მხარეების, ასევე პროცესის სხვა მონაწილეთა, სამოგადოების და თავად პროცესის არსის მიმართ. მათი პასუხისმგებლობა მოიცავს მნიშვნელოვან ეთიკურ ვალდებულებებს.

ეთიკის კოდექსი გამოიყენება ყველა ისეთი საარბიტრაჟო განხილვის დროს, როდესაც დავა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა საქართველოს არბიტრთა ასოციაციის წევრ ერთ ან მეტ არბიტრს. ეს კოდექსი ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც მის გამოყენებას ითვალისწინებს მხარეთა შეთანხმება, შესაბამისი საარბიტრაჟო წესები ან კანონი. ყველა ასეთ შემთხვევაში, არბიტრები უნდა დაექვემდებარონ ამ კოდექსით დადგენილ ქცევის წესებს.

წინამდებარე ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ეთიკის ნორმებს არბიტრებისთვის და ადგენს არბიტრთა ვალდებულებას - უზრუნველყონ საარბიტრაჟო პროცესის კეთილსინდისიერად და სამართლიანად წარმართვა, შეინარჩუნონ ნეიტრალურობა, მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა, გაამჟღავნონ ნებისმიერი ინტერესი ან ურთიერთობა, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ მიუკერძოებლობაზე. ეთიკის კოდექსი ასევე განსაზღვრავს მხარეებთან, მათ წარმომადგენლებთან და პროცესის მონაწილე სხვა პირებთან შესაფერისი კომუნიკაციის წესებს და მოუწოდებს არბიტრებს თავიდან აიცილონ გაუმართლებელი ხარჯები.

### პრინციპი I. არბიტრმა უნდა უზრუნველყოს საარბიტრაჟო პროცესის კეთილსინდისიერად და სამართლიანად წარმართვა

1. არბიტრი ვალდებულია დაიცვას ქცევის მაღალი სტანდარტები, რათა უზრუნველყოს პროცესის სამართლიანი და კეთილსინდისიერი წარმართვა.
2. პირი უნდა დათანხმდეს არბიტრად დანიშვნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნდება, რომ:
  - ა) მას შეუძლია იმოქმედოს მიუკერძოებლად;
  - ბ) მას შეუძლია იმოქმედოს მხარეებისგან, პოტენციური მონაწილისგან და სხვა არბიტრებისგან დამოუკიდებლად;
  - გ) გააჩნია სათანადო კომპეტენცია;

დ) აქვს საკმარისი დრო დაიწყოს საარბიტრაჟო განხილვა პროცესის მოთხოვნების შესაბამისად და განხილვის დაწყების შემდეგ დაუთმოს სათანადო დრო და ყურადღება პროცესს;

3. არბიტრად დანიშვნაზე თანხმობის გაცხადების შემდეგ და საარბიტრაჟო განხილვის პროცესში, მან თავი უნდა აარიდოს ისეთ საქმიან, პროფესიულ ან პირად ურთიერთობებში შესვლას, ან ისეთი ფინანსური თუ პირადი ინტერესის შექმნას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს არბიტრის მიუკერძოებლობაზე ან შექმნას მიუკერძოებლობის გონივრული ეჭვი. არბიტრმა, საქმის გადაწყვეტიდან გონივრულ ვადაში, თავიდან უნდა აიცილოს ისეთ ურთიერთობაში შესვლა ან ისეთი ინტერესის გაჩენა, რომელიც შექმნის გონივრულ ეჭვს იმისა, რომ არბიტრზე გავლენა ჰქონდა ასეთი ურთიერთობისა ან ინტერესის მოლოდინს.
4. არბიტრი სამართლიანი უნდა იყოს მხარეების მიმართ და არ უნდა მოექცეს პიროვნული დაინტერესების, გარეშე ზემოქმედების ან სხვა სახის გავლენის ქვეშ.
5. თუ არბიტრის უფლებამოსილება მხარეთა შეთანხმებითაა განსაზღვრული, არბიტრი ვალდებულია ამ უფლებამოსილების ფარგლებში იმოქმედოს. თუ მხარეთა შეთანხმება გარკვეულ პროცედურულ წესებს ითვალისწინებს, რომლებიც საარბიტრაჟო პროცესის დროს უნდა შესრულდეს, არბიტრი მოვალეა ეს პროცედურული წესები დაიცვას. არბიტრმა, საარბიტრაჟო პროცედურის დროს არ უნდა გამოიყენოს ისეთი შეთანხმება ან პროცედურული წესები, რომლებიც ეწინააღმდეგება წინამდებარე ეთიკის კოდექსს.
6. არბიტრმა, ყველა ზომა უნდა მიიღოს, რათა მხარეებს მიანოდოს სათანადო ინფორმაცია პროცესის შესახებ, თავიდან აიცილოს პროცესის გაჭიანურება, მხარეთა ან სხვა მონაწილეთა შეურაცხყოფა, უთანასწორო მოპყრობა და საარბიტრაჟო პროცესის დამაბრკოლებელი ფაქტორები.
7. არბიტრის ეთიკური ვალდებულება იწყება მისი არბიტრად დანიშვნისთანავე და გრძელდება საარბიტრაჟო პროცესის დასრულებამდე. ამასთანავე, წინამდებარე კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში, ზოგიერთი ეთიკური ვალდებულება იწყება იმ მომენტიდან, როდესაც პირს არბიტრის მოვალეობის შესრულება ეთხოვა, ხოლო ზოგიერთი ეთიკური მოვალეობა გრძელდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მხარეებისთვის გაცნობის შემდეგაც.
8. მას შემდეგ, რაც არბიტრი დაინიშნება, მან არ უნდა თქვას უარი არბიტრობაზე, გარდა იმ შემთხვევისა თუ გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო იგი იძულებულია ასე მოიქცეს, რადგან სხვანაირად პროცესის გაგრძელება შეუძლებელი იქნებოდა. თუ მხარეები ვერ უზრუნველყოფენ ან უარს იტყვიან არბიტრისთვის შეთანხმებული ანაზღაურების გადახდაზე, არბიტრს უფლება აქვს გადადგეს.
9. არბიტრმა, რომელიც საარბიტრაჟო პროცესის დასრულებამდე ნებისმიერი საფუძვლით უარს იტყვის საარბიტრაჟო დავის განხილვაზე, უნდა მიიღოს გონივრული ზომები, რათა დაიცვას მხარეთა ინტერესები, მათ შორის არბიტრმა უნდა უზრუნველყოს მტკიცებულებების დაბრუნება და კონფიდენციალურობის შენარჩუნება.

## **პრინციპი II. არბიტრი მოვალეა განაცხადოს თავისი ინტერესების ან იმ ურთიერთობების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მის მიუკერძოებლობაზე ან გამოიწვიოს მიუკერძოებულობის შთაბეჭდილება**

1. პირი, რომელსაც ეთხოვა არბიტრის მოვალეობის შესრულება, თანხმობის მიცემამდე ვალდებულია განაცხადოს:
  - ა) ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი, ფინანსური თუ პირადი ინტერესების შესახებ, რომელიც მას შეიძლება გააჩნდეს დავის განხილვის შედეგების მიმართ;
  - ბ) მისთვის ცნობილი არსებული თუ წარსული ფინანსური, საქმიანი, პროფესიული ან პირადი ურთიერთობების შესახებ, რამაც შეიძლება მხარეებს შეუქმნას არბიტრის მიუკერძოებლობის ან დამოუკიდებლობის გონივრული ეჭვი. პოტენციურმა არბიტრმა უნდა განაცხადოს იმ ურთიერთობების შესახებ, რომლებიც მას აქვს რომელიმე მხარესთან, მათ ადვოკატებთან, დანარჩენ არბიტრებთან ან/და შესაძლო მოწმებთან. პირმა, რომელსაც არბიტრის მოვალეობის შესრულება ეთხოვა, უნდა განაცხადოს ასევე მისი ოჯახის წევრების, ამჟამინდელი დამსაქმებლების ან საქმიანი პარტნიორების ურთიერთობების შესახებ აღნიშნულ პირებთან;
  - გ) განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაციის ფლობის შესახებ;
  - დ) ნებისმიერი სხვა ურთიერთობის ან ინტერესის შესახებ, რომლის გამჟღავნება მას ევალება მხარეთა შეთანხმებით, საარბიტრაჟო ინსტიტუტის წესების ან კანონმდებლობის შესაბამისად.
2. არბიტრად დანიშვნაზე თანხმობის გაცხადებამდე პირი ვალდებულია გამოიკვლიოს 1-ელ პუნქტში მითითებული ურთიერთობების და ინტერესების არსებობა.
3. თუ არბიტრისათვის ცნობილი გახდება 1-ელ პუნქტში ჩამოთვლილი ინტერესების შესახებ არბიტრად დანიშვნაზე თანხმობის გაცემის შემდეგ, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ განაცხადოს აღნიშნულის შესახებ.
4. ყოველი ეჭვი იმის შესახებ, არსებობს თუ არა გამჟღავნების ვალდებულება, უნდა გადაწყდეს გამჟღავნების სასარგებლოდ;
5. ინტერესების შესახებ არბიტრმა უნდა აცნობოს საარბიტრაჟო დაწესებულებას (თუკი ასეთი არსებობს) და დავის მონაწილე ყველა მხარეს, გარდა იმ შემთხვევისა თუ მხარეთა შეთანხმებით, საარბიტრაჟო წესებით ან კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობს ერთზე მეტი არბიტრი, თითოეულმა მათგანმა უნდა აცნობოს დანარჩენებს ზემოთ აღნიშნული ურთიერთობების თუ ინტერესების შესახებ.
6. გაცხადებული ინტერესი არ შეიძლება რომელიმე მხარის მიერ გამოყენებულ იქნეს არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილების შეცვლების საფუძვლად, თუ მხარე დაეთანხმა პირის არბიტრად დანიშვნას ან არ დაუყენებია არბიტრის აცილების საკითხი.

7. არბიტრმა უარი უნდა თქვას არბიტრად დანიშვნაზე ან, თუ საარბიტრაჟო წარმოება უკვე დაწყებულია – უარი უნდა თქვას ამ წარმოებაში არბიტრის ფუნქციის შესრულების გაგრძელებაზე, თუ მას ეჭვი ეპარება თავის უნარში, დარჩეს მიუკერძოებელი ან დამოუკიდებელი.
8. არბიტრი უნდა გადადგეს თუ არბიტრის აცილებას ითხოვს დავის მონაწილე ყველა მხარე. თუ არბიტრის გადაგომას ითხოვს მხოლოდ ერთ-ერთი მხარე არბიტრის მიკერძოებულობის საფუძველით, არბიტრი უნდა გადადგეს გარდა იმ შემთხვევისა, თუ:
  - ა) მხარეთა შეთანხმება, საარბიტრაჟო წესები ან შესაბამისი კანონმდებლობა სხვაგვარად არ განსაზღვრავს არბიტრის გადადგომის წესს მსგავს შემთხვევაში;
  - ბ) საარბიტრაჟო წესების არარსებობის შემთხვევაში, არბიტრი აცილების მოთხოვნის საფუძველების შესწავლის შედეგად დაადგენს, რომ აცილების მოთხოვნა უსაფუძვლოა და მას შეუძლია არბიტრის მოვალეობა მიუკერძოებლად შეასრულოს.
9. თუ ამ კოდექსის ნებისმიერ წესთან შესაბამისობისთვის არბიტრს მოეთხოვება კონფიდენციალური და/ან სამართლებრივად დაცული ინფორმაციის გამჟღავნება, მან უნდა:
  - ა) მოიპოვოს კონფიდენციალური ინფორმაციის გამცემი პირის ან სამართლებრივად დაცული ინფორმაციის უფლების მფლობელის თანხმობა; ან
  - ბ) გადადგეს.

### **პრინციპი III. არბიტრი უნდა მოერიდოს მხარეებთან არასათანადო კომუნიკაციას**

1. თუ საარბიტრაჟო შეთანხმება ან საარბიტრაჟო წესები ადგენს არბიტრის მხარეებთან კომუნიკაციის წესებს, არბიტრი ვალდებულია ამ წესების ფარგლებში იმოქმედოს, თუნდაც ეს წესები წინააღმდეგობაში მოდიოდეს მე-2 და მე-3 პუნქტებთან.
2. არბიტრს შეუძლია საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე იმსჯელოს მხოლოდ ყველა მოდავე მხარის თანდასწრებით, გარდა შემდეგი გარემოებებისა:
  - ა) როდესაც განიხილება არბიტრის დანიშვნის საკითხი:
    - მომავალ არბიტრს შეუძლია იკითხოს მხარეების, მათი წარმომადგენლების და მონმეების ვინაობა, ასევე საქმის ზოგადი საკითხები;
    - შეუძლია უპასუხოს მხარეების ან მათი წარმომადგენლების შეკითხვებს მისი კომპეტენციის და საქმის განხილვის შესაძლებლობის შესახებ; ასეთ შემთხვევაში, არბიტრს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია საქმის ზოგადი ხასიათის შესახებ, თუმცა არ უნდა განიხილოს ამ საქმის არსებითი საკითხები დავის რომელიმე მხარის დაუსწრებლად.
  - ბ) არბიტრს შეუძლია შეუთანხმოს მხარეს ისეთი საორგანიზაციო საკითხები, როგორცაა საარბიტრაჟო განხილვის დრო, ადგილი და საარბიტრაჟო გან-

ხილვის წარმართვის სხვა ორგანიზაციული საკითხები. არბიტრმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მოდავე მხარეს, რომელიც საუბარს არ ესწრებოდა, საუბრის შინაარსის შესახებ და არ მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება მეორე მხარისათვის მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობის მიცემის გარეშე.

გ) თუ სათანადოდ ინფორმირების მიუხედავად მხარე არ ესწრება საარბიტრაჟო განხილვას, ან თუ მხარეები წერილობით შეთანხმებული არიან ამაზე, არბიტრს შეუძლია განიხილოს საქმე გამოცხადებული მხარის დასწრებით.

3. თუ მხარეთა შეთანხმებით, ან შესაბამისი საარბიტრაჟო წესებით სხვა რამ არ არის დადგენილი, არბიტრის მიერ ერთ-ერთი მხარისთვის წერილობითი მასალის/დოკუმენტის გაგზავნის შემთხვევაში, არბიტრი ვალდებულია ასლი გაუგზავნოს მეორე მხარესაც. თუ არბიტრმა ერთ-ერთი მხარისგან განსახილველი საქმის თაობაზე ისეთი წერილობითი მასალა/დოკუმენტი მიიღო, რომელიც მეორე მხარეს არ გაეგზავნა, არბიტრი ვალდებულია თვითონ გაუგზავნოს ან გააგზავნინოს დანარჩენი მხარეებისთვის.

## **პრინციპი IV. არბიტრმა საარბიტრაჟო განხილვა უნდა წარმართოს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად**

1. არბიტრი ვალდებულია უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობა საარბიტრაჟო განხილვის პროცესში, იგი უნდა იყოს თავშეკავებული და თავაზიანი როგორც მხარეების, ასევე მათი წარმომადგენლების და მონშეების მიმართ და იგივე ქმედებისკენ მოუწოდოს პროცესის ყველა მონაწილეს;
2. არბიტრმა უნდა მისცეს ყველა მხარეს საკუთარი პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობა და შეატყობინოს განხილვის ჩატარების დრო და ადგილი. არბიტრმა ყველა მხარეს უნდა მისცეს მტკიცებულებების და არგუმენტების წარმოდგენის თანაბარი შესაძლებლობა;
3. თუ მხარე სათანადო შეტყობინების მიუხედავად არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, არბიტრმა საარბიტრაჟო განხილვა უნდა განაგრძოს მხოლოდ მას შემდეგ რაც დარწმუნდება, რომ მხარეს ნამდვილად გაეგზავნა შეტყობინება საარბიტრაჟო განხილვის ჩატარების შესახებ;
4. არბიტრს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს დავის მორიგებით დასრულება, მედიაცია ან დავის გადაწყვეტა სხვა მექანიზმის გამოყენებით, მაგრამ ეს არ უნდა განხორციელდეს რომელიმე მხარეზე ზეწოლით. არბიტრი არ უნდა ესწრებოდეს და არც სხვაგვარად მონაწილეობდეს მხარეთა მორიგების პროცესში, ასევე არ უნდა იყოს მედიატორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეთავაზებულ დავის გადაწყვეტის მექანიზმთან დაკავშირებული ყველა რისკის სრულად გაცნობის შემდეგ ყველა მხარე თანხმდება წერილობით ამის შესახებ.
5. ერთზე მეტი არბიტრის დანიშვნის შემთხვევაში არბიტრები სარგებლობენ თანაბარი შესაძლებლობებით.

## **პრინციპი V. არბიტრმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კეთილსინდისიერად, დამოუკიდებლად და გააზრებულად**

1. არბიტრი ვალდებულია, მისთვის წარდგენილ ნებისმიერ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღოს გულმოდგინე განსჯის შედეგად. არბიტრმა არ უნდა განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება საკითხზე, რომლის გადაწყვეტის მოთხოვნაც მხარეებს არ დაუყენებიათ.
2. არბიტრმა საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებული საკითხები უნდა გადაწყვიტოს გარეშე ფაქტორების ზეგავლენის გარეშე.
3. არბიტრს არა აქვს უფლება დავის განხილვასთან დაკავშირებული თავისი უფლებამოსილება გადასცეს სხვა პირს.
4. თუ ყველა მხარე თანახმაა დავის მორიგებით დასრულებაზე და არბიტრს სთხოვენ ასახოს დავის მორიგებით დასრულება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში, ის ვალდებულია ასე მოიქცეს, თუ ფიქრობს, რომ მორიგების პირობები სწორად ასახავს მხარეთა ნებას და არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

## **პრინციპი VI. არბიტრი ვალდებულია დაიცვას იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა საარბიტრაჟო განხილვის პროცესში**

1. არბიტრი სარგებლობს მხარეთა ნდობით და საარბიტრაჟო განხილვისა და მისი დასრულების შემდეგ არც ერთ ეტაპზე არ აქვს უფლება გამოიყენოს საარბიტრაჟო განხილვის დროს მისთვის გამჟღავნებული კონფიდენციალური ინფორმაცია პირადი ან სხვა პირთა მიზნებისთვის ან სხვა პირთა ინტერესების საწინააღმდეგოდ.
2. არბიტრი ვალდებულია კონფიდენციალურად შეინახოს საარბიტრაჟო განხილვასა და გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. არბიტრს შეუძლია გამოიყენოს იურისტის ან ასისტენტის დახმარება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არბიტრი აცნობებს მხარეებს ამგვარი დახმარების მიღების შესახებ და დამხმარე პირები თანახმა იქნებიან, რომ დაემორჩილონ ამ პრინციპით დადგენილ მოთხოვნებს.
3. არბიტრს არა აქვს უფლება წინასწარ გაანდოს მხარეებს ან მესამე პირებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსი, ვიდრე ამის შესახებ მხარეებს ოფიციალურად არ ეცნობებათ. ერთზე მეტი არბიტრის მიერ დავის განხილვის შემთხვევაში, არბიტრი ვალდებულია კონფიდენციალურად შეინახოს სხვა არბიტრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, არბიტრმა არ უნდა გასწიოს დახმარება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების ან გასაჩივრების პროცესში.



## **პრინციპი VII. არბიტრმა პონორარი და არბიტრაჟთან დაკავშირებული ხარჯები უნდა განსაზღვროს გონივრულად და კეთილსინდისიერად**

1. არბიტრი, რომელსაც უნდა აუნაზღაურდეს თავისი შრომა ან უნდა მოხდეს ხარჯების კომპენსაცია, უნდა იყოს სამართლიანი ამ ხარჯების და კომპენსაციის დადგენისას.
2. არბიტრი ვალდებულია თავიდან აიცილოს გაუმართლებელი ხარჯები და დროის გაჭიანურება.
3. არბიტრებისთვის ანაზღაურების გადახდასთან დაკავშირებული პრაქტიკა ძირითადად მოიცავს შემდეგ შემთხვევებს:
  - ა) სანამ არბიტრი საბოლოოდ განაცხადებს თანხმობას არბიტრად დანიშვნაზე, დადგენილ უნდა იქნეს: ანაზღაურების და სხვადასხვა ხარჯების კომპენსაციის ოდენობა, როგორცაა კომპენსაცია გადადგომის შემთხვევაში, ჩატარებული კვლევის და დახარჯული დროის კომპენსაცია და სხვა ხარჯები.
  - ბ) თუ დავის განხილვა ხორციელდება საარბიტრაჟო დაწესებულების საშუალებით, მაშინ არბიტრის ანაზღაურების საკითხი წყდება ამ დაწესებულების მეშვეობით. თუ დავის განხილვა ხდება ასეთი დაწესებულების გარეშე, ან/და დავის მონაწილე მხარეთა მიერ შეთანხმებული დავის განხილვის პროცედურებით არ არის განსაზღვრული არბიტრების ანაზღაურების საკითხი, მაშინ არბიტრის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს დავის მონაწილე ყველა მხარის თანდასწრებით.
  - გ) არბიტრმა არ უნდა მოითხოვოს კომპენსაციის ოდენობის გამრდა საარბიტრაჟო განხილვების განმავლობაში, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

## **პრინციპი VIII. არბიტრს შეუძლია ჩაერთოს საარბიტრაჟო მომსახურების კეთილსინდისიერ პოპულარიზაცისა და რეკლამირებაში**

1. არბიტრის მიერ განხორციელებული რეკლამა უნდა იყოს ზუსტი და არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი. ნებისმიერი განცხადება, არბიტრის ან საარბიტრაჟო ინსტიტუტის საქმიანობის ხარისხზე ან წარმატებულ პრაქტიკაზე უნდა შეესაბამებოდეს სიმართლეს.
2. რეკლამირება და პოპულარიზაცია არ უნდა ტოვებდეს შთაბეჭდილებას, რომ არბიტრად დანიშვნა მიღებული იქნება ამ კოდექსის წესების საწინააღმდეგოდ.

# ბიბლიოგრაფია

## **საკანონმდებო აქტები, მოდელური კანონმდებლობა და „რბილი სამართალი“**

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი.  
მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი.  
სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი.  
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.  
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.  
საქართველოს კანონი ვერძო არბიტრაჟის შესახებ (გაუქმებული).  
გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.  
იტალიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.  
ინგლისის აქტი არბიტრაჟის შესახებ.  
დანიის კანონი არბიტრაჟის შესახებ.  
მექსიკის კომერციული კოდექსი.  
ნორვეგიის კანონი არბიტრაჟის შესახებ.  
საერთაშორისო ვერძო სამართლის შესახებ შვეიცარიის კანონი.  
შვედეთის აქტი არბიტრაჟის შესახებ.  
საქართველოს არბიტრთა ასოციაციის არბიტრთა ეთიკის კოდექსი.  
UNCITRAL-ის 1985 წლის მოდელური კანონის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ, 2006 წელს შესული ცვლილებებით (მოხსენიებული როგორც მოდელური კანონი).

## **კონვენციები**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1958 წლის კონვენცია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ (ნიუ-იორკის კონვენცია).

## **საარბიტრაჟო წესები**

გერმანიის საარბიტრაჟო ინსტიტუტის წესები, მოქმედი 1998 წლის 1 ივლისიდან, ხელმისაწვდომია: [www.disarb.org](http://www.disarb.org), ნანახია: 10.11.2017 წ.  
დავის განმხილველი ცენტრის საარბიტრაჟო წესები, ხელმისაწვდომია: [www.drc-arbitration.ge](http://www.drc-arbitration.ge), ნანახია: 10.11.2017 წ.  
საერთაშორისო სავაჭრო პალატის 2017 წლის 1 მარტიდან მოქმედი საარბიტრაჟო წესები, ხელმისაწვდომია: [www.iccwbo.org](http://www.iccwbo.org), ნანახია: 10.11.2017 წ.  
საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის 2017 წლის 10 მარტს დამტკიცებული წესები ხელმისაწვდომია: [www.giac.ge](http://www.giac.ge) ნანახია: 10.11.2017 წ.

## **ნიგნები**

Arroyo, Manuel A.. Arbitration in Switzerland. Wolters Kluwer Law & Business, 2013.  
Bae, Kim and LLC Lee. Arbitration Law of Korea: Practice and Procedure. Juris Publishing, 2012.  
Bärtsch, Philippe and Dorothee Schramm. Arbitration Law of Switzerland: Practice & Procedure. Juris Publishing, Inc., 2014.

- Blackaby, Nigel, Constantine Partasides, Alan Redfern and Martin Hunter. Redfern and Hunter on International Arbitration, 6th ed.. Oxford University Press, 2015.
- Böckstiegel Karl-Heinz, Stefan Michael Kröll, et al. eds.. Arbitration in Germany: The Model Law in Practice, 2nd ed., Wolters Kluwer Law & Business, 2015.
- Born, Gary B.. International Arbitration: Law and Practice, 2nd ed.. Kluwer Law International, 2015.
- Gaillard, Emmanuel and John Savage. Fouchard, Gaillard, Goldman on International Commercial Arbitration. Kluwer Law International, 1999.
- Geisinger, Elliott and Nathalie Voser (eds). International Arbitration in Switzerland: A Handbook for Practitioners, 2nd ed.. Kluwer Law International, 2013.
- Girsberger, Daniel and Nathalie Voser. International Arbitration: Comparative and Swiss Perspectives, 3rd ed.. Schulthess Juristische Medien AG, 2016.
- Holtzmann, Howard M. and Joseph E. Neuhaus. A Guide to the UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration: Legislative History and Commentary. Kluwer Law International, 1989.
- Kaufmann-Kohler, Gabrielle and Antonio Rigozzi. International Arbitration, Law and Practice in Switzerland. Oxford University Press, 2015.
- Lew, Julian D. M., Loukas A. Mistelis, et al.. Comparative International Commercial Arbitration. Kluwer Law International, 2003.
- Liebscher, Christoph and Alice A. Fremuth-Wolf. Arbitration Law and Practice in Central and Eastern Europe. Juris Publishing, 2011.
- Mustill, Michael J. and Stewart C. Boyd. Commercial Arbitration, 2nd ed.. Lexis Nexis, 1989.
- Sun, Wei and Melanie Willems. Arbitration in China. Kluwer Law International, 2015.
- Weigand, Frank-Bernd. Practitioner's Handbook on International Commercial Arbitration. Oxford University Press, 2010.

#### **აკადემიური ნაშრომები**

- Bachand, Frédéric. "Does Article 8 of the Model Law Call for Full or Prima Facie Review of the Arbitral Tribunal's Jurisdiction?" Arbitration International, Vol. 22 Issue 3 (2006): 463-476.
- Davis, Benjamin Guy. "Pathological Clauses: Frédéric Eisemann's Still Vital Criteria." Arbitration International, Vol. 7 Issue 4 (1991): 365-388.
- Draguiev, Deyan. "Unilateral Jurisdiction Clauses: The Case for Invalidity, Severability or Enforceability." Journal of International Arbitration, Vol. 31 Issue 1 (2014): 19 - 45.
- Mayer, Pierre. "L'autonomie de l'arbitre dans l'appréciation de sa propre compétence." Collected Courses of The Hague Academy of International Law, Vol. 217 (1989): 319-454.
- Pryles, Michael. "The Kaplan Lecture 2009 - When is an Arbitration Agreement Waived?" Journal of International Arbitration, Vol. 27 Issue 2 (2010): 105-139.

Zahradníková, Radka. "Challenge Procedure in Institutional and Ad Hoc Arbitration under the New Regulations in the Revised UNCITRAL Arbitration Rules." Czech (& Central European) Yearbook of Arbitration, Vol. IV, (2014): 267-286.

### **დაიჯესტები, ანგარიშები და სახელმძღვანელოები**

ICCA-ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე: ცნობარი მოსამართლეებისათვის, (არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო, 2011); ხელმისაწვდომია: [http://www.arbitrationicca.org/media/2/13717346017380/georgian\\_translation\\_judges\\_guide\\_website\\_with\\_cover\\_20june.pdf](http://www.arbitrationicca.org/media/2/13717346017380/georgian_translation_judges_guide_website_with_cover_20june.pdf) ნანახია: 10.11.2017 წ.

General Report for Working Session 9 "State Court Participation in Arbitration - Help or Hindrance?" International Arbitration Commission & Litigation Commission AIJA (2015); ხელმისაწვდომია: [http://london.aija.org/wp-content/uploads/2015/07/WS09-General\\_Report.pdf](http://london.aija.org/wp-content/uploads/2015/07/WS09-General_Report.pdf) ნანახია: 10.11.2017 წ.

Official Records of the General Assembly, Fortieth Session, Supplement No. 17 (A/40/17).

ვიეტნამის უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 20 მარტის გაიდლაინები კომერციული არბიტრაჟის მარეგულირებელი კანონმდებლობის იმპლემენტაციის შესახებ, No.01/2014/NQ-HDTP; ხელმისაწვდომია: [http://eng.viac.vn/uploads/71625-SPC%20Resolution%2001-2014%20\[E\]%20\(1\).pdf](http://eng.viac.vn/uploads/71625-SPC%20Resolution%2001-2014%20[E]%20(1).pdf) ნანახია: 10.11.2017 წ.

UNCITRAL Secretariat Guide on the Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards 2016 ed. ხელმისაწვდომია: [http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/NY-conv/2016\\_Guide\\_on\\_the\\_Convention.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/NY-conv/2016_Guide_on_the_Convention.pdf) ნანახია: 10.11.2017 წ.

UNCITRAL 2012 Digest of Case Law on the Model Law on International Commercial Arbitration; ხელმისაწვდომია: <http://www.uncitral.org/pdf/english/clout/MAL-digest-2012-e.pdf> ნანახია: 10.11.2017 წ.

### **სხვა წყაროები**

განმარტებითი ბარათი „არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე, რეგისტრაციის ნომერი 07-2/280/8, თარიღი: 10-12-2015 წ.

ლადო ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი. (2015), ხელმისაწვდომია [www.gccc.ge](http://www.gccc.ge) ნანახია: 11.11.2017 წ.

IBA-ს სახელმძღვანელო ინტერესთა კონფლიქტის შესახებ საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში, ხელმისაწვდომია: [https://www.ibanet.org/ENews\\_Archive/IBA\\_July\\_2008\\_ENews\\_ArbitrationMultipleLang.aspx](https://www.ibanet.org/ENews_Archive/IBA_July_2008_ENews_ArbitrationMultipleLang.aspx) ნანახია: 10.11.2017 წ.

A/CN.9/264, Analytical Commentary on Draft Text of a Model Law on International Commercial Arbitration.

Recent Developments in Germany, Bird & Bird, ხელმისაწვდომია: <https://www.twobirds.com/en/news/articles/2007/recent-developments-german-jurisdiction-arbitration> ნანახია: 10.11.2017 წ.

## სასამართლოს გადაწყვეტილებები

### ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ECtHR, 2010 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Suda v the Czech Republic, №1643/06.

### ავსტრალია

ავსტრალიის უმაღლესი სასამართლოს 1995 წლის გადაწყვეტილება საქმეზე PMT Partners Pty. Ltd. (In Liq.) v Australian National Parks & Wildlife Service, HCA 36; 184 CLR 301.

ხელმისაწვდომია: <https://jade.io/article/67904> ნანახია: 10.11.2017 წ.

### ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს 1985 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Mitsubishi Motors Corp v Soler Chrysler Plymouth Inc., 473 US 614, 105 S Ct 3346, 3355 et seq.

ხელმისაწვდომია: <https://www.oyez.org/cases/1984/83-1569> ნანახია: 10.11.2017 წ.

ამერიკის შეერთებული შტატების მე-4 ოლქის სააპელაციო

სასამართლოს 2011 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე United States v Bankers Insurance Company, 245 F.3d 315.

ხელმისაწვდომია: <http://caselaw.findlaw.com/us-4th-circuit/1375466.html> ნანახია: 10.11.2017 წ.

კალიფორნიის სააპელაციო სასამართლოს 1998 წლის 4

დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Armendariz vs. Foundation Health Psychcare Services, Inc. 24 Cal. 4th 83, 6 P.3d 669.

დასავლეთ ვირჯინიის სააპელაციო სასამართლოს 1998 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Arnold v United Companies Lending Corp., 511 S.E.2d 854.

### ბერმუდა

ბერმუდას უზენაესი სასამართლოს 1994 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე Skandia International Insurance Company and Mercantile & General.

### ბულგარეთი

ბულგარეთის უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე №1193/2010.

### გერმანია

გერმანიის ფედერალური სასამართლოს (BGH) 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება №II ZR 255/08, SchiedsVZ 2009, 233.

გერმანიის ფედერალური სასამართლოს (BGH) 2017 წლის 6 აპრილის განჩინება №I ZB 23/16.

ნაუმბურგის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2005 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე №10 SchH 06/05.

ხელმისაწვდომია: <http://www.dis-arb.de/en/47/datenbanken/rspr/olg-naumburg-case-no-10-schh-06-05-date-2005-09-16-id886> ნანახია: 10.11.2017 წ.

გერმანიის ფედერალური სასამართლოს 1986 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება, საქმე №II ZR 150/85.

დრეზდენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2001 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება.

ფრანკფურტის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2008 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება, SchiedsVZ 2008, 199 (200).

ფრანკფურტის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 1998 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება.

დრეზდენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2001 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე №11 SchH 02/00.

ჰაიდელბერგის რაიონული სასამართლოს (LG) 2006 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №1 O 74/06.  
ხელმისაწვდომია: <http://www.dis-arb.de/de/47/datenbanken/rspr/lg-heidelberg-az-1-o-74-06-datum-2006-10-27-id831> ნანახია: 10.11.2017 წ.

დრეზდენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2001 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე№, 11 Sch 01/01.  
ხელმისაწვდომია: <http://www.dis-arb.de/en/47/datenbanken/rspr/olg-dresden-case-no-11-sch-01-01-date-2001-02-28-id1264> ნანახია: 10.11.2017 წ.

ნაუმბურგის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2005 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №9 SchH 01/05.  
ხელმისაწვდომია: <http://www.dis-arb.de/en/47/datenbanken/rspr/olg-naumburg-case-no-10-schh-01-05-date-2005-09-16-id881> ნანახია: 10.11.2017 წ.

დრეზდენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2001 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე №11 Sch 2/01.

ოლდენბურგის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2006 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება.

მიუნხენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2006 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №34 SchH 05/06.  
ხელმისაწვდომია: <http://www.dis-arb.de/en/47/datenbanken/rspr/olg-m%C3%BCnchen-case-no-34-schh-5-06-date-2006-07-05-id557>  
ნანახია: 10.11.2017 წ.

მიუნხენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2008 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე №34 SchH 5/07; 34 SchH 8/07; 34 SchH 2/08.  
ხელმისაწვდომია: <http://www.dis-arb.de/en/47/datenbanken/rspr/olg-m&uuml;nchen-case-no-34-schh-5-07-34-schh-8-07-34-schh-2-08-date-2008-04-10-id801> ნანახია: 10.11.2017 წ.

ფრანკფურტის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №26 Sch 6/06.  
ხელმისაწვდომია: <http://www.disarb.org/en/47/datenbanken/rspr/olg-frankfurt-am-case-no-26-sch-06-06-date-2006-10-24-id606> ნანახია: 10.11.2017 წ.

მიუნხენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე №34 SchH 06/07.

ხელმისაწვდომია: <http://www.dis-arb.de/en/47/datenbanken/rspr/olg-m&uuml;nchen-case-no-34-schh-6-07-date-2008-02-12-id815>  
ნანახია: 10.11.2017 წ.

ფრანკფურტის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2007 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №26 Sch 08/07.

ხელმისაწვდომია: <http://www.dis-arb.de/en/47/datenbanken/rspr/olg-frankfurt-am-case-no-26-sch-08-07-date-2007-10-04-id726> ნანახია: 10.11.2017 წ.

მიუნხენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2010 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე №34 SchH 11/09.

ხელმისაწვდომია: <http://www.dis-arb.de/de/47/datenbanken/rspr/olg-m%C3%BCnchen-az-34-schh-11-09-datum-2010-01-29-id1061>  
ნანახია: 10.11.2017 წ.

ფრანკფურტის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 1998 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება.

მიუნხენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2013 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №34 SchH 11/13.

ხელმისაწვდომია: <http://www.dis-arb.de/en/47/datenbanken/rspr/olg-m&uuml;nchen-case-no-34-schh-11-13-date-2013-10-22-id1570> ნანახია: 10.11.2017 წ.

ფრანკფურტის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2012 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე №26 SchH 15/11.

## ესპანეთი

ესპანეთის უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე Pueblo Film Distribution Hungary K.F.T. v Lauren-film S.A, საქმე №743/2003.

მადრიდის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №147/2013.

## ინდოეთი

ინდოეთის უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Jagdish Chander vs Ramesh Chander & Ors. საქმე №4467/2002.

ინდოეთის უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე National Insurance Company Ltd. v Boghara Polyfab Pvt. Ltd.

ხელმისაწვდომია: <https://indiankanoon.org/doc/1243245/> ნანახია: 10.11.2017 წ.

ინდოეთის უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე M/S S.B.P. & Co. v M/S Patel Engineering Ltd. & Anr.

ხელმისაწვდომია: <https://indiankanoon.org/doc/1820512/> ნანახია: 10.11.2017 წ.

დელის უმაღლესი სასამართლოს 2007 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე Ahluwalia Contracts (India) Ltd. v Housing And Urban Development.

ხელმისაწვდომია: <https://indiankanoon.org/doc/406601/> ნანახია: 10.11.2017 წ.

ბომბეის უმაღლესი სასამართლოს 2000 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Mr. Has-mukhlal H. Doshi & Another v Mr. Justice M.L. Pendse & Others, BOMLR 684.

ხელმისაწვდომია: <https://indiankanoon.org/doc/279232/> ნანახია: 10.11.2017 წ.

### **იტალია**

იტალიის უზენაესი სასამართლოს (Corte di Cassazione) 2012 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Grinka in liquidazione vs. Intesa San Paolo, საქმე №5705.

მილანის სააპელაციო სასამართლოს (Corte D'Appello di Milano) 2011 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Sportal Italia v Microsoft CorpSportal Italia vs. Microsoft Corp.

### **კანადა**

ალბერტას სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე Jardine Lloyd Thompson Canada Inc. v SJO Catlin.

კანადის ფედერალური სასამართლოს 1993 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Delphi Petroleum Inc. v Derin Shipping and Training Ltd.

კანადის ფედერალური სასამართლოს 1992 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Miramichi Pulp and Paper Inc. v Canadian Pacific Bulk Ship Services Ltd., T-2839-89.

კანადის ფედერალური სააპელაციო სასამართლოს 1994 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Nanisivik Mines Ltd. and Zinc Corporation of America v Canarctic Shipping Co. Ltd., T-27-92.

### **რუმინეთი**

რუმინეთის უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე №318.

### **რუსეთის ფედერაცია**

რუსეთის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე CJSC Russian Telephone Company v Sony Ericsson Mobile Communications Rus LLC.

რუსეთის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე OJSC Efirnoe v Delta Wilmar CIS Ltd., საქმე №11861/10.

### **საფრანგეთი**

ტულუზის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 9 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Société Gefu Kuchenboss GmbH & CO.KG et Société Gefu Geschäfts-Und Verwaltungs GmbH v Société Coréma.

ლიონის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება, საქმეზე Société Tesco v Société Neoelectra Group, საქმე №13/00447.



## საქართველო

საქართველოს უზენაესი სასამართლო 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე №ას-804-858-2011.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 24 სექტემბრის განჩინება, საქმე №2ბ/4423-14.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინება, საქმე №2ბ/4905-16.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 25 ოქტომბრის განჩინება, საქმე №2ბ/3055-11.

თბილისის საქალაქო სასამართლო 2016 წლის 28 სექტემბრის განჩინება, საქმე №2/4781-15.

## სინგაპური

სინგაპურის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Tomolugen Holdings Ltd. and another v Silica Investors Ltd. and other appeals, SGCA 57.  
ხელმისაწვდომია: [http://www.uncitral.org/docs/clout/SGP/SGP\\_261015\\_FT.pdf](http://www.uncitral.org/docs/clout/SGP/SGP_261015_FT.pdf) ნანახია: 10.11.2017 წ.

სინგაპურის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Wilson Taylor Asia Pacific Pte Ltd. v Dyna-Jet Pte Ltd., 3 SLR 267.  
ხელმისაწვდომია: <http://www.singaporelaw.sg/sglaw/laws-of-singapore/case-law/free-law/court-of-appeal-judgments/22800-wilson-taylor-asia-pacific-pte-ltd-v-dyna-jet-pte-ltd> ნანახია: 10.11.2017 წ.

სინგაპურის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Insigma Technology Co Ltd v Alstom Technology Ltd., 3 SLR(R) 936 § 31.  
ხელმისაწვდომია: <http://www.singaporelaw.sg/sglaw/laws-of-singapore/case-law/free-law/court-of-appeal-judgments/13850-insigma-technology-co-ltd-v-alstom-technology-ltd-2009-3-slr-936-2009-sgca-24> ნანახია: 10.11.2017 წ.

სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 1999 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Concordia Agritrading Pte. Ltd. v Cornelder Hoogewerff, SGHC 269, 3 SLR(R) 618.  
ხელმისაწვდომია: [http://www.singaporelaw.sg/sglaw/images/ArbitrationCases/\[1999\]\\_3\\_SLR\(R\)\\_0618.pdf](http://www.singaporelaw.sg/sglaw/images/ArbitrationCases/[1999]_3_SLR(R)_0618.pdf) ნანახია: 10.11.2017 წ.

სინგაპურის უმაღლესი სასამართლო 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Dyna-Jet Pte Ltd. v Wilson Taylor Asia Pacific Pte Ltd.

სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2014 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე FirstLink Investments Corp Ltd. v GT Payment Pte Ltd., SGHCR 12.  
ხელმისაწვდომია: <http://www.newyorkconvention.org/11165/web/files/document/1/7/17749.pdf> ნანახია: 10.11.2017 წ.

სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2013 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე HKL Group Co Ltd v Rizq International Holdings Pte Ltd., SGHCR 5.  
ხელმისაწვდომია: <http://www.singaporelaw.sg/sglaw/laws-of-singapore/case-law/free-law/court-of-appeal-judgments/13850-insigma-technology-co-ltd-v-alstom-technology-ltd-2009-3-slr-936-2009-sgca-24>

porelaw.sg/sglaw/laws-of-singapore/case-law/free-law/high-court-judgments/15133-hkl-group-co-ltd-v-rizq-international-holdings-pte-ltd-2013-sghcr-5 ნანახია: 10.11.2017 წ.

სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Sembawang Engineers and Constructors Pte Ltd v Covec Pte Ltd., SGHC 229. ხელმისაწვდომია: <http://www.singaporelaw.sg/sglaw/laws-of-singapore/case-law/free-law/high-court-judgments/13565-sembawang-engineers-and-constructors-pte-ltd-v-covec-singapore-pte-ltd-2008-sghc-229> ნანახია: 10.11.2017 წ.

### **ტაივანი**

ტაივანის უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება 96 Tai Shang Zi №1491.

ტაივანის უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 ივლისის განჩინება 96 Tai Shang Zi №2246.

### **შვეიცარია**

შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს (BGE) 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე X Holding AG et al. v Y Investments NV, საქმე №4A\_279/2010. ხელმისაწვდომია: <http://www.swissarbitrationdecisions.com/sites/default/files/25%20octobre%202010%204A%20279%202010.pdf> ნანახია: 10.11.2017 წ.

შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს (BGE) 2011 წლის 20

სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე №4A\_103/2011.

ხელმისაწვდომია: <http://www.swissarbitrationdecisions.com/sites/default/files/20%20septembre%202011%204A%20103%202011.pdf> ნანახია: 10.11.2017 წ.

შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს (BGE) 1966 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Centrozap v Orbis, dr. X. ხელმისაწვდომია: [http://relevancy.bger.ch/php/clir/http/index.php?highlight\\_docid=at-f%3A%2F%2F92-I-271%3Afr&lang=-fr&type=show\\_document](http://relevancy.bger.ch/php/clir/http/index.php?highlight_docid=at-f%3A%2F%2F92-I-271%3Afr&lang=-fr&type=show_document) ნანახია: 10.11.2017 წ.

შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს (BGE) 2008 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №BGE 135 I 14. ხელმისაწვდომია: [http://relevancy.bger.ch/php/clir/http/index.php?highlight\\_docid=at-f%3A%2F%2F135-I-14%3Ade&lang=de&type=show\\_document](http://relevancy.bger.ch/php/clir/http/index.php?highlight_docid=at-f%3A%2F%2F135-I-14%3Ade&lang=de&type=show_document) ნანახია: 10.11.2017 წ.

### **ჩინეთი**

ჩინეთის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Air Building Materials (Tianjin) Co., Ltd. v German Masa (Group) Co., Ltd., Masa (Tianjin) Building Material Machinery Co., Ltd.

### **ჩრდილოეთ ირლანდიისა და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო**

ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლოს 1994 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე Aggeliki

Charis Compania aritima SA v Pgnan SpA, 1 Lloyd's Rep 87.

ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე Fiona Trust & Holding Corporation v Yuri Privalov, APP.L.R. 01/24.

ხელმისაწვდომია: <http://www.nadr.co.uk/articles/published/ArbitLRe/Fiona%20v%20Privalov%202007.pdf> ნანახია: 10.11.2017 წ.

ინგლისისა და უელსის უმაღლესი სასამართლოს 2011 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე JSC BTA Bank v Ablyazov & Ors, EWHC 587.

ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Law Debenture Trust Corp plc v Elektrim Finance BV, EWCA Civ 1354.

ხელმისაწვდომია: <http://www.nadr.co.uk/articles/published/ArbitrationLawRep/Law%20v%20Elektrim%202005.pdf> ნანახია: 10.11.2017 წ.

ინგლისისა და უელსის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს 2004 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე NB Three Shipping Ltd. v Harebell Shipping Ltd., APP.L.R. 10/13.

ხელმისაწვდომია: <http://www.nadr.co.uk/articles/published/ArbitLawReports/NB%20Three%20v%20Hare%202004.pdf> ნანახია: 10.11.2017 წ.

ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე Sulamérica CIA. Nacional De Seguros S.A. and

Anors v Enesa Engenharia S.A. – ENESA and Anors, EWCA Civ 638. ხელმისაწვდომია: <http://www.bailii.org/ew/cases/EWCA/Civ/2012/638.html> ნანახია: 10.11.2017 წ.

### **ჰონგ-კონგის სპეციალური ადმინისტრაციული ერთეული**

ჰონგ-კონგის სააპელაციო სასამართლოს 1995 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Private Company “Triple V” Inc. v Star (Universal) Co. Ltd. and Sky Jade Enterprises Group Ltd., 3 HKCA 617.

ჰონგ-კონგის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე PCCW Global Limited v Interactive Communications Service Ltd., HKCA 434.

ჰონგ-კონგის უმაღლესი სასამართლოს 1992 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე China State Construction Engineering Corporation Guangdong Branch v Madiford Ltd., 1 HKC 320. ხელმისაწვდომია: <http://neil-kaplan.com/wp-content/uploads/2013/08/China-State-Construction-Engineering-Corporate-Guangdong-Branch-v-Madiford-Ltd-HCA6563-of-1991.pdf> ნანახია: 10.11.2017 წ.

ჰონგ-კონგის უმაღლესი სასამართლოს 1994 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Gay Constructions Pty. Ltd. and Spaceframe Buildings (North Asia) Ltd. v Caledonian Techmore (Building) Limited & Hanison Construction Co. Ltd. (როგორც მესამე პირი), 2 HKC 562.

ხელმისაწვდომია: <http://neil-kaplan.com>

com/wp-content/uploads/2013/08/  
Gay-Constructions-Pty-Ltd-and-An-  
other-v-Caledonian-Techmore-Build-  
ing-Limited-and-Another-HCCL23-  
of-1993.pdf ნანახია: 10.11.2017 წ.

ჰონგ-კონგის უმაღლესი  
სასამართლოს 1995 წლის 6 აპრილის  
გადაწყვეტილება საქმეზე Jiangxi  
Provincial Metal and Minerals Import  
and Export Corporation v Sulanser  
Co. Ltd., HKCFI 449.  
ხელმისაწვდომია: [http://newyorkconvention1958.org/index.php?lvl=notice\\_display&id=483](http://newyorkconvention1958.org/index.php?lvl=notice_display&id=483) ნანახია:  
10.11.2017 წ.

ჰონგ-კონგის უმაღლესი  
სასამართლოს 2006 წლის 29 მარტის  
გადაწყვეტილება საქმეზე Noble Re-

sources Pte. Ltd. v China Sea Grains  
and Oils Industry Co. Ltd., HKCFI 334.

ჰონგ-კონგის უმაღლესი სასამართლოს  
1992 წლის 30 ივლისის  
გადაწყვეტილება საქმეზე Pacific Inter-  
national Lines (PTE) Ltd. & Another v  
Tsinlien Metals and Minerals Co. Ltd.,  
HKCFI 225.

ჰონგ-კონგის უმაღლესი სასამართლოს  
1994 წლის 16 აგვისტოს  
გადაწყვეტილება საქმეზე Vibroflota-  
tion A.G. v Express Builders Co. Ltd.,  
HKCFI 205.  
ხელმისაწვდომია: <http://neil-kaplan.com/wp-content/uploads/2013/08/Vibroflotation-A.G.-v-Express-Builders-Co-Ltd-HCMP1230-of-1994.pdf>  
ნანახია: 10.11.2017 წ.

ავტორთა ჯგუფის ძალისხმევით მიუხედავად, გამკვლევში იქნება ხარვეზები, ან საკითხები, რომლებზეც არ არის პასუხი გაცემული. ხარვეზების აღმოჩენის, ისევე როგორც კითხვებისა და წინადადებების შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტის საშუალებით [arbitrationguide@gmail.com](mailto:arbitrationguide@gmail.com). თქვენი გამოხმაურება დაგვეხმარება დავხვეწოთ გამკვლევის ელექტრონული ვერსია და შესაძლო შემდგომი გამოცემები.



